

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ხათუნა დიასამიძე

იურიდიული ტექსტების თარგმანის ანალიზის მოდელირება  
პარალელურ კორპუსში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი  
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

მეცნიერ- ხელმძღვანელი:  
ასოცირებული პროფესორი  
ხათუნა ბერიძე

ბათუმი  
2020 წელი

## გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი, -----

(ხელმოწერა) -----

(თარიღი)

## შინაარსი

<b>შესავალი</b>	4
<b>თავი I. კორპუსლინგვისტიკა, როგორც ინოვაციური სამეცნიერო მიმართულება</b>	10
§1. კორპუსლინგვისტიკის გაგებისთვის	10
§2. კორპუსლინგვისტიკა როგორც კვლევითი მეთოდოლოგია	18
<b>თავი II. იურიდიული პარალელური ტექსტების კვლევის აპრობირებული მეთოდო-ლოგია უცხოეთის მოდელებზე დაყრდნობით</b>	25
§1. ასოცირების ხელშეკრულების თარგმანი სერბეთში	25
§2. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ინგლისურ-სლოვენური კორპუსი	31
<b>თავი III. ტელეოლოგიური მიდგომები, როგორც სამართლებრივი ტექსტების ინტერპრეტაციის მეთოდი</b>	36
§1. ტელეოლოგიის რაობა; ტექსტის ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია	36
§2. ტექსტის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის თავისებურებები	42
§3. კონტექსტი და თარგმნის პრობლემა	48
<b>თავი IV. იურიდიული პარალელური ტექსტების ანოტირება, სტრუქტურირება, თეგირება და კორპუსული კვლევა</b>	56
§1. ინგლისური და ქართული იურიდიული პარალელური ტექსტების ანოტირების, სტრუქტურირებისა და თეგირების მოდელირება	56
§2. ანოტირებული, სტრუქტურირებული და თეგირებული პარალელური იურიდიული ტექსტების კორპუსული კვლევა ავტომატურ და ნახევრადავტომატურ რეჟიმებში	58
<b>დასკვნა</b>	126
<b>დანართი 1. მარკირების კომპლექტი</b>	130
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	131

## შესავალი

კორპუსული კვლევა თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური გახდა. თარგმანმცოდნეობისა და კორპუსის ურთიერთკავშირი ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან იღებს სათავეს. წლების განმავლობაში კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად კორპუსზე დაფუძნებული თარგმანმცოდნეობა გაფართოვდა და თანდათანობით განსხვავებული სფეროები მოიცვა, ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის პარალელური კორპუსი. საკუთრივ „პარალელური კორპუსი“ გულისხმობს ორ ან რამდენიმე ენაზე არსებულ შედარებითი ან თარგმნილი ტექსტების მოთავსებას სპეციალურად შემუშავებულ კომპიუტერულ პროგრამაში და ურთიერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე მათ შორის არსებული ეკვივალენტობის დადგენას“ (Yang, 2002:29). პარალელურ კორპუსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თარგმანმცოდნეობისათვის, ვინაიდან ის აკავშირებს წყარო და სამიზნე ენებს როგორც ტექსტების, ასევე წინადადებებისა და სიტყვების დონეზე, თანადროულად წარმოაჩენს მათ მთარგმნელის წინაშე და აადვილებს მათს საქმიანობას. მეორე მხრივ, როგორც მოგეხსენებათ, არსებობს ეროვნული კორპუსები, რომლებიც კონკრეტული მიზნებით შეიქმნა, ასეთებია, მაგალითად, ინგლისური ენის ან ქართული ენის ეროვნული კორპუსები, ისინი აურაცხელ ენობრივ მასალას შეიცავენ და დიდ როლს ასრულებენ ამა თუ იმ ტექსტის ლინგვისტური თუ სტილური თავისებურებების განსაზღვრაში. არსებობს მთარგმნელობითი კორპუსული ლექსიკონები, მაგ. პროფესორ თ. მარგალიტაძის თაოსნობით თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრში შექმნილი დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი [www.dict.ge](http://www.dict.ge) სწორედ განმარტებების კორპუსული სისტემატიზაციის პრინციპით არის შექმნილი. არსებობს ასევე მთელი რიგი დარგობრივი (სამედიცინო, იურიდიული, პოლიტიკური და სხვა) კორპუსები. თანდათანობით გამოიკვეთა კვლევის საერთო ობიექტები, რამაც განაპირობა ზემოაღნიშნული კორპუსების საფუძველზე პარალელური კორპუსების შექმნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თარგმანმცოდნეობისთვის. იურიდიული ენის კორპუსები დღესდღეობით არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული და ფართოდ გავრცელებული, რაც განპირობებულია თავად დარგის სირთულითა და თავისებურებებით. სწორედ ამ ფაქტმა გადაგვაწყვეტინა პარალელური კორპუს-

ლინგვისტიკის მეთოდოლოგიითა და კანონის ინტერპრეტაციის ტელეოლოგიური მიდგომების გამოყენებით კვლევისათვის დაგვემუშავებინა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების 1-4 კარის 1-278 გვერდები და შეგვექმნა ქართულ-ინგლისური იურიდიული პარალელური კორპუსი. ეს მცდელობა კიდევ ერთი წინადადგმული ნაბიჯია თანამედროვე ქართულ კორპუსლინგვისტიკაში, რომელიც თავადაც ჩამოყალიბების ეტაპზეა. მას შეიძლება ვუწოდოთ მცირე მოცულობის იურიდიული პარალელური კორპუსი.

კორპუსის შექმნისას მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგებით, როგორებიცაა: თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა, ადამიანური რესურსები, მაგრამ ყველაზე ძნელი მათ შორის მონაცემთა შეგროვებაა. საკმაოდ რთული ამოცანაა ორენოვანი ურთიერთ-შესატყვისი იურიდიული ტექსტების მოპოვება, თუ გავითვალისწინებთ მსგავსი სტილის კონფიდენციალურობასაც. საბოლოოდ არჩევანი შევაჩერეთ ასოცირების ხელშეკრულებაზე, რომელიც მრავალ ენაზეა თარგმნილი პროფესიონალი მთარგმნელების მიერ და ტექსტებიც არაკონფიდენციალურია, პირიქით, ხელმისაწვდომია როგორც პროფესიონალების, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

ა) **კვლევის მიზანი:** კვლევის მიზანია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების იურიდიული ტექსტების თარგმანის ანალიზი პარალელურ კორპუსში.

შესაბამისად, რამდენიმე კვლევითი ამოცანა განვსაზღვრეთ:

1. თარგმანმცოდნეობის კვლევების მეთოდების ინტეგრირება კორპუსლინგვისტიკის თეორიისა და პრაქტიკის მეთოდებთან;
2. საკვლევი ორენოვანი ტექსტების პირველადი, შეპირისპირებითი არამანქანური ანალიზი, რომელიც რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ პროცესს მოიცავს: ა. სინტაქსური, მორფოლოგიური, ტერმინოლოგიური თვისებრივი მონაცემების დადგენა, ბ. მთარგმნელობითი პრობლემების დადგენა; გ. ზემოთაღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით სტრუქტურირებისა და მარკირების მოდელების განსაზღვრა;
3. საკვლევი ორენოვანი ტექსტების პარალელური კორპუსის ანალოგიური განთავსება და მანუალური მარკირება;

4. ტექნიკური ხასიათის სამუშაოს შესრულება თარგმანის ანალიზატორში მარკირებული ტექსტების პროცესირებისათვის;
5. ანალიზატორით მიღებული სტატისტიკური მაჩვენებლების, პარალელური სალექსიკონო მონაცემებისა და პარალელურად სტრუქტურირებული ტექსტების შემდგომი ანალიზი თარგმანმცოდნეობის მიმართულებით.

კვლევის მიზნების შესაბამისად კორპუსლინგვისტიკის თეორიული საფუძვლების დამუშავების მომდევნო ეტაპზე შეიქმნა ემპირიული მასალის კორპუსი, რომელიც შედგენილია ქართულსა და ინგლისურ ენებზე არსებული იურიდიული ტექსტების პარალელური ტექსტებისაგან.

პარალელურ კორპუსში შეიძლება ერთდროულად განთავსდეს ტექსტი და თარგმნითი ვარიანტი, რამაც საშუალება მოგვცა შეგვექმნა იურიდიული ტექსტების თარგმანის ანალიზის ინდივიდუალური მოდელი ინგლისური და ქართული ტექსტების პარალელური კორპუსისათვის. კვლევა განვახორციელეთ ემპირიული მასალის წინასწარი დამუშავების შემდეგ ავტომატურ და ნახევრადავტომატურ რეჟიმში. კვლევისას გამოვიყენეთ პრაგმატიკული, სემანტიკური და ტერმინოლოგიური მიდგომები.

#### **ბ) საკითხის აქტუალურობა, სიახლე და მნიშვნელობა:**

საკითხის აქტუალურობა, სიახლე და მნიშვნელობა განპირობებულია (1) კვლევის ობიექტითა და (2) კვლევის მეთოდოლოგიით.

მარკირებული და ანოტირებული ტექსტების ენობრივი რესურსების შექმნა ენის სწავლისა და კვლევისათვის ბოლო ათწლეულის განმავლობაში მთავარი სამეცნიერო მიმართულება გახდა. ენობრივი მასალების სამეცნიერო ანალიზისათვის ტექნოლოგიურად დამუშავებული კოლექციები ინფორმაციას გვაწვდის ბუნებრივი ენების შესახებ. ამ მხრივ პარალელური კორპუსი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. თარგმანის კორპუსი მკვლევარს კონკრეტული კვლევის საკითხის გადაწყვეტის საშუალებას უნდა აძლევდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასპეციფიკური კორპუსის მკვლევარს შეუძლია შეარჩიოს და გამოიყენოს კორპუსის ტექსტები სხვადასხვა ტიპის შეპირისპირებითი კვლევისათვის.

საკანონმდებლო ტერმინების ადეკვატური თარგმანი წარმოადგენს საზოგადო პრობლემას, ვინაიდან თარგმანში ხშირია ტერმინთა კონცეპტუალური განსხვავება. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ ტერმინების კონცეპტუალური განსხვავებები

პოტენციურად შეიძლება გახდეს კანონის არასწორად ინტერპრეტაციის განმაპირობებელი მიზეზი.

საკანონმდებლო ტერმინების აკადემიური კვლევა, მით უფრო ისეთი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტში, როგორცაა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, სადღეისოდ აქტუალური საკითხია.

### **გ) კვლევის მეთოდები და მისი სიახლე**

მაგისტრატურისა და დოქტორანტების პარალელური კორპუსლინგვისტიკისა და კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება ბსუ-ში 2010 წელს დაიწყო და გაგრძელდა 2011 წელს EWMI G-PAC პროექტის, USAID- ის ფარგლებში. მას ხელმძღვანელობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთარგმნელობითი და ინტერდისციპლინარული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ხ. ბერიძე. პროექტის შედეგი იყო პოლიტიკის პარალელური კორპუსი, პოლიტიკური ტერმინების კორპუსის ლექსიკონი და კონკორდანსი.

ასოცირების ხელშეკრულების კორპუსლინგვისტური ანალიზისათვის ხ. ბერიძის მიერ დამუშავდა კვლევის მეთოდოლოგია, განისაზღვრა კვლევის მოდელი და კორპუსლინგვისტიკური კვლევის ტექნოლოგიური პარამეტრები, ხოლო ტექნოლოგიური ბაზა, პლატფორმა და პროგრამული უზრუნველყოფა და ანალიტიკური მონაცემების ვიზუალიზაციის მოდელი ბსუ-ს ტექნოლოგიურ დეპარტამენტთან თანამშრომლობით განხორციელდა.

წინამდებარე კვლევისას გამოვიყენეთ სწორედ არსებული ახალი მეთოდოლოგია და კორპუსლინგვისტიკური კვლევის ტექნოლოგიური პარამეტრები, ტექნოლოგიური ბაზა, პლატფორმა და პროგრამული უზრუნველყოფა. კვლევის სიახლეა ისიც, რომ იურიდიული დოკუმენტების კვლევისას რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე განვსაზღვრეთ ხარისხობრივი მონაცემები. თანამედროვე დიגיტალური ტექნოლოგიების გამოყენებით ანალიზის შედეგები გახდა, ხოლო ჩვენს მიერ მიღებული შედეგების გადამოწმება კი ავტომატურად შესაძლებელი.

არამანქანური ანალიზისათვის გამოვიყენეთ საკვლევი ტექსტების მხოლოდ ნაწილი (კარი 1-4, გვ.1-278). კვლევის მიზნების შესაბამისად, დავადგინეთ მთარგმნელობითი პრობლემები საანალიზოდ შერჩეულ მონაკვეთზე და განვსაზღვრეთ მთარგმნელობითი უზუსტობების შემდეგი ოთხი კატეგორია:

1. კალკირება და მის შედეგად აზრობრივი ბუნდოვნების წარმოშობა, კერძოდ, სინტაქსური კონსტრუქციების კალკირება და ამის შედეგად გამოწვეული აზრობრივი ბუნდოვნება;
2. ცალკეული ლექსემის კალკირება;
3. ნასესხობების უმართებულო გამოყენება ქართული შესატყვისების ნაცვლად;
4. საკანონმდებლო ტერმინების თარგმანის ადეკვატურობა.

აქვე, უპრიანი იქნება მოვიყვანოთ პროფ. თ. მარგალიტაძის მოსაზრება ქართული შესატყვისების ნაცვლად ნასესხობების უმართებულო გამოყენების შესახებ; „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ახალი ცნებების ფორმირება უკავშირდებოდა ახალ სამეწარმეო და იურიდიულ ურთიერთობებს, რევოლუციურ წინსვლას მეცნიერებისა და ტექნოლოგიის თითქმის ყველა სფეროში. ახალმა ტერმინებმა ქართულ ენაში უშუალოდ ინგლისურიდან დაიწყო შემოდინება. ქართულ ლექსიკაში ჭარბი, ზედმეტი ნასესხობები ჩნდება ინგლისურიდან“ (მარგალიტაძე, 2018: 245-261) შესაბამისად, წინამდებარე კვლევაში ჩვენი ქვე-ამოცანა გახლავთ ტრანსლიტერაცი-ტრანსკრიბირების გზით გადმოტანილი ტერმინების კალკირებების ანალიზი ასოცირების ხელშეკრულების თარგმანში, პოტენციური ნასესხობების გამოვლენის მიზნით.

კორპუსლინგვისტიკის თეორიული საფუძვლების დამუშავების მომდევნო ეტაპზე თემის ხელმძღვანელის მიერ ქართული და ინგლისური ტექსტების მანქანური ანალიზისთვის შედგენილი ლინგვისტიკური მარკირების TagSet -დან ჩვენი კვლევის ამოცანების შესაბამისი მარკირების ერთეულები განვსაზღვრეთ.

კვლევისათვის განისაზღვრა მეთოდოლოგია შემდეგი კლასიფიკაციით:

- 1) საკვლევი ლინგვისტიკური და მთარგმნელობითი ერთეულების დადგენა - მანუალური დამუშავების პროცესის დროს;
- 2) სტატისტიკური ანალიზის მოდელის განსაზღვრა - მანუალური დამუშავების პროცესის დროს;
- 3) ტერმინების პროგნოზული ანალიტიკა - კორპუსის პროგრამული ანალიზატორით მიღებული შედეგების საფუძველზე ;
- 4) თარგმანის ხარისხობრივი ანალიზი - კორპუსის პროგრამული ანალიზატორით მიღებული შედეგების საფუძველზე.



მომდევნო ეტაპზე კვლევისათვის შერჩეული ორენოვანი ტექსტების მანუალური დამუშავება დავიწყეთ, რაც შეიძლება აღვწეროთ, როგორც მანქანური ანალიზისათვის მოსამზადებელი წინასწარი ანალიტიკური პროცესი. მარკირებული ტექსტები განთავსდა პროგრამულ ანალიზატორში, მიღებული მონაცემების საფუძველზე სამეცნიერო კვლევა თარგმანმცოდნეობის მიმართულებით ჩავატარეთ.

# თავი I. კორპუსლინგვისტიკა, როგორც ინოვაციური სამეცნიერო მიმართულება

## §1. კორპუსლინგვისტიკის გაგებისთვის

კორპუსლინგვისტიკაზე საუბრისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავერკვეთ თავად კორპუსის რაობაში. სიტყვა „corpus“ (მრ. „corpora“) ლათინური წარმოშობისაა და ქართულად „სხეულს“ ნიშნავს. თითქოს უცნაურიცაა, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს მას ლინგვისტიკასთან. თუ ჩავუღრმავდებით, „კორპუსი“ ამ შემთხვევაში ასოცირდება ერთ მთლიანობასთან. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ ისევე როგორც სხეული ასოცირდება ცოცხალ ორგანიზმთან, კორპუსიც წარმოადგენს ენის გაციფრებულ ელემენტთა კინეტიკურ ერთობლიობას და არა უბრალოდ ენობრივ ელემენტთა უმოქმედო, „უსიცოცხლო“, სტატიკურ ერთობლიობას.

განვიხილოთ ტერმინი „კორპუსი.“ მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს ინგლისურ ენაში. ენათმეცნიერებაში გვეხმის ტერმინი „კორპუსი“, როგორც „ტექსტების კრებული, რომელიც გამოყენებული იქნება ლინგვისტური ანალიზისთვის. „კორპუსში დაფიქსირებული ენა ბუნებრივია“ (ტოგენინი - ბონელი, 2001: 2). სინკლერმა კორპუსი განსაზღვრა, როგორც „ბუნებრივად წარმოქმნილი ენობრივი ტექსტის კრებული, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფოსთვის ან ენის მრავალფეროვნებისთვის“ (Sinclair, 1991: 171). 2005 წელს მან ჩამოაყალიბა კორპუსის უფრო ზუსტი განსაზღვრება, რადგან „კორპუსი არის ტექსტების ერთობლიობა ელექტრონული ფორმით, რომელიც შეირჩა გარე კრიტერიუმების შესაბამისად და შეძლებისგვარად წარმოადგენს ენის მრავალფეროვნებას, როგორც მონაცემთა წყაროს“ (Sinclair, 1991: 171).

საკუთრივ ენობრივი კორპუსის მრავალგვარი განმარტება გვხვდება. განვიხილავთ რამდენიმე მათგანს, რათა ნათელი წარმოადგენა შეგვექმნას კორპუსის რაობაზე და შევეცდებით შევჯერდეთ მის შედარებით ადეკვატურ, საბოლოო განსაზღვრებაზე.

კემბრიჯის ლექსიკონში ენობრივი კორპუსი განმარტებულია, როგორც წერილობითი ან ზეპირი მასალების ერთობლიობა, რომლებიც თავმოყრილია კომპიუტერში და რომლის მეშვეობითაც ვარკვევთ, თუ როგორ გამოიყენება ენა (<https://dictionary.cambridge.org>).

კ. შერერის განმარტებით, კორპუსი არის ავთენტური ენობრივი რესურსების ერთობლიობა (შერერი, 2006:12). მ. თანდაშვილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტექსტური კორპუსის სახით საქმე გვაქვს ერთგვარ „საცავთან“, რომელიც მასში ინტეგრირებული კორპუსული ელემენტების გარკვეული ნიშნის მიხედვით მოძებნის საშუალებას იძლევა (თანდაშვილი, 2014: 26).

ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე კორპუსს ხშირად აიგივებდნენ ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან, თუმცაღა კატეგორიულად არ ვეთანხმებით მსგავს მოსაზრებას. კორპუსი არ გვაწვდის ინფორმაციას მხოლოდ ცალკეული ავტორის და ტექსტების შესახებ, არ არის უბრალოდ ტექსტების ელექტრონული ვერსია, არამედ მკვლევრებისა და დაინტერესებულ პირთათვის ერთგვარი „მარჯვენა ხელი“, ზღვა ინფორმაციაა ამა თუ იმ საკვლევო თემის ირგვლივ. მასში შეგვიძლია მოვიპოვოთ არა უბრალოდ ტექსტები, არამედ ენობრივი ფაქტები და დავინახოთ მათ შორის არსებული ურთიერთმიმართება. შესაბამისად, კორპუსი შეგვიძლია განვიხილოთ არა როგორც მონაცემთა უბრალო ბაზა, არამედ როგორც სტრუქტურირებული საძიებო ველი.

კორპუსის შექმნას წინ აუცილებლად უსწრებს კორპუსის კონცეპტუალიზაცია. წინასწარ უნდა განისაზღვროს, თუ რა ტიპის კორპუსის შექმნას ვაპირებთ, რა რესურსებს უნდა ეყრდნობოდეს ის, რა კატეგორიის მომხმარებელზეა გათვლილი, აგრეთვე, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

კორპუსის რაობაზე საუბრისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი განვითარების საფეხურების განხილვა. ელექტრონული კორპუსი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ის ამერიკელი მკვლევრების: ნელსონ ფრენსისისა და ჰენრი კუჩერას სახელს უკავშირდება, რომელთაც კორპუსის შექმნის პირველი მცდელობა ჰქონდათ. კერძოდ, შექმნეს ამერიკული ინგლისური ენის მონაცემთა ბაზა, რომლის შესახებაც საუბარია მათ მიერ 1967 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით “Computational Analysis of Present-Day American English”. მათ წინ უსწრებდა ბრაუნის კორპუსი – ამერიკული ინგლისური ენის კორპუსის პირველი ვერსია, რომელიც 1960 წელს შეიქმნა.

ელექტრონული ბიბლიოთეკისაგან კორპუსის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ მისი მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა, რომელიც სამ არსებით კომპონენტს შეიცავს, როგორებიცაა: პირველადი მონაცემები, მეტამონაცემები და სპეციალურად შემუშავებული კორპუსმენეჯერი (თანდაშვილი, 2006: 27).

**პირველადი მონაცემი** წარმოადგენს კორპუსის უმთავრეს, საბაზისო კომპონენტს. ეს არის კოჰერენტული ტექსტი, რომელიც ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს დედანს.

რაც შეეხება **მეტამონაცემებს**, ისინიც კორპუსის არანაკლებ მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ. ისინი თავისთავად შეიცავენ გარკვეულ მონაცემებს ენობრივი ელემენტების შესახებ, ანუ გვაწვდიან უფრო ფართო, მაკონკრეტებელ ინფორმაციას უკვე არსებული პირველადი ენობრივი მონაცემების შესახებ.

და ბოლოს, კორპუსის ერთ-ერთი შემადგენელი ერთეული, რომელიც მას განსხვავებს ინფორმაციის ან ტექსტების უბრალო ელექტრონული ნუსხებისაგან, თვით ელექტრონული ბიბლიოთეკისაგან, არის **კორპუსმენეჯერი**. ეს არის უმთავრესი ელემენტი, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება კორპუსში. კორპუსმენეჯერი უზრუნველყოფს ძიებას გარკვეული პარამეტრების მიხედვით, როგორცაა, მაგალითად, მორფოლოგიური მონაცემების მიხედვით (მაგალითად: მოვიძიოთ იურიდიულ დოკუმენტებში ყველაზე ხშირად განმეორებადი ზმნები ან ზედსართავი სახელები) ან თვით კორპუსის მეტამონაცემების მიხედვით (მაგალითად: კონკრეტულ წელს კონკრეტულ სახელმწიფოში გამოშვებული ნორმატიული აქტები).

ნებისმიერი კორპუსის შექმნისას გასათვალისწინებელია მისი მოცულობა, რომელიც ტოკენებში (token) იზომება. ის კორპუსის უმცირეს შემადგენელ ელემენტად მიიჩნევა. ტრადიციულ ლინგვისტიკაში მას ცნება „სიტყვაფორმა“ შეესაბამება (მ. თანდაშვილის ლინგვისტური გვერდი). კორპუსის მოცულობის განმსაზღვრელ მეორე ელემენტად მიჩნეულია ტიპი (type), რომელიც უდრის n-ტოკენს შესაბამისად, ტოკენი განსაზღვრავს ამა თუ იმ კორპუსის მოცულობას მისი შემადგენელი უმცირესი ელემენტების რაოდენობის მიხედვით, ხოლო ტიპი – კორპუსში გამოყენებულ ელემენტთა მრავალფეროვნებას. კორპუსის მოცულობას განაპირობებს სწორედ მასში გამოყენებული ტოკენებისა და ტიპების სიხშირე (ფრეკვენტულობა). შესაბამისად, რაც უფრო მეტი ტოკენი და ტიპი გვხვდება კორპუსში, მით უფრო დიდია იგი. მაგალითად, ბრიტანული ეროვნული კორპუსი (British National Corpus) – 100 მილიონი ტოკენის მოცულობა, ვებკორპუსი (Corpora from the Web) – 9 მილიარდი ტოკენის მოცულობა. კორპუსის შექმნას, როგორც წესი, წინ უძღვის კორპუსის კონცეპტუალიზაცია, წინასწარი განსაზღვრა, თუ რა ტიპის კორპუსი უნდა შეიქმნას და რა

რესურსებს უნდა მოიცავდეს იგი, ვინ უნდა იყოს კორპუსის მომხმარებელი და და ა. შ. კორპუსი აქ ჩამოთვლილი პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, იგი ტექსტების დიდი ოდენობაა, რომლებიც შეიცავს ათასობით ან მილიონობით სიტყვას "(ბეიკერ ეტლი (2006, გვ .48).

კორპუსის მოცულობის, სტრუქტურისა და გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე კორპუსის რამდენიმე სახეს განასხვავებენ. კორპუსის სახეების შესახებ ინფორმაციის მოძიების საფუძველზე ყურადღება გავამახვილეთ შემდეგი სახის კორპუსებზე: 1. რეფერენციული კორპუსი – კორპუსი, რომელიც კვლევას აწარმოებს სხვა კორპუსების მასალებთან მიმართებაში; 2) ერთენოვანი კორპუსი (მონოლინგვური); 3) მრავალენოვანი (მულტილინგვური) კორპუსი; 4) ანოტირებული კორპუსი; 5) პარალელური კორპუსი – ერთ ენაზე არსებული ტექსტების სხვადასხვა ვერსიის ან სხვადასხვა ენაზე შექმნილი ერთი და იმავე ტექსტის შეპირისპირების საფუძველზე იქმნება; 6) თემატური კორპუსი – კორპუსი, რომელიც შექმნილია სპეციალური თემატიკის მიხედვით გაერთიანებული ენობრივი რესურსების ბაზაზე, როგორებიცაა, მაგალითად, პოლიტიკური კორპუსი, პრესის კორპუსი და სხვა. ჩვენი საკვლევი თემა ეფუძნება იურიდიულ მასალებს, შესაბამისად, ის იურიდიულ თემატურ კორპუსს განეკუთვნება. ამასთანავე, ის ერთგვარ შერეულ კორპუსთან რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ, ვინაიდან თემატურთან ერთად ანოტირებული და პარალელური კორპუსის სახეებსაც მოიცავს. ყოველივე აღნიშნული მომდევნო თავებში უფრო დაწვრილებით გვაქვს განხილული.

კორპუსებს ასევე განასხვავებენ ტიპების მიხედვით, მათში განთავსებული მასალების გათვალისწინებით. შესაბამისად, კვლევის დროს გვხვდება შემდეგი ტიპის კორპუსები: 1) ისტორიული კორპუსი – მოიცავს ენის ისტორიული განვითარების პერიოდში შექმნილ ავთენტურ მასალას, რაც დიაქრონიულ კვლევას უწყობს ხელს; 2) ანოტირებული კორპუსი, რომელიც მასში ჩაშენებული სპეციალური პროგრამის საშუალებით ლექსემათა ავტომატურ ანოტირებას ახდენს; 3) ეროვნული კორპუსი, რომელშიც განთავსებულია ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო ენის ისტორიული და თანამედროვე მემკვიდრეობა, როგორებიცაა, მაგალითად, ამერიკული ინგლისურის ეროვნული კორპუსი (22 მლნ. ტოკენი), ბრიტანეთის ეროვნული კორპუსი (100 მლნ. ტოკენი), ქართული ენის ეროვნული კორპუსი (130 მლნ. ტოკენი).

მსგავსად ნებისმიერი კვლევისა, კორპუსული კვლევის დროს უპირველესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეთოდებს. გამომდინარე იქიდან, რომ კორპუსი ეყრდნობა დიდ მონაცემებს (Big Data), მათი დამუშავება შეუძლებელია კვლევის ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, ეს აღემატება მრავალი მკვლევრის ერთობლივ ინტელექტუალურ შესაძლებლობებსაც კი. აუცილებელი ხდება სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენება. კორპუსლინგვისტები (ს.შრაიბმანი, დ.ბერი, მ. თანდაშვილი, რ. ხალვაში და სხვანი) დიდ მონაცემებს სხვადასხვა ნიშან-თვისების მიხედვით ახასიათებენ, რომელთაგან კორპუსული კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი: მოცულობა (volume), სიჩქარე (velocity) - მონაცემთა დამუშავების სიჩქარე, მრავალფეროვნება (variety), უტყუარობა (veracity) და ცვალებადობა (variability).

იგივე კორპუსლინგვისტები აღიარებენ დიდი მონაცემების ანალიზის სხვადასხვა მეთოდს, რომელთაგან განსაკუთრებით გამოვყოფდით შემდეგს: მონაცემთა მოპოვება (Data Mining), თანამშემკრებლობა (Crowdsourcing) – მონაცემთა კატეგორიზაცია და გამდიდრება მრავალი ადამიანის მონაწილეობით საჯარო შეთავაზების საფუძველზე; სხვადასხვა წყაროს მონაცემთა შერწყმა და ინტეგრაცია (Data Fusion and Integration), მანქანური შესწავლა (Machine Learning), მოდელების ამოცნობა (Pattern Recognition), პროგნოზული ანალიტიკა (Predictive Analytics), სიმულაციური მოდელირება (Simulation Modeling), სივრცობრივი ანალიზი (Spatial Analysis), სტატისტიკური ანალიზი, ანალიტიკური მონაცემების ვიზუალიზაცია.

მეცნიერები იყენებენ მონაცემთა მოპოვების (Data Mining) მეთოდს. საგულისხმოა, რომ ტერმინი **data mining** (რომელიც ეკუთვნის გ. პიატეტსკი-შაპიროს, 1989 წ.), დიდი მონაცემების მსგავსად (**Big Data**), წიაღისეულის ანალოგიით შეიქმნა. ინგლისურიდან თარგმნისას **mining** მოპოვებას ნიშნავს. მართლაც, კოლოსალური მოცულობის ინფორმაციიდან მოიპოვებენ კვლევისთვის საჭირო მასალას. მონაცემთა მოპოვების გზით შესაძლებელია ადრე ნაკლებად შესწავლილი, ხშირ შემთხვევაში უცნობი, პრაქტიკულად გამოყენებადი და ინტერპრეტაციისათვის ხელსაყრელი მონაცემების მოძიება, გადამუშავება და გამოთვლა. ჩვენი მიზანია, არა უკვე არსებული ჯგუფების კლასიფიკაცია, არამედ ახალი ჯგუფებისა და კანონზომიერებების გამოვლენა დიდ მონაცემთა ბაზებში. ეს გახლავთ მონაცემთა ბაზებში ცოდნის

ადმოჩენის პროცესის მანქანური დამუშავების ეტაპი. ეს უკანასკნელი კი ჰიპოთეზების განერირების, ვერიფიცირების და დაზუსტების საშუალებას გვაძლევს.

მონაცემთა მოპოვებისას პრაქტიკოსი თუ თეორეტიკოსი კორპუსლინგვისტიკის მიერ გამოიყენება და ტრადიციული თეორიული მიდგომები და თანამედროვე დიგიტალური ჰუმანიტარიის მეთოდები, როგორებიცაა: მონაცემთა ბაზები (**Database**) – ელექტრონული ინფორმაციის, ციფრული ობიექტების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც მონაცემებს ავტომატურ რეჟიმში ვეძიებთ და დავამუშავებთ; ხელოვნური ინტელექტი (**Artificial Intelligence**) – ავტომატური სისტემის თვისება, რომელსაც გააჩნია ადამიანური ინტელექტის გარკვეული ფუნქციები; მანქანური შესწავლა (**Machine Learning**) – სპეციალურად შემუშავებული კომპიუტერული ალგორითმები, რომლებსაც აქვთ მუშაობის პროცესში ავტომატურად გაუმჯობესების (**დაჭკვანების**) უნარი, რაც იმთავითვე პროგრამირებულია მასში; **ალგორითმიზაცია** – წინასწარ შედგენილი ალგორითმების გამოყენება დასახული ამოცანის კომპიუტერის მეშვეობით გადაჭრის მიზნით.

მონაცემთა მოპოვება საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია რომელიც კორპუსლინგვისტიკაში აპრობირებულ სხვადასხვა ეტაპად წარიმართება. თავისუფალი ძიება (**Discovery**), რომლის დროსაც გარკვეული კანონზომიერებების გამოვლენა დედუქციური მეთოდით ხდება, – კერძოდან ზოგადისაკენ; **ვალიდაცია** – იმის დასადასტურებლად, რომ შეიქმნა სწორი პროდუქტი; **ვერიფიცირება** მონაცემთა გადამოწმება; პროგნოსტიკური მოდელირება (**Predictive Modeling**) – აღნიშნულ ეტაპზე გამოვლენილი კანონზომიერებები უცნობი მნიშვნელობის პროგნოზირებისათვის გამოიყენება; გამონაკლისების ანალიზი (**Forensic Analysis**) – აღნიშნულ ეტაპზე კანონზომიერებებში მიკვლეული ანომალიების გამოვლენა და ახსნა ხდება. მონაცემთა მოპოვების შემდეგი პროცესია ტექსტის კოდირება, ანუ მოპოვებულ მონაცემთა სტრუქტურირება. კორპუსში მონაცემთა სტრუქტურირების ყველაზე გავრცელებულ საშუალებად მარკირება მიიჩნევა. **მარკირება** (mark-up) შეიძლება განვმარტოთ, როგორც **მონიშვნა**, შესაბამისად, იგი გულისხმობს თეგების გამოყენებას, რომლებიც დაერთვის სიტყვებს და ფრაზებს. თეგების (tag) სხვადასხვა ფორმა გამოიყენება. ვიზუალურად თეგები შეიცავს ასობგერებსა და გარშემორტყმულ სიმბოლოებს კუთხური ფრჩხილების სახით (<...>). თეგები, როგორც წესი, წყვილებადაა წარმოდგენილი, მაგალითად: <n> და </n>. პირველი განიხილება,

როგორც საწყისი თეგი, ხოლო მეორე – როგორც სასრული. საწყის და სასრულ თეგებს შორის თავსდება ტექსტი – საანალიზო მასალა, რომელსაც შიგთავსის სახელწოდებით მოიხსენიებენ. შიგთავსი თეგებში გვხვდება როგორც დიდი, ასევე პატარა ასობგერებით ჩაწერილი, მაგალითად: <n > ან <N >, თუმცა ეს არსებითად არ განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან. თეგები, როგორც წესი, იერარქიული სტრუქტურის მქონეა და ისინი ტექსტშია ჩაშენებული. ჩვენი კვლევისას შევიმუშავეთ სპეციალური თეგები, რომელთა გამოყენებასაც დაეფუძნა საანალიზო ტექსტების მარკირება წინასწარ შექმნილი პროგრამული ანალიზატორისთვის.

შესაბამისად, ნებისმიერი მარკირება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ტექსტის ინტერპრეტირების საშუალება. ტექსტში გარკვეული ჩარევის გზით მასში დამატებით კოდირებულ ინფორმაციას ჩავტვირთავთ, რაც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს, გავანალიზოთ იგი, განვახორციელოთ კვლევა, შევადაროთ იგი სხვა ტექსტებს. აქედან გამომდინარე, მარკირება კორპუსლინგვისტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია.

როგორც აღვნიშნეთ, თეგირება დროში საკმაოდ გაწელილი, შრომატევადი და, იმავედროულად, საინტერესო პროცესია. იგი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს.

ზემოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით თეგირების პირველ ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ სქემისა და მოდელის შერჩევა დასმული ამოცანის შესაბამისად, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის ანალიზი გვსურს ტექსტში, როგორებიცაა, მაგალითად, კულტურული თავისებურებები, გენდერული ბალანსი თუ, ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი თემის შემთხვევაში, **იურიდიული ტექსტების** თარგმნის ეკვივალენტობის პრობლემა პარალელურ ტექსტებში. თეგების ნაკრები უნდა შეირჩეს იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შეესაბამება ის როგორც ტექსტის თემას, ასევე დასახულ კვლევით სამუშაოს. მაგალითად, ჩვენ მიერ ჩასატარებელი კვლევის შემთხვევაში, კორპუსში შესატანი მასალის ავტომატურ და ნახევრავტომატურ რეჟიმში დამუშავების დროს თეგირებას ვახორციელებთ სამ ეტაპად: 1. მორფოლოგიური ანალიზი, 2. სინტაქსური ანალიზი, 3. სემანტიკური ანალიზი. მომდევნო თავებში შემოგთავაზებთ კონკრეტულ მაგალითებს, მათს ანალიზსა და დასკვნებს.

ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და გავრცელებულ ფორმას მონაცემთა ვიზუალიზაცია წარმოადგენს. ეს



უკანასკნელი დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო და სტატისტიკურ კვლევებში, მონაცემთა მოპოვების სფეროში და სხვა, მათ შორის დიგიტალურ ჰუმანიტარიაშიც.

დიგიტალურ ჰუმანიტარიაში ფართოდაა გავრცელებული ვიზუალიზაციის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ვირტუალური რეკონსტრუქცია, 3D მოდელირება (3 Dimensions – 3- განზომილებიანი მოდელირება), სივრცობრივი რეპრეზენტაცია, ვიზუალიზაციის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: გრაფები და ცხრილები. ისინი ფართოდ გამოიყენებიან კორპუსის აგებისთვის საჭირო სტრუქტურირებული მონაცემების აღწერის მიზნით, ასევე სიტყვების /თეგების ღრუბელი (word/tag cloud), რომელიც დღესდღეობით ტექსტური მონაცემების ვიზუალიზაციის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა<sup>1</sup>, იხ. ვებგვერდი TagCrowd და მისი ანალოგები. მისი მეშვეობით აღიწერება ტექსტის საკვანძო სიტყვები, კერძოდ, ესაა მათი გამოყენების სიხშირის ანუ „წონის“ ვიზუალიზაცია. სიტყვა „წონა“, ჩვეულებისამებრ, გამოიხატება განსხვავებული შრიფტის ზომით ან ფერის ტონალობით (პროგრამა Voyant).

---

<sup>1</sup> <https://tagcrowd.com/>

## §2. კორპუსლინგვისტიკა როგორც კვლევითი მეთოდოლოგია

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებამ ლინგვისტიკის განვითარებაში ბუნებრივად წარმოშვა პარალელური კორპუსების შექმნისა და თარგმანმცოდნეობის ახალი მეთოდოლოგიით კვლევის აუცილებლობა. დარგის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თარგმანმცოდნეობის კვლევითი მიმართულებები ეფუძნებოდა შეპირისპირებით ლიტერატურათმცოდნეობასა და ლინგვისტიკას, ხოლო 1990-იანი წლებიდან დაიწყო თარგმანის შესწავლა კულტურათმცოდნეობის კონტექსტში. მიუხედავად კვლევითი მიმართულებების აქტუალურობის ცვალებადობისა, ღირებული სამეცნიერო დასკვნების ჩამოყალიბებისათვის უცვლელი რჩება სამუშაო პრინციპი: ვრცელი ემპირიული მასალის: დედნისა და თარგმანის ტექსტების მიზნობრივი კვლევისათვის მოძიება, შეროვება და ანალიზი.

კორპუსლინგვისტიკა დიგიტალური ჰუმანიტარიის შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც მეცნიერების ორი დარგის: ჰუმანიტარიისა და ინფორმატიკის შერწყმის საფუძველზე წარმოიშვა. იგი, როგორც ერთგვარი „სიმბიოზი“, საკმაოდ სწრაფად განვითარდა თეორიული ლინგვისტიკისა და ინფორმატიკის განვითარების პარალელურად და სულ მალე ინტერდისციპლინურ სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბდა. სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს კითხვა: არის თუ არა კორპუსლინგვისტიკა დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა და თუ ეს ასეა, რა განსხვავებაა კორპუსლინგვისტიკასა და ტრადიციულ ლინგვისტიკას შორის.

კამათის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ კორპუსლინგვისტიკა საერთაშორისო კლასიფიკაციაში (DDC – Dewey Decimal Classification, სამეცნიერო დარგების სისტემატიზაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საერთაშორისო კლასიფიკაცია, შემუშავებული ამერიკელი მკვლევარის მელვილ დივის მიერ და UDC – Universal Decimal Classification – სამეცნიერო დარგების სისტემატიზაციის ევროპული კლასიფიკაცია (შექმნილი ბელგიელი მკვლევარების პაულ ოთლეტის და ჰენრი ფონტენის მიერ 1895 წელს) არ არის ასახული, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა. „ლინგვისტიკას საკუთარი კოდი აქვს (DDC-ში 4[00], UDC-ში კი 8), ხოლო ინფორმატიკას – საკუთარი (004 DDC- ში და UDC-შიც )“ (თანდაშვილი, 2014:13).

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში უახლესი ტექნოლოგიების განვითარებამ და, იმავდროულად, ტექნოლოგიზაციის პროცესში თეორიული კვლევების ინტენსიურად გამოყენების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა **ინტერდისციპლინური** (თანდაშვილი, 2014:14), ორი დარგის შერწყმის საფუძველზე აღმოცენებული კვლევების განვითარება. უფრო მეტიც, განვითარდა მულტიდის-ციპლინური და ტრანსდისციპლინური კვლევებიც.

მკვლევართა შორის ასევე აზრთა სხვადასხვაობას ვაწყდებით იმ საკითხთან დაკავშირებით, კორპუსლინგვისტიკა დამოუკიდებელი დისციპლინაა თუ უბრალოდ კვლევის ახალი მეთოდი. უმთავრესი პრობლემა, რომელიც თავს იჩენს კორპუსლინგვისტიკის მიმართ, არის კორპუსლინგვისტიკის კვლევის ობიექტის განსაზღვრა. ერთი შეხედვით, პასუხი ადვილია: კორპუსლინგვისტიკის, ისევე როგორც ლინგვისტიკის ნებისმიერი მიმართულების, კვლევის ობიექტი ენაა. ამასთანავე, ტრადიციული ლინგვისტიკისაგან განსხვავებით, ის აღჭურვილია ენობრივი მონაცემების ციფრული დამუშავების თანამედროვე ინსტრუმენტებით, მაგრამ მხოლოდ ეს განმასხვავებელი ნიშანი არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ კორპუსლინგვისტიკა აღიარონ დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად. როგორც ცნობილია, დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინაზე შეგვიძლია ვისაუბროთ იმ შემთხვევაში, როდესაც მას აქვს ცალსახად გამოკვეთილი კვლევის მიზანი, საგანი და კვლევის საკუთარი მეთოდები. აქედან გამომდინარე, კორპუსლინგვისტიკის არსის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს კორპუსლინგვისტიკის მიზანი, კერძოდ მისი, როგორც ინტერდისციპლინური დარგის, სამეცნიერო ამოცანები.

კორპუსლინგვისტიკა დღესდღეობით შედარებით ახალი მიმართულებაა და ჯერ კიდევ კვლევის და ჩამოყალიბების პროცესშია, ამიტომ მისი განსაზღვრებებიც არაერთგვაროვანია. ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა მკვლევრის მიერ შემოთავაზებული განმარტებები, რომლებიც განსხვავებული პოზიციებიდან გამომდინარეა ჩამოყალიბებული. შევეცადეთ, ჩაგვეტარებინა რამდენიმე მათგანის შეპირისპირებითი ანალიზი, რათა ჩვენთვის შესაძლებელი გამხდარიყო ჩვენი შეხედულებისამებრ, ყველაზე მისაღები და შედარებით ამომწურავი განმარტების შეჯერება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კორპუსლინგვისტიკაში თეორიული შრომების უმრავლესობის შესწავლისას მივედით იმ დასკვნამდე, რომ ისინი პრაქტიკოსი კორპუსლინგვისტების მიერაა დაწერილი, რაც დასტურია იმისა, რომ ინტერდისციპლინურ მეცნიერებებში

წაშლილია ზღვარი თეორიასა და პრაქტიკას შორის. თუკი ადრეულ პერიოდში ლინგვისტური კვლევები ძირითადად თეორიით შემოიფარგლებოდა და მხოლოდ შემდეგ ინერგებოდა ისინი პრაქტიკაში (ანუ პროცესი „ზემოდან – ქვემოთ“), კორპუს-ლინგვისტიკის თეორიული შრომები უშუალოდ პრაქტიკულ კვლევებს ეყრდნობა (პროცესი „ქვემოდან – ზევით“). უფრო მეტიც, თეორიულად დამტკიცებული მასალა კვლავ პრაქტიკული გამოყენებისთვისაა განკუთვნილი („ქვემოდან – ზევით – ქვევით“). დავუბრუნდეთ ცალკეული მკვლევრის მიერ შემოთავაზებულ კორპუსლინგვისტიკის განმარტებებს და მათს ანალიზს:

მკვლევართა ნაწილი კორპუსლინგვისტიკას განიხილავს, როგორც მეთოდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ლინგვისტური პრობლემები დიგიტალურ ტექსტებზე დაყრდნობით ვიკვლიოთ. კვლევის განსახორციელებლად საჭიროდ მიიჩნევა ენის წერილობითი და ზეპირმეტყველების ნიმუშების გაციფრება და მათი ანოტირება მეტყველების ნაწილების მიხედვით. უმეტესწილად კვლევის ზოგი ასპექტი მოითხოვს დიდი მოცულობის მონაცემების გადამუშავებას, რომელიც უფრო დეტალურ, ავტომატურ ანოტაციას საჭიროებს (კომპიუტერული ლინგვისტიკის პორტალი <http://www.computerlinguistik.org/portal/portal.html?s=Korpuslinguistik>).

კორპუსლინგვისტიკის ზემოთმოყვანილი განმარტებებიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად ძნელია, შევჯერდეთ მის ცალსახა დეტერმინაციაზე, თუმცა მათზე დაყრდნობით შეგვიძლია თავი მოვუყაროთ ცალკეულ პუნქტს, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებენ კორპუსლინგვისტიკის მიზანს, კერძოდ:

კორპუსლინგვისტიკა, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ავთენტურ ენობრივ რესურსებს, 2) გაციფრებულ რესურსებს, 3) იყენებს დიდი მოცულობის ემპირიულ მასალას.

დიგიტალური ჰუმანიტარია აქტიურად ვითარდება საქართველოში. 2012 წლიდან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად იმართება საერთაშორისო საზაფხულო სკოლა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში. დღემდე ჩატარდა ექვსი საზაფხულო სკოლა, რომლის ძირითადი თემაა დიგიტალური ჰუმანიტარია და კორპუსლინგვისტიკა.

2019 წლის ოქტომბერში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებულ თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრს ეწვია საარლენდის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი ეკატერინა ლაფშინოვა-კოლტუნსკი.

ლაფშინოვა-კოლტუნსკის სამეცნიერო კვლევებს შორის აღსანიშნავია ადამიანისა და მანქანური თარგმანის ვარიანტების შედარებითი ანალიზი მათ ინგლისურენოვან ტექსტებთან და კომპარატიულ გერმანულ ორიგინალებთან. კვლევის მიზანი მათ შორის განსხვავებისა და მსგავსების დადგენა გახლდათ. მისმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ადამიანურ და მანქანურ თარგმანებს შემდეგი საერთო მთარგმნელობითი მახასიათებლები აქვთ: გამარტივება, განმარტება, ნორმალიზაცია და კონვერგენცია (Lapshinova-Koltunski, 2015:71-93). თანამშრომლობითი ვიზიტის ფარგლებში, პროფ. ლაფშინოვა-კოლტუნსკიმ პრეზენტაციის სახით წარმოგვიდგინა კორპუსის განმარტებები სხვადასხვა ავტორების მიერ. ერთმანეთს შევადარეთ ერთენოვანი და მულტილინგვური კორპუსები. ორენოვან და მრავალენოვან კორპუსებში ტექსტები დალაგებულია რეგისტრისა და ჟანრის მიხედვით.

კორპუსი მოიცავს:

1. ნედლი მასალა - ავთენტური ენობრივი მონაცემები, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ტექსტური, ისე აუდიო ან ვიდეოს სახით;

2. მეტაინფორმაცია- მონაცემები მონაცემთა შესახებ. ინფორმაცია ენის, მონაცემთა ზომის, ფორმატის, ავტორის და სხვათა შესახებ;

3. ანოტაცია - ლინგვისტური მეტაინფორმაცია.

ასევე განვიხილეთ ლექსიკური მონაცემთა ბაზების ტიპები და თეზაურუსი. ლექსიკური მონაცემების დაძებნა მონაცემთა ბაზებში ხდება შემდეგი პროგრამების გამოყენებით:

1. **WordNet, GermaNet** (<https://wordnet.princeton.edu/>, <http://www.sfs.uni Tuebingen.de/GermaNet>)

2. **DWDS** (Das Digitale Wörterbuch der deutschen Sprache) <http://www.dwds.de/>)

3. **Kicktionary** (<http://www.kicktictionary.de>)

**WordNet** - ის პროგრამით ძიება მოიცავს ლექსიკური ერთეულის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვებას, როგორცაა კონკრეტული მეტყველების ნაწილის კონტექსტუალური მნიშვნელობები.

**DWDS** - საძიებო სისტემის მიზანია გარკვეული სიტყვის სინონიმთა ჯგუფების დაძებნა.

რაც შეეხება **Kicktionary** - ეს არის მრავალენოვანი ლექსიკონი, სადაც შეიძლება მოვიძიოთ სპორტის სახეობათა ტერმინები სქემების სახით.

პროფ. ლაფშინოვა-კოლტუნსკის სემინარი შეეხებოდა კვლევისთვის შესაბამისი კორპუსებსა და კორპუსში არსებული ტექსტების შერჩევის პრინციპებს. მკვლევარმა გაგვაცნო საკვლევი მასალის ავტომატურ რეჟიმში თეგირების MMAX2 - ტექსტების ანოტაციათა შექმნისა და ვიზუალიზაციის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც იყენებს მონაცემთა მოქნილ XML ფორმატს, ასევე ინფორმაციისა და დანართი მასალის ვიზუალიზაციის თანამედროვე მეთოდებს, ასევე, ევროკავშირში აპრობირებულ კორპუსთა საძიებო პროგრამა OPUS-ი, რომელიც დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საჭირო ინფორმაციას ოცზე მეტ ენაზე, თუმცაღა ქართულ ენაზე, სამწუხაროდ, დღესდღეობით მასალები არ იძებნება. ჩვენი კვლევის მიზანიც სწორედ ქართულენოვანი ანოტირებული ტექსტების ბაზის შექმნა და მათი კორპუსული კვლევის პრეცედენტის დაშვებაა.

კოლტუნსკიმ მოგვაწოდა თეგების ნაკრები მეტყველების ნაწილებისთვის, რისი საშუალებითაც შესაძლებელია კონკრეტული მეტყველების ნაწილის თეგირება სქესის, რიცხვისა და ბრუნვის მიხედვით. ანუ შესაძლებელია კორპუსში მოვიძიოთ ნებისმიერ ფორმაში მყოფი სიტყვა. იხილეთ სურ.1.

## Penn Treebank Tagset

CC	Coordinating conjunction
CD	Cardinal number
DT	Determiner
EX	Existential <i>there</i>
FW	Foreign word
IN	Preposition / subjunctin
JJ	Adjective
JJR	Adjective, comparative
JJS	Adjective, superlative
LS	List item marker
MD	Modal
NN	Noun, singular or mass
NNS	Noun, plural
NNP	Proper noun, singlar
NNPS	Proper noun, plural
PDT	Predeterminer
POS	Possessive ending
PRP	Personal pronoun
PP\$	Possessive pronoun
RB	Advverb
RBR	Adverb, comparative
RBS	Advber, superlative
RP	Particle
SYM	Symbol
TO	<i>to</i>
UH	Interjection
VB	verb, base form
VBD	verb, past tense
VBG	Verb, gerund or pres. part.
VBN	verb, past participle
VBP	Verb, non-3rd p sing. pres.
VBZ	Verb, 3rd person sing. pres.
WDT	Wh-determiner
WP	Wh-pronoun
WP\$	Possessive wh-pronoun
WRB	Wh-adverb

07.10.2019

Corpus Linguistics

31 / 51

### სურ.1. თეგების ნაკრები

თეგებით აღჭურვულ წინადადებას შემდეგი სახე ექნება.

1. კვლევის აღწერა
2. დანართი: ტერმინების ლექსიკონი

## PoS-tagging formats

<i>The</i>	<i>students</i>	<i>want</i>	<i>to</i>	<i>learn</i>	<i>something</i>	<i>about</i>	<i>tagging</i>	.
DT	NNS	VBP	TO	VB	NN	IN	NN	SENT

```

<word pos="DT">The</word>
<word pos="NNS">students</word>
<word pos="VBP">want</word>
<word pos="TO">to</word>
<word pos="VB">learn</word>
<word pos="NN">something</word>
<word pos="IN">about</word>
<word pos="NN">tagging</word>
<word pos="SENT">.</word>

```

პროფესორ ლაფშინოვას დახმარებით, ასოცირების ხელსეკრულების ქართული ტექსტის ფრაგმენტისა და რამდენიმე თეგის გამოყენებით, შევქმენით ნიმუში MMAX2 პროგრამაში ანოტაციისთვის, საქალაქ სახელწოდებით “project”. ვხსნით აღნიშნულ საქალაქს, ეკრანზე ჩნდება კიდეც ერთი საქალაქ სახელწოდებით MMAX-terminology, რომელსაც ისეთივე აგებულება გააჩნია, როგორც ყველა დანარჩენ MMAX პროექტებს ( როგორიცაა: Basedata, Markabls, etc.)

ვხსნით პროგრამას MMAX2 და ვპოულობთ ზემოაღნიშნულ საქალაქს (MMAX-terminology) საძიებო ველის File>Load საშუალებით MMAX2 ფანჯარაში, გამოჩნდება ფაილი AA-geo.mmax, რომლის გახსნისას ვიხილავთ ასოცირების ხელსეკრულების ქართულენოვანი ტექსტის ნაწყვეტს XML ფორმატში და ანოტაციის პროგრამა დაიწყება. აღსანიშნავია, რომ MMAX2 პროგრამა ევროკავშირის წევრი თუ კანდიდატი ქვეყნების თითქმის ყველა ენას მოიცავს, გარდა ქართულისა. ეს გახლდათ მოცემულ პროგრამაში ქართულენოვანი ტექსტის შეყვანის ერთ-ერთი მცდელობა.



## II თავი. იურიდიული პარალელური ტექსტების კვლევის აპრობირებული მეთოდოლოგია უცხოეთის მოდელებზე დაყრდნობით

### §1. ასოცირების ხელშეკრულების თარგმანი სერბეთში

წინამდებარე ნაშრომში მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ის კორპუს-ლინგვისტიკური მეთოდები, რომლებიც ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში მკვლევრებმა გამოიყენეს ასოცირების ხელშეკრულების თარგმანისა და კორპუსლინგვისტიკური დამუშავების მიზნით; როგორც ცნობილია, ასოცირების ხელშეკრულების თარგმანის ხარისხის შეპირისპირებითი კვლევა ისეთ დოკუმენტში, როგორცაა წინამდებარე ხელშეკრულება, რომლის ნაწილიც უკვე ძალაშია და ნაწილიც, საქართველოს ევროკავშირში სრულად გაწევრების შემდეგ ყოველდღიურობის ნაწილი გახდება, თავისი მორფოსინტაქსით უაღრესად მნიშვნელოვანია, იგი ლინგვისტიკური ინტერესის საგანს წარმოადგენს. მასში ასახულია ახალი ტერმინები თუ ტერმინოლოგიური წარმონაქმნები, ამდენად, საინტერესოა მათი ქართულ შესატყვისებთან მისადაგების, ეკვივალენტების დამუშავების ლინგვისტიკურ-მთარგმნელობითი მიეზანი. ქართულ ტექსტში საკვლევა ისეთი მთარგმნელობითი გადაცდომები, როგორცაა: სიტყვასიტყვითი თარგმანი, ტრანსლიტერაცია, ტრანსკრიბირება, კალკირება, დედნის კონსტრუქციების გადმოღება ქართული ენისთვის დამახასიათებელი, ბუნებრივი სინტაქსური წყობის უგულებელყოფით, და ბოლოს, თარჯიმნის ცრუ მეგობრებით, ან ტერმინებისადმი დაუდევარი მიდგომით გამოწვეული მთარგმნელობითი შეცდომები.

განვიხილოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის, სერბეთის პრეცედენტი: კერძოდ, ჩვენი კვლევისათვის მიზანშეწონილია განვიხილოთ მ. ვუკჩევიჩის კვლევითი სტატია სათაურით: ევროკავშირის დირექტივები და სტანდარტები თარგმანისა და თარჯიმნობის შესახებ და მათი გამოყენება სერბეთში, ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, რომელიც სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესს გადის“.<sup>2</sup>

---

<sup>2</sup> Miodrag Vukčević

EU directives and standards on translating and interpreting and their implementation in Serbia as a non-EU country and a country in the Stabilization and Association Process (SAP)

მ. ვუკჩევიჩი წერს<sup>3</sup>, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაში მთარგმნელობითი შეცდომა ქვეყანას 20 მილიონი ევრო დაუჯდა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევა ჩვენს თემაში დაწვრილებით ანალიზს საჭიროებს, რათა (1) მხედველობაში მივიღოთ სერბეთის გამოცდილება და თავიდან ავირიდოთ სავალალო შემთხვევა, ფინანსური პრეცედენტი; (2) კიდევ ერთხელ დავსვათ საკითხი, იურიდიული დოკუმენტაციის ტერმინოლოგიის თარგმნის სწორი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობაზე;

კერძოდ, სერბეთის ეროვნული ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდის თანამშრომელთა მიერ არასწორი თარგმანის გამო ქვეყანაში არამარტო ფინანსური, არამედ საზოგადოებრივი პრობლემებიც წარმოიშვა.

#### **სერბეთის შემთხვევის განხილვა:**

სერბეთის ეროვნული ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდის დირექტორს მოსთხოვეს, ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი ბარათებით სარგებლობა დაევალებინა მოქალაქეებისთვის, ხოლო ეს ბარათები მათ საკუთარი ხარჯით უნდა დაემზადებინათ. სახელმწიფოს მხრივ ეს მოთხოვნა დაემთხვა გლობალურ ფინანსურ კრიზისს, რაც სერბეთს იმ დროისათვის დაატყდა თავს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დედანში არსებული ტერმინი ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათს კი არ აღნიშნავდა, არამედ ჯანმრთელობის შესახებ არსებულ ჩანაწერებს, რაც აღინიშნება ტერმინით health record. როგორც ჩანს, სერბ მთარგმნელებს ერთმანეთში აერიათ ტერმინების: health card და health record-ის მნიშვნელობები.

ვნახოთ, როგორ აღინიშნება ის ორი ტერმინი ინგლისურად, სრული დასახელებით, რამაც ასეთი მნიშვნელოვანი ცდომილება გამოიწვია:

#### **European Health Insurance Card (or EHIC) და the electronic health record.**

2004 წელს დაარსდა სერბეთის ევროინტეგრაციის სამსახური, როგორც ევროინტეგრაციის პროცესის მთავარი საკოორდინაციო სტრუქტურა. 2009 წელს თარგმანის

---

<sup>3</sup> “A wrong translation costs the citizens 20 million Euros. The ignorance of the employees in the National Health Insurance Fund” This news headline (Todorović 2013: 2) recently has aroused tempers. The director of the Serbian National Health Insurance Fund was taken to task for initiating the use of new health insurance cards despite the costs it will incur for the citizens at a time when the global financial crisis burst in upon Serbia. It is claimed that the health card, as it is called in translation, refers not to the health insurance card but to the health record. Although the translation from English to Serbian is obviously not wrong, confusions arose from the interference between the meanings of the European Health Insurance Card (or EHIC) and the electronic health record.

კოორდინაციის განყოფილება დაფუძნდა, რის შემდეგაც თავად თარგმანის კოორდინაციის სისტემა ჩამოყალიბდა.

თარგმნის სპეციალური განყოფილების ფუნქციები განაწილდა ორი მიმართულებით: პირველი ქვეგანყოფილება თარგმანების კოორდინაციას და იურიდიული ტერმინების რედაქტირებას უზრუნველყოფდა, ხოლო მეორე ქვეგანყოფილება ტექნიკური და ლინგვისტური ხარვეზების აღმოფხვრაზე მუშაობდა. აღნიშნული სპეცგანყოფილება მიზნად ისახავდა, შეექმნა **ევროკავშირთან ხელშეკრულების ეროვნული ფორმა**. ეს პროცესი შემუშავდა **ევროინტეგრაციის სამსახურისა** და სამთავრობო უწყებების თანამშრომლობით. თარგმანის დასაწყისში დამატებით აიყვანეს თავისუფალი სპეციალისტები, თუმცა დიდი სამუშაოების გამო, თარგმნისა და ტექნიკური შესწორებების პროცესში ჩართული იყო სერბეთის სხვადასხვა სამინისტროს თანამშრომლებიც.

ასოცირების სახელმწიფოებრივი ხელშეკრულების თარგმნა სერბეთში ყველაზე დიდი პროექტი გახლდათ. ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალიდან 120 000 გვერდი საკანონმდებლო აქტები უნდა თარგმნილიყო, სერბულ ენაზე ამ დოკუმენტის თარგმანი შეადგენს 200 000 გვერდს, რაც ეკვივალენტური შეპირისპირების შესაძლებლობას ზღუდავს. თარგმანსა და დედანს შორის გვერდების სხვაობა განპირობებულია სერბული ენის სინტაქსით და ფრაზეოლოგიის ახალი სემანტიკური მნიშვნელობით.

#### ასოცირების ხელშეკრულების თარგმნის ტექნიკური მხარე სერბეთში

იმისთვის, რომ დამტკიცდეს ის ტერმინები, რომლებიც გამოიყენება სერბეთის დაწესებულებებში და ზოგადად საზოგადოებაში, **სერბეთის რესპუბლიკის სტატისტიკური ცენტრი<sup>4</sup>** ლინგვისტურად ასწორებს ტექსტებს, დამატებით თათბირობს ამ საკითხებზე და შემდგომ ამტკიცებს თარგმნის სიზუსტეს. ამ პროცესის დასასრულს ჯგუფი, რომელიც მუშაობს ამ დოკუმენტის დამტკიცებაზე, ამზადებს დოკუმენტს ევროკავშირის დაწესებულებებთან გადასაგზავნად, სადაც მას დამატკიცებს ევროკავშირი მანამ, სანამ შედეგები სერბულ-ევროპული ინტეგრაციის ოფისის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

<sup>4</sup> <https://www.stat.gov.rs/en-us/>

სერბეთის სამთავრობო ადმინისტრაციამ ასოცირების ხელშეკრულების თარგმანზე მუშაობა რამდენიმე ეტაპად დაყო:

1. პირველ ეტაპზე ძირითად ტერმინებს მოუყარა თავი;
2. სამართლებრივი და ტექნიკური რედაქტირება განხორციელდა.

როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, თარგმანზე მუშაობის აღნიშნულმა საკოორდინაციო სქემამ არ გაამართლა, რადგან თარგმანის ხარისხი მაინც არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, რამაც სერბეთისა და ევროკავშირის ურთიერთდაახლოების პროცესის დროს არაერთი სირთულე გამოიწვია.

ჩვენ საყურადღებოდ მივიჩნიეთ, განგვხილა, თუ რა გახდა თარგმანის დაბალი ხარისხის მიზეზი.

თარგმნის პროცესი იგეგმება პირველ ეტაპზე (1) პრიორიტეტების დასახვით, რაც უმნიშვნელოვანესია; (2) შემდეგ დოკუმენტი უნდა მომზადდეს და გადაეცეს თარგმანს. მეორე ეტაპზე თარგმანის სიზუსტე უნდა შემოწმდეს მანამ, სანამ პირველი ეტაპის შედეგები დაარქივდება და შეინახება.

ამის შემდეგ დოკუმენტი იგზავნება (3) მესამე ეტაპზე: ტექნიკური რედაქტირებისთვის, რომლის დასრულების შემდეგ (4) დოკუმენტი ინახება და ტერმინები დაარქივდება – შეინახება კორპუსულ მონაცემთა ბაზაში, რომელსაც ციფრული ტერმინოლოგიური ბაზა ეწოდება. (5) შემდგომ ეტაპზე იგეგმება თარგმანის სამართლებრივი რედაქტირება და ბაზაში არსებული მონაცემების ხელახლა დაარქივება; (6) სამუშაოს მომდევნო ეტაპზე იგეგმება დოკუმენტის ლინგვისტური რედაქტირება.

როგორც სერბეთის მაგალითზე აღმოჩნდა, თარგმანის რედაქტირების სწორედ ეს თანმიმდევრობა იწვევს პრობლემებს, რასაც მკვლევარ ბერტლუტის ანალიზიც მოწმობს (Berteloot, 1999:101). ასოცირების ხელშეკრულებაზე მუშაობის პროცედურის არასახარბიელო შედეგები, კერძოდ, თარგმანის დაბალი ხარისხი მეცნიერთა მოსაზრებით გახლავთ ის, რომ ლინგვისტური რედაქტირება წინ არ უსწრებდა სამართლებრივ რედაქტირებას, რაც უაღრესად საჭიროა, რადგან, მას შემდეგ, რაც სამართალმცოდნეები გადაწყვეტენ, რომ წინადადების ესა თუ ის სტრუქტურა უფრო ზუსტად გადმოსცემს აზრს, ლინგვისტური ცვლილების ან შესწორების შეტანა თითქმის შეუძლებელია (Pescatore, 1999: 93).

აქედან გამომდინარე ისმება კითხვა, თუ როგორ მივაღწიოთ სამართალმცოდნეებთან შეთანხმებას ლინგვისტური შესწორებების შესატანად? აშკარაა, რომ სამუშაო

გეგმა შეუსაბამოა. ისიც გაურკვეველია, ლინგვისტური რედაქტირება მხოლოდ ზედაპირული შეცდომების გასწორებას გულისხმობს თუ სიღრმისეულ რედაქტირებას?

ისიც ცხადია, რომ არც მხოლოდ ზედაპირული ლინგვისტური ჩასწორებებით წარმოდგენილი დოკუმენტია ზუსტი. ასევე ისმება კითხვა, თუ როგორ უნდა ჩასწორდეს შეცდომები უკვე მიღებულ, დაარქივებულ და დასამტკიცებლად გამზადებულ დოკუმენტში. დამტკიცების შემდეგ დოკუმენტები არქივდება და ქვეყნდება ინტერნეტში, საბოლოოდ კი დოკუმენტები მზადდება და ეგზავნება ევროკავშირის დაწესებულებებს.

ასოცირების ხელშეკრულების ტექსტი, ევროკავშირის კანონმდებლობის სტრუქტურის მიხედვით, ინტერდისციპლინურია და სხვადასხვა სფეროს უკავშირდება. ტექსტი მოიცავს 20 სფეროს, იგი იწყება ზოგადი, ფინანსური და საკანონმდებლო საკითხებით, ხოლო მე-20 ტერმინოლოგიური სფერო ეხება ევროპის მოქალაქეობას, გადაადგილების თავისუფლებას.

IMPORT	EC COUNTRIES
PREVENTION OF DISEASE	AGRICULTURAL PRODUCT
ORIGINATING PRODUCT	TARIFF QUOTA
THIRD COUNTRY	VETERINARY INSPECTION
HEALTH CERTIFICATE	FOODSTUFF
MARKETING STANDARD	AMNESTY INTERNATIONAL
INFORMATION TRANSFER	ANIMAL PRODUCT
MARKETING	PLO
APPROXIMATION	

Table 1. Most frequently used EUROVOC descriptors in the JRC-Acquis collection, indicating the most important subject domains of the JRC-Acquis.

#### §4. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ინგლისურ-სლოვენური კორპუსი

ასოცირების ხელშეკრულების თარგმნისას შექმნილ პრობლემებზე საუბრისას არაერთი ქვეყნის გახსენება შეიძლება; ყველაზე უპრიანია ისევ მცირე არეალზე გავრცელებული ენების მქონე ქვეყნების გაანალიზება, სადაც ხაზგასმულია ზუსტი ეკვივალენტობის საკითხი და მისი გადაჭრის გზები. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია სლოვენია. ბოლო წლების განმავლობაში სლოვენიაში აქტიურად მიმდინარეობდა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებები, რამაც უფრო გააღრმავა ენათშორისი კავშირები. გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესების ფონზე გაიზარდა თარგმანზე მოთხოვნა ყველა სფეროში. ყველაზე დიდი პროცენტული წილი მოდიოდა სამთავრობო და პოლიტიკურ სექტორებზე, რაც გულისხმობდა სლოვენიის ევროკავშირში გაწევრებისათვის ასოცირების ხელშეკრულების მზადებას. მთლიანი დოკუმენტების რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 200.000 გვერდს. ამ დოკუმენტების თარგმნისას არ გამოიყენებოდა ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზები, გარდა ამისა, დიდი სამუშაოების დროს დადგა გამოცდილი პერსონალის სიმწირის პრობლემაც.

იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები გახდნენ, კანდიდატები ვალდებული არიან, თარგმნონ ევროკავშირის ძირითადი იურიდიული ტექსტები თავიანთ ენაზე, ცნობილი როგორც „ACQUIS Communautaire“. იქიდან გამომდინარე, რომ ძნელია იმის დადგენა, ზუსტად რომელი ტექსტი შეესაბამება ხელშეკრულებას, სლოვენიაში ამ ხელშეკრულების თარგმნის ვალდებულება დაეკისრა **სამთავრობო აპარატთან არსებულ ევროკავშირის საკითხების მთარგმნელობით განყოფილებას**. (translation unit of the government office for European affairs).

აგროკულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა დოკუმენტებში ტერმინთა სიზუსტეს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თარგმნითი ეკვივალენტების გადამოწმების საშუალებას იძლევა მხოლოდ ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზა, რომელიც სტრუქტურულად და ინფორმაციულად ყოველთვის განახლდება. პარალელური კორპუსი გახლავთ ყველასთვის აუცილებელი ლინგვისტური წყარო, რომლის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა მიზნის: ტერმინოლოგიური და ლექსიკური შესწავ-

ლისთვის. „ELAN“-ის სლოვენურ-ინგლისური კორპუსი გახლავთ ერთ-ერთი პირველი მაგალითი, წყარო, რომელიც ხელსაყრელია ტერმინების მოძიებისთვის.

სლოვენურ-ინგლისური პარალელური კორპუსი ოფიციალურად მოიცავს 15 დედანს და მათ თარგმანებს, რაც საერთო ჯამში შეადგენს 1 მილიონ სიტყვას. მათი ციფრული დარგობრივი ტერმინოლოგია კორპუსული მეთოდოლოგიითაა დალაგებული და სხვადასხვა ქვეკორპუსისგან შედგება. კორპუსის სტრუქტურაში ყველაზე დიდი (33%) ტერმინოლოგიური ბაზა მოიცავს იურიდიულ-სამართლებრივ და ისეთი სახის დოკუმენტებს, რომლებიც სლოვენის ევროკავშირთან ასოცირებას უკავშირდება.

კორპუსის შექმნის პროცესის პირველ ეტაპზე ტექსტი „გასუფთავდა“ ყოველგვარი სურათის, გრაფიკის, ცხრილის თუ რაიმე გრაფიკული ნიშნისაგან და ის შემდეგ ჩასწორდა.

#### **კორპუსის ტექნიკური მხარე:**


კორპუსში ტექსტების სტრუქტურირებისათვის სლოვენიელმა მეცნიერებმა გამოიყენეს პროგრამები: 1. Unix-based Vanilla aligner და 2. Windows-based aligner.

მეორე ეტაპზე განხორციელდა

1. ტექსტების ტოკენიზაცია სიტყვებად და პუნქტუაცია;
2. მეტყველების ნაწილების თეგირება (POS tagging)
3. და ბოლო ეტაპზე კი ლემატიზაცია, ანუ ტექსტში არსებული სიტყვა-ფორმების საბაზო ფორმის დადგენა;

ტოკენიზაციისთვის გამოიყენეს პროგრამა mtSeg (Di Cristo, 1996),

ლემატიზაციის ტექნიკური სურათი შემდეგი სახისაა:



მონაცემთა ბაზაში 1 მილიონი სიტყვის განთავსების შემდეგ ტექსტების ანალიზის პროცესი მოიცავდა შემდგომ ფაზებს:

**კორპუსის ძირითადი სტატისტიკა** – 15 ტექსტში არსებული სიტყვების, წინადადებების რაოდენობა, სიტყვისა თუ წინადადების საშუალო სიგრძე და ტიპი;

**სიტყვების სიხშირე** – ცხრილში წარმოდგენილი სლოვენური და ინგლისური სიტყვების სიხშირე კორპუსში;

**ძირითადი სიტყვები** – იმ სიტყვების ჩამონათვალი, რომელთა სიხშირე ტექსტების შედარების ფონზე უფრო მაღალია;

**თარგმნის ეკვივალენტები** – პოლისემიური სიტყვების ანალიზი მათი თარგმნის სხვადასხვანაირი შესაძლებლობის მიზნით.

**ხშირად გამოყენებული სიტყვები** – 8 ყველაზე ხშირად გამოყენებული არსებითი სახელის კოლოკაცია და იმავე სიტყვის ლექსიკური ვალენტობა კოლოკაციის გარეშე.

ტექსტების დამუშავების შემდგომ ეტაპზე განხორციელდა სიტყვათა შედარებითი, პარალელური ანალიზი თარგმნითი ეკვივალენტების მოსაძიებლად.

სლოვენური კორპუსის ანალიზისას მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო შექმნილიყო ცალკე კორპუსი ასოცირების ხელშეკრულებაში არსებული



ფრაზების უშუალოდ კონტექსტური მნიშვნელობებისთვის. რას ნიშნავს ეს ჩვენი დისერტაციის ფარგლებში? ფაქტია, რომ ტერმინისა და ფრაზის მნიშვნელობისადმი სლოვენიელი მეცნიერების მიდგომა ადასტურებს საკითხის ჩვენეული ხედვის სისწორეს, რადგან მათ, ირიბად მაგრამ მაინც, სწორედ ტერმინისა და ფრაზის ტელეოლოგიური მნიშვნელობით ცალკე გამოტანაზე, ახალ გაგებაზე გაამახვილეს ყურადღება, როცა ცალკე კორპუსის შექმნის საჭიროების საკითხი წამოსწიეს წინ და დააყენეს საკითხი, რომ ეს კორპუსი შედგენილიყო ამა თუ იმ ტერმინისა თუ ფრაზის არა სალექსიკონო, არამედ იმ კონტექსტური მნიშვნელობებით, რაც მათ უშუალოდ ასოცირების ხელშეკრულებაში შეიძინეს; ამ მნიშვნელობებს კი მხოლოდ მათი **ტელეოლოგიური გაანალიზებითა და გაგებით თუ ჩავწვდებით**, ანუ სამართლებრივ-იურიდიული ტერმინებისა და ფრაზების უშუალოდ ასოცირების ხელშეკრულებაში შეძენილი კონტექსტური მნიშვნელობით. ამის შედეგად სამუშაო გაუადვილდებათ როგორც ლინგვისტებს, ისე ტერმინოლოგებს და მთარგმნელებს.

ამრიგად, ფრაზების, ტერმინოლოგიური ელექტრონული ბაზების შექმნა, პირველ რიგში, ხელსაყრელია მათთვის.

პარალელური მრავალენოვანი კორპუსი მთავარი ენობრივი რესურსია, რომელიც თარგმანის პროცესს მდიდარი ლექსიკით ამარაგებს და ქმნის მანქანური თარგმანის მოდელს, რაც მთარგმნელებისთვის საჭირო რესურსს წარმოადგენს. მსგავსი კორპუსების სარგებელი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტ ენაზე შეიცავს ლინგვისტურად ანოტირებულ და ჩასწორებულ წინადადებას; ამასთან, ზოგადად დიდი კორპუსების შექმნა რთული სამუშაოა, ვინაიდან ძალიან მცირე რაოდენობით ითარგმნება ტექსტები და მათი დედნების მოძიება უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს, თუმცა ბოლო დროს დიდი რაოდენობით ტექსტები ითარგმნება, იდება ხელშეკრულებები და მათი დედნებიც ხელმისაწვდომი ხდება ინტერნეტში; შესაბამისად, უკვე შესაძლებელია საკმაოდ დიდი მოცულობის მრავალენოვანი პარალელური კორპუსის შექმნა.

### **თარგმნის პროცესი**

იმისათვის, რომ თარგმნის პროცესი უფრო სწრაფი და ზუსტი ყოფილიყო, სხვა თარგმნითი პროგრამების მსგავსად, სლოვენიაშიც გამოიყენეს ეგრეთ წოდებული - „Trados Workbench“, რომელიც შეიცავდა სათარგმნ ბაზას. შესაბამისად, ამ პროცესის

ფონზე შეიქმნა ხელშეკრულების ინგლისურ-სლოვენური ბაზა. სამთავრობო დაწესებულებამ სწორად გაიაზრა ამ რესურსის პოტენციური სარგებელი, მისი თანმხლები ტერმინოლოგიური ბაზა და შექმნა სათარგმნი ბაზა სახელწოდებით „Evrokorpus“; იგი ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვისაც სპეციალურად შექმნილი კონკორდანსული სისტემის საშუალებით. ამასთან, ევროკავშირის ტერმინოლოგიური საცავი სახელწოდებით – **“Evroterm”**, მათთვის ხელმისაწვდომი გახდა. კონკორდანსის სისტემა, მექანიზმი ადგენს “Evroterm”-ის ტერმინების მნიშვნელობის გახსნას “Evrokorpus”-ში, რაც დიდ დახმარებას უწევს მთარგმნელებს.

აქვე დავძენთ, რომ სლოვენური კორპუსი შეიქმნა იოზეფ შტეფანის სახელობის კვლევით ინსტიტუტში, „IJS“-ში (Jozef Stefan research institute). 2004 წლის ბოლოს “SVEZ”-ის ინგლისურ - სლოვენური თარგმანის ბაზიდან; შედეგად მივიღეთ „SVEZ-IJS“ კორპუსი, რომელიც დაახლოებით 2-5 მილიონ სიტყვას მოიცავს. ამ კორპუსის ტერმინების გამოყენება შესაძლოა სამეცნიერო კვლევისთვის. ეს უდავოდ ყველაზე დიდი, ლინგვისტურად ანოტირებული პარალელური სლოვენური კორპუსია, რომელიც გამოსადეგია ნებისმიერი სახის თარგმანისთვის.

“JRC-ACQUIS” კორპუსი კი ახლახან გახდა ხელმისაწვდომი. იგი მოიცავს ხელშეკრულების თარგმანს ევროკავშირის ყველა, მიმდინარე 20 ენაზე და შეიქმნა კომიტეტის “CELEX”-ის და “EUR-LEX”-ის ვებგვერდებიდან ჩამოტვირთული დოკუმენტების ბაზაზე. განსხვავება ზემოთ ნახსენებ ორ კორპუსს შორის (JRC-ACQUIS და SVEZ-IJS) ის არის, რომ JRC-ACQUIS მოიცავს **პარაგრაფების მიხედვით განლაგებულ სრულ დოკუმენტებს**, ხოლო SVEZ-IJS თარგმნის ბილინგვურ ასპექტებს და ლინგვისტურად ანოტირებულია, **ანალოგიური სამეცნიერო დამუშავება მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინგლისურ-ქართული ხელშეკრულების პარალელური კორპუსისთვისაც**; JRC-ACQUIS მოიცავს სრულ ტექსტებს, თუმცა გარკვეული ხარვეზებით SVEZ-IJS მოიცავს მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთებს, ასევე წინადადებებს ზუსტი ჩასწორებებით.

### თავი III. ტელეოლოგიური მიდგომები, როგორც სამართლებრივი ტექსტების ინტერპრეტაციის მეთოდი

წარმოდგენილ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ტექსტის ტელეოლოგიურ-პრაგმატიკული ინტერპრეტაციის მნიშვნელობას, მათ რეალიზაციას კონტექსტში და თარგმნის ეკვივალენტობის პრობლემას.

მოცემული საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული პრობლემა დღემდე ნაკლებად წარმოდგენდა ლინგვისტური კვლევის საგანს. პრობლემის სრულყოფილი განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია საიმისოდ, რომ გამოვლინდეს ლინგვისტური ერთეულების ტელეოლოგიური, მიზანზე ორიენტირებული, პრაგმატიკული ინტერპრეტაციის თავისებურებები და მათი რეალიზაცია კონტექსტში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ საკითხებს ვიკვლევთ თარგმანთან მიმართებით და გახლავთ თარგმნის ეკვივალენტობის პრობლემის ამ კუთხით შესწავლის კიდევ ერთი მცდელობა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ლინგვისტური ერთეულების ტელეოლოგიური და პრაგმატიკული ანალიზი პარალელურ რეჟიმში და მათი რეალიზაციის თავისებურებები კონტექსტში. ნაშრომის კიდევ ერთი სიახლე გახლავთ ის ფაქტი, რომ შევეცადეთ, ზემოაღნიშნული ლინგვისტური ფენომენი დაგვეკავშირებინა თარგმანთან და ამ კუთხით განგვეხილა თარგმნის ეკვივალენტობის პრობლემა.

კვლევის აღნიშნული მიმართულებით წარმართვის მიზანი ისაა, რომ ლინგვისტური ერთეულების ტელეოლოგიურ-პრაგმატიკული ინტერპრეტაციის ანალიზის საშუალებით განვსაზღვროთ თარგმნის ეკვივალენტობის პრობლემა ქართული და ინგლისური ენების მაგალითზე.

#### **§1. ტელეოლოგიის რაობა; ტექსტის ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია**

ტელეოლოგია წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან „telos“ (ბოლო, დაბოლოება). ის ჯერ კიდევ არისტოტელეს კვლევებიდან იღებს სათავეს, რომელიც ყოველი ორგანიზმის, არსების განვითარებას, სამყაროში არსებობას მისი გარკვეული დანიშნულების თვალსაზრისიდან გამომდინარე ხსნიდა. ყოველ სიტყვას, მსგავსად ცოცხალი

ორგანიზმებისა, აქვს გარკვეული „დაბოლოება“ ანუ დანიშნულება, ფუნქცია. აღნიშნული ფენომენის განსამარტად არისტოტელე აღნიშნავს, რომ ყოველმა ინდივიდმა უნდა შეიცნოს თავისი არსებობის მიზანი, თუ „რა დანიშნულება აქვს მის არსებობას“. მაგალითისათვის განიხილავს იხვის ბადისებურ ფეხს, რომელიც მას აქვს, რათა შეძლოს ცურვა, წყალში საკვების მოპოვება, რაც აუცილებელია მისი არსებობისათვის.

მკვლევართა ნაწილი ტელეოლოგიას ფილოსოფიურ ჭრილში განიხილავს (ე.მეირი და სხვანი). მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა როგორც ძველი ბერძენი, ასევე მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების ფილოსოფოსთა კვლევებში. ტელეოლოგიური თვალსაზრისით სამყარო განიხილება, როგორც ხანგრძლივი ან მუდმივი ფენომენი, მაგრამ ადრე არსებულ მოსაზრებათაგან განსხვავებით, მას აქვს უკეთესობისა და სრულყოფილებისაკენ მიდრეკილება. მსგავსი წარმოდგენა იქცა მრავალი რელიგიის საფუძვლად, მათ შორის ქრისტიანობისაც, აღდგომისა და მარადიული სიცოცხლის სახით.

მკვლევართა ნაწილი კი ტერმინ „ტელეოლოგიას“ ფილოსოფოს ქრისტიან ვულფის სახელს უკავშირებს. ეს უკანასკნელი განიხილავდა მას, როგორც „ფილოსოფიის ნაწილს, რომელიც ხსნის საგანთა დაბოლოებებს ანუ მიზანს (დანიშნულებას) (Glaserfeld, 2009:17). ტელეოლოგია განიხილავს და ეყრდნობა იმ საუკეთესოს, უმაღლეს ფასეულობას, სრულყოფილებას, რომლისკენაც მიილტვის სამყარო. სწორედ ეს გახლავთ სამყაროს არსებობის უმთავრესი მიზანი: სამყარო და მასში არსებული ყოველივე მატერიალური თუ არამატერიალური განუწყვეტლივ ვითარდება და იცვლება, მიილტვის უკეთესობისკენ.

არისტოტელე თვით ტერმინ „telos“ -ს ორი განსხვავებული მნიშვნელობით განიხილავს: პირველი – ის, რაც საუკეთესოა, „რისი გულისთვისაც“ იღვწის ადამიანი, ანუ რისკენაც მიილტვის და „საგანთა დაბოლოება“, რომელსაც მივყავართ ამ მიზნისაკენ ( Glaserfeld,2009:28 ).

არისტოტელეს გაგებით, ის, რაც „საუკეთესოა“, არის უზენაესი სრულყოფილება, რომლისკენაც, ტელეოლოგიის მიხედვით, მიილტვის სამყარო, ასევეა ენაც.

სამყარო და ყოველივე მასში არსებული, მათ შორის ენაც, განუწყვეტლივ ვითარდება და იცვლება. ცვლილებების შემდეგ საგანსა თუ მოვლენას კიდევ უფრო მეტი ფორმა და მნიშვნელობა აქვს. ყოველივე განუწყვეტლივ ვითარდება და იხვეწება, იცვლება უკეთესობისკენ. საუკეთესოსაკენ სწრაფვა დასაბამიდან კოდირებული

ლია მათში. როგორც ცნობილია, გენეტიკური კოდი ყოველი არსების ბიოლოგიური განვითარებისა და ქცევის განმსაზღვრელია, როგორც მიზანი, რაც განმსაზღვრელია არა მარტო მისი ქცევის, არამედ არსებობისაც. ასევეა სიტყვაც (ხ.დ.), ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, მასშიც კოდირებულია გარკვეული ინფორმაცია, მიზანი, დანიშნულება.

მკვლევართა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ტელეოლოგიის რაობასთან დაკავშირებით. ნაწილი მას დადებითი კუთხით განიხილავს, ნაწილი კი მის უარყოფით ფაქტორებზე აკეთებს აქცენტს. ჩვენი კვლევის უკეთ წარმართვის მიზნით, განვიხილავთ რამდენიმე მათგანს და შევეცდებით წარმოვადგინოთ მათი შეპირისპირებითი ანალიზი.

ა. მასლოუს მიხედვით, ფილოსოფია განიხილება, როგორც დიალოგი ადამიანის შინაგან სამყაროსა და გარესამყაროს შორის და როგორც ადამიანის როლი არსებულ რეალობაში. ისმება კითხვა: რა წარმოადგენს ადამიანის ქმედების მოტივაციას? როდესაც ვასრულებთ რაიმე მოქმედებას, ყოველთვის გაგვაჩნია რაიმე კონკრეტული მოტივაცია, რაც გვიბიძგებს დასახული მიზნის მიღწევისაკენ. მრავალი მიზნის ერთობლიობას კი მივყავართ საბოლოო მიზნისაკენ, რაც ადამიანთა არსებობის მთავარ არსს წარმოადგენს. ამ მხრივ ტელეოლოგიას განსაკუთრებული როლი ეკისრება, საკუთრივ კი ტექსტის ტელეოლოგიურ ანალიზს, ვინაიდან საბოლოო მიზნის მისაღწევად ადამიანი სწორედ სიტყვებით აყალიბებს სამოქმედო გეგმას, იქნება ეს ზეპირმეტყველება თუ ნაფიქრ-ნააზრევი, რაც, უმეტეს შემთხვევაში, შემდეგში გადააქვს წერილობით ტექსტში.

არისტოტელეს თუ დავუბრუნდებით, ის თავის „ტელეოლოგიაში“ ყოველი ქმედების ორგვარ მიზანს განიხილავს: ინსტრუმენტული მიზანი, რომელიც გამოიყენება, როგორც სხვა მიზნის მიღწევის საშუალება და ე.წ. შინაგანი მიზანი – ქმედებები, რომლებიც თავისთვის სრულდება.

ყოველ ქმედებას აქვს განსაკუთრებული მიზანი, მაგრამ კონკრეტული ქმედების დასრულებისას ის გამოიყენება, როგორც სხვა (საბოლოო) მიზნის მიღწევის საშუალება. თუკი შევძლებთ განვსაზღვროთ მიზანი ადამიანის ქმედებისა, ავხსნით ადამიანთა ქმედებას, რომ ყველა მიზანი საბოლოო მიზნის მიღწევის საშუალებაა.

ტექსტში კოდირებული მიზანი შესაძლოა მრავალგვარი იყოს და მიმართული დიდების, სიმდიდრის, სიამოვნების მიღებისაკენ და სხვა, მაგრამ საბოლოო მიზნად

შეიძლება ჩაითვალოს ის, რომელიც „თვითკმარი და საბოლოო“, როგორც მას სამუელ სტამფი განმარტავს (Trung, 2016:2). აღნიშნული მიზანი თავისთავად სასურველია და არ ემსახურება რაიმე სხვა მიზანს. მაგალითად, თუკი ადამიანს სურს, გახდეს ღირსეული პიროვნება, საკმარისი არ არის ისწავლოს, რა არის ღირსება, არამედ ცხოვრებაში ღირსეული ქმედებები უნდა განახორციელოს, როგორც ამას არისტოტელე აღნიშნავს: „ ჩვენ არ ვსწავლობთ იმისთვის, რომ ვიცოდეთ, თუ რა არის ღირსება, არამედ იმისთვის, რომ ვიყოთ კარგები, სხვაგვარად მას არავითარი სარგებელი არ ექნებოდა“ (Aristotle,II:2) იგივე შეიძლება ითქვას სამართალზე: ვსწავლობთ და ვეცნობით კანონებს არა იმისთვის, რომ უბრალოდ ვიცოდეთ ისინი, არამედ იმისთვის, რომ დავიცვათ, აღვასრულოთ ისინი და ვიცხოვროთ კანონმორჩილ, სამართლიან საზოგადოებაში, რაც სოციუმის უზენაესი მიზანია. არისტოტელეს მოსაზრებით, ღირსება განიხილება, როგორც ინტელექტუალურ და მორალურ ღირსებათა ერთობლიობა. ამგვარად, სრულყოფილებისათვის ღირსება მოითხოვს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ღირებულებებს. ჭეშმარიტად ღირსეულია ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ ათვისებინებებს თავის საბოლოო მიზანს, არამედ დგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს მის მისაღწევად.

ტელეოლოგიის ბუნდოვნებისა და ორაზროვნების მიზეზი შესაძლოა ვეძიოთ ჯერ კიდევ არისტოტელესეულ „განმარტებათა პრინციპებში“, რომელიც მიზანთა კლასიფიკაციის ოთხსაფეხურიან სისტემას გვთავაზობს. მათგან ერთ-ერთის – „საბოლოო (effective) მიზნის“ სწორი ანალიზი გვიჩვენებს გზას „საბოლოო მიზნის“ არსის წვდომისკენ და წარმოადგენს ტელეოლოგიის ქვაკუთხედს.

მეცნიერთა ნაწილი (ერნსტ ნეიჯელი და სხვანი) (Glaserfeld, 2009:18) ტელეოლოგიას ცრურწმენებთანაც აიგივებდა, ვინაიდან მეცნიერებისათვის მიუღებლად მიიჩნევდნენ იმის აღიარებას, რომ რაღაც, რაც მომავალს ეკუთვნის, რაც ჯერ არ მომხდარა, გავლენას ახდენს, უფრო მეტიც, განსაზღვრავს აწმყოში მიმდინარე მოვლენებს. ეს გულისხმობდა ზებუნებრივი ძალების არსებობის აღიარებას, რასაც ისინი მითოლოგიისა და რელიგიის სფეროს მიაკუთვნებდნენ, ხოლო მეცნიერება მათ გარეშეც შეძლებდა არსებობას.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ფილოსოფოსთა უმრავლესობა აღიარებდა საბოლოო მიზნის არსებობას და თავიანთ შრომებში განიხილავდნენ ტელეოლოგიური ანალიზის უპირატესობას (ვეველი, ჰერშელი და სხვანი ).

მიზანმიმართული ქცევებისა და საბოლოო მიზნის შესწავლა მათი კვლევების ქვაკუთხედად იქცა, რითაც ხსნიდნენ ადამიანთა და სხვა ცოცხალ ორგანიზმთა (და არა მარტო ცოცხალ ) მიზანმიმართულ ქცევას.

ასოცირების ხელშეკრულების პარალელურ რეჟიმში კვლევის პროცესში განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი გახლდათ ტელეოლოგიური ანალიზი, რომლის შედეგადაც დავრწმუნდით, რომ ყოველი სიტყვის არსებობა გარკვეული დანიშნულებით აიხსნება. არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ თარგმანში გამოყენებულ თითოეულ სიტყვას, მსგავსად ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისა, უნდა ჰქონდეს გარკვეული ფუნქცია. ტელეოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, იურიდიული დოკუმენტაციის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება გახლავთ ის, რომ თითოეულ ტერმინში იმთავითვე კოდირებული უნდა იყოს გარკვეული ინფორმაცია და, შესაბამისად, მას გააჩნდეს კონკრეტული მიზანი და დანიშნულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მთარგმნელის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს იურიდიული ტერმინოლოგიის არა უბრალოდ თარგმნა, არამედ სამიზნე ტექსტისთვის ისეთი სიტყვების შერჩევა, რომლებშიც დედანში გამოყენებული სიტყვების მსგავსი ინფორმაციაა კოდირებული. უფრო მეტიც, მათ უნდა ჰქონდეთ იგივე მიზნები და დანიშნულება. ჩვენი კვლევის ფარგლებში პროგრამული ანალიზატორის მიერ გამოვლენილი მთარგმნელობითი უზუსტობების სიმრავლეს თუ გავითვალისწინებთ, ვრწმუნდებით, რომ იურიდიული ტერმინების დიდი ნაწილი თარგმნილია ლექსიკური მნიშვნელობით, უგულებელყოფილია მასში კოდირებული მიზანი.

მოსამართლემ უნდა მოახდინოს კანონის ინტერპრეტაცია, საამისოდ ის ვერ დაეყრდნობა მასში შემავალი ცალკეულ სიტყვებს, რომელთაც შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს და აზრობრივი ბუნდოვანება გამოიწვიოს. საუკეთესო გამოსავალია ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია, ერთგვარი ფილოსოფიური მიდგომა, რომელიც ეფუძნება ამათუიმ კანონის მიზნებს და მიმართულებებს და არა ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების მნიშვნელობას. ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია შეიძლება განვმარტოთ, როგორც „სასმართლოს მიერ გამოყენებული მეთოდი, როდესაც ისინი ახდენენ საკანონმდებლო აქტების ინტერპრეტაციას დასახული მიზნების, ღირებულებების, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ამოცანების ჭრილში“<sup>5</sup>

<sup>5</sup> <http://www.lawteacher.net/free-law-essays/constitutional-law>

კანონის ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის უკეთ წარმოჩენის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ რ. იაკობსონის ინტერპრეტაციის თეორია (ბერიძე, 2018: 16). ის განასხვავებს ლინგვისტური ნიშნის სამი ტიპის ინტერპრეტაციას, რომელთაგან კანონის ინტერპრეტაციასთან მიმართებით გამოვყოფდით **შიდაენობრივ თარგმანს** ანუ ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაციას იგივე ენაზე სხვა ნიშნებით.

კანონების შედგენა საკანონმდებლო ორგანოების პრეროგატივაა, მოსამართლეს კი მისი ინტერპრეტაციის სრული უფლება აქვს. ტელეოლოგიური ინტერპრეტაციით, მან კანონის გაგება და კონკრეტული განსახილველი საქმე ერთმანეთს უნდა მოარგოს. კანონის ინტერპრეტაციას ის ახდენს მშობლიურ ენაზე, ე.ი. ადგილი აქვს **შიდაენობრივ თარგმნას**.

საერთაშორისო დონის სამართლებრივი აქტების შემთხვევაში, როგორც ჩვენს მიერ გაანალიზებული ასოცირების ხელშეკრულებაა, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ინტერლინგვისტურ ინტერპრეტაციას, ანუ საკუთრივ თარგმანს. აუცილებელია, დაცული იყოს ეკვივალენტობა დედანსა და წყარო ტექსტს შორის, რათა მოსამართლემ სწორად განჭვრიტოს მასში კოდირებული მიზნები და მოარგოს კონკრეტულ განსახილველ საქმეს, ანუ განახორციელოს კანონის ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია. იურიდიული პარალელური ტექსტების ტელეოლოგიური კვლევისას ვიხელმძღვანელებთ მოსაზრებით, რომ თითოეულ ტერმინში კოდირებული კონკრეტული მიზანი ემსახურება ადამიანის ცნობიერების მიმართვას კანონმორჩილებისაკენ, ხოლო მისი საბოლოო მიზანია სამართლიანი საზოგადოების ფორმირება. შესაბამისად, ტელეოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ: კანონები იქმნება არა იმისთვის, რომ უბრალოდ ვიცოდეთ, არამედ უნდა დავიცვათ, აღვასრულოთ ისინი, რათა ვიცხოვროთ კანონმორჩილ, სამართლიან საზოგადოებაში, რაც სოციუმის უზენაესი მიზანია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **თარგმანში დაშვებული თითოეული შეცდომა ან უზუსტობა, ამა თუ იმ ტერმინის შეუსაბამო ეკვივალენტის შერჩევა, არ არის უბრალოდ მთარგმნელობითი შეცდომა, არამედ კანონის არასწორი ინტერპრეტაციის საფრთხე იკვეთება**. მითუმეტეს, როდესაც საუბარია ისეთი დონის სახელმწიფოთაშორის იურიდიულ დოკუმენტზე, როგორც ასოცირების ხელშეკრულების თარგმანია. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველო ერთიანი ევროპული სამართლებრივი სივრცის



ნაწილი უნდა გახდეს, ამიტომ ქართულ თარგმანში გადმოტანილ თითოეულ იური-  
დიულ ტერმინში კოდირებული მიზანი დედანში არსებულ ტერმინში კოდირებულ  
მიზანს უნდა შეესაბამებოდეს.

## **§2. ტექსტის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის თავისებურებები**

ტელეოლოგია მჭიდროდ უკავშირდება პრაგმატიკას. პრაგმატიკულ მნიშვნელობაზე  
საუბრისას აუცილებელია განვიხილოთ სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრება თვით  
ტერმინ პრაგმატიკის თაობაზე. გავრცელებულია მოსაზრება, რომ მისი თანამედროვე  
გამოყენება უკავშირდება ფილოსოფოს ჩარლზ მორისს (Levinson, 1983:2). მან პრაგმა-  
ტიკა გამოყო სემიოტიკის (მეცნიერება ნიშნების შესახებ) ერთ-ერთ მიმართულებად,  
როგორც ნიშნების ინტერპრეტატორებთან მიმართების კვლევა, მის მიერ შემუშა-  
ვებული ტრიქოტომიის ორ დანარჩენ მიმართულებასთან ერთად, როგორებიცაა  
სინტაქსი) და სემანტიკა.

პრაგმატიკულ მნიშვნელობაზე საუბრისას, ს. ლევინსონის განმარტებით, აუცი-  
ლებელია გავითვალისწინოთ, რომ პრაგმატიკა გამოიყენება ორი რადიკალურად  
განსხვავებული გაგებით. მორისისეული გააზრებით, პრაგმატიკა არის ძალიან ფარ-  
თო ცნება, რომელიც იკვლევს ნიშნების ფუნქციონირებისას მიმდინარე ფსიქოლო-  
გიურ, ბიოლოგიურსა და სოციალურ პროცესებს. პრაგმატიკის ასეთი გაგება ძალიან  
ფართოა და ამ პოზიციის გაზიარების შემთხვევაში იგი მოიცავდა ენის ისეთ ასპექ-  
ტებს, რომლებსაც ახლა იკვლევენ ლინგვისტიკის დამოუკიდებელი დისციპლინები:  
ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა და სხვა. მეორე მხრივ, პრაგმატიკის ჩარ-  
ჩობი დავიწროვდა, რაც ფილოსოფოს კარნაპის სახელს უკავშირდება (Levinson,  
1983:2). მისი აზრით, თუკი გამონათქვამის მნიშვნელობის კვლევისას მოსაუბრეს  
ლიად მოხსენიებენ, ასეთ შემთხვევაში ანალიზი მიმდინარეობს პრაგმატიკის ჭრილ-  
ში. პოზიციას, რომლის მიხედვითაც პრაგმატიკა არის ენის იმ ასპექტის კვლევა, რომ-  
ლებიც აუცილებლად მოითხოვენ ენის მომხმარებლის რეფერენციას, მივყავართ  
ტერმინის მეტად ვიწრო გაგებასთან. ლევინსონის მტკიცებით (Levinson, 1983:7),  
პრაგმატიკის ამგვარი განმარტება შეუძლებელს გახდიდა ენის გამოყენების სრულ-  
ყოფილ კვლევას. იგი ამტკიცებს, თუკი ლინგვისტიკისათვის მნიშვნელოვანია ტრი-  
ქოტომიის (სინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა) არსებობა, მაშინ აუცილებელია პრაგმა-

ტიკისათვის სათანადო ჩარჩოს დადგენა, რათა ლინგვისტურმა კვლევამ მოიცვას კონტექსტის არსებითი ასპექტები. კონტექსტმა უნდა მოიცვას დროისა და სივრცის პარამეტრები კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდთა პიროვნებები, მათი რწმენა და მისწრაფებები, ცოდნა, განათლება და ინდივიდუალური ზრახვები. ამდენად, მნიშვნელოვანია მოძიება პრაგმატიკის ისეთი განმარტებისა, რომელიც ამ დისციპლინისათვის კვლევის სათანადო ჩარჩოებს დაადგენს და შესაძლებელს გახდის მნიშვნელობის სრულ და თანმიმდევრულ შესწავლას.

იულის (Yule, 2000:12) მიერ მოცემული ერთ-ერთი განმარტების შესაბამისად, პრაგმატიკა არის მოსაუბრის ან მწერლის მიერ გადმოცემული და მსმენელის ან მკითხველის მიერ ინტერპირირებული მნიშვნელობის კვლევა. შესაბამისად, პრაგმატიკა მოიაზრება, როგორც ადამიანის, ინდივიდის მიერ გამოხატულ გამონათქვამში ჩადებული ზრახვის ანალიზი და არა თავად ამ გამონათქვამში შემავალი სიტყვებისა თუ ფრაზების ანალიზი. ლევენსონის მიერ შემოთავაზებული პრაგმატიკის მომდევნო განმარტების მიხედვით, ეს დისციპლინა არის ენის კვლევა ფუნქციური თვალსაზრისით და იგი არის მცდელობა, ახსნას ლინგვისტური სტრუქტურების კავშირი ექსტრალინგვისტურ მიზეზებსა და ფაქტორებთან. ლევენსონივე გვთავაზობს შემდეგ განმარტებას: პრაგმატიკა არის ენასა და კონტექსტს შორის არსებული იმ ურთიერთმიმართების კვლევა, რომელიც გრამატიზებულია ან კოდირებულია ენის სტრუქტურაში, თუმცადა თავად ლევენსონს ეს განმარტება არ მიაჩნია სრულყოფილად, რადგან იგი ზღუდავს პრაგმატიკის ჩარჩოებს და შესაძლებელს ხდის, დისციპლინამ მოიცვას მხოლოდ დეიქსისის, პრესუპოზიციებისა და სამეტყველო ქმედებების კვლევა. სამწუხაროდ, იგი ვერ მოიცავს ენის გამოყენების ისეთ პრინციპს, როგორცაა, მაგალითად, სასაუბრო იმპლიკაცია.

სასაუბრო იმპლიკაციასთან უშუალოდ არის დაკავშირებული იულის (Yule, 2000:17) პოზიცია, რომლის აზრითაც პრაგმატიკა აუცილებლად იკვლევს მსმენლის მცდელობას, ჩასწვდეს ნათქვამს, გაიაზროს იგი, მოსაუბრის გამონათქვამის ინტერპრეტაცია სწორი იყოს. ეს მიდგომა იკვლევს, თუ როგორ მიიღება კომუნიკაციის პროცესში გაცილებით მეტი ინფორმაცია, ვიდრე წარმოთქმულ წინადადებაში ან გამონათქვამში შემავალი სიტყვების ჯამური მნიშვნელობაა. ამდენად, იულის აზრით, პრაგმატიკა არის უხილავი მნიშვნელობის კვლევა.

ენის ქმედითი ბუნება და პრაგმატიკის ენობრივი ქმედების შემსწავლელ მეცნიერებად წარმოჩენა ხაზგასმულია კატცის (Katz,1977:19) მიერ მოცემულ პრაგმატიკის განმარტებაში: პრაგმატიკული თეორიები არ ხსნიან ლინგვისტურ კონსტრუქციებსა და პრაგმატიკულ სტრუქტურებს... ისინი სწავლობენ მოსაუბრისა და მსმენლის მოტივაციას, წინადადება გაიაზრონ კონტექსტის მიმართ. ამდენად, პრაგმატიკული თეორია არის პერფორმანსის ნაწილი.

მოსაუბრისა და მსმენლის მოტივაცია, გაიგონ და გაიაზრონ იმაზე მეტი, რაც გამონათქვამში პირდაპირ არის გადმოცემული, განაპირობებს მათ არჩევანს – გაიგონ და გადმოსცენ რაიმე სახის ინფორმაცია თუ თავი შეიკავონ კომუნიკაციისაგან. ამის მიზეზი არის დისტანციის ცნება. იულებს აზრით, ფიზიკური, სოციალური თუ კონცეპტუალური სიახლოვე განაპირობებს თანაზიარ გამოცდილებას. იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოს არიან ერთმანეთთან კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდები, მოსაუბრე აკეთებს არჩევანს, რა მოცულობის ინფორმაცია გადმოსცეს. ამდენად, პრაგმატიკა არის ფარდობითი დისტანციის კვლევა.

უდავოა, რომ კონტექსტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომუნიკაციაში. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდთა ფაქტორი. ამდენად, პრაგმატიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლინგვისტურ ნიშნებსა და მათ გამომყენებელთა შორის ურთიერთმიმართების კვლევა. უფრო მეტი კონკრეტულობისათვის გამოგვადგება ლიჩის განმარტება (Leech, 1980:2): პრაგმატიკა არის „იმ ურთიერთმიმართების კვლევა, რომელიც არსებობს ლინგვისტური გამონათქვამის აბსტრაქტულ მნიშვნელობასა და იმ კომუნიკაციურ ძალას შორის, რომელიც გამონათქვამს წარმოთქმის სიტუაციაში გააჩნია“. კომუნიკაცია კი, ლევენსონის მიხედვით, შედგება გამონათქვამის „შემქმნელისა“ და „მიმღებისაგან“, სადაც „შემქმნელი“ ცდილობს გამოიწვიოს „მიმღებში“ ფიქრი, ან აიძულოს იგი, შეასრულოს რაიმე სახის ქმედება. კომუნიკაციის პროცესი არის განზრახვის რთული ტიპი. იგი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი „შემქმნელისა“ და „მიმღების“ ზრახვები და ინტერესები თანხვედრილია. ასეთ შემთხვევაში იქმნება საერთო ზიარი ცოდნა (როგორც მას ლევენსონი უწოდებს), როდესაც კომუნიკაციაში მონაწილე ორივე მხარემ იცის, რომ „შემქმნელს“ აქვს გარკვეული განზრახვა.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში მიმდინარეობს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვის, ფრაზისა და თუნდაც ტექსტის კვლევა, არამედ შეისწავლება ენობრივი ქმე-

დებები. საუბრისას მოსაუბრე არა მარტო ქმნის გამონათქვამებს, რომლებიც შეიცავენ გრამატიკულ სტრუქტურებსა და სიტყვებს, არამედ იგი ამ გამონათქვამების მეშვეობით ასრულებს გარკვეული სახის ქმედებას (Yule, 2000:17).

ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ კომუნიკაცია არ არის მხოლოდ პროპოზიციის (შეთავაზება, მტკიცება) გამოხატვა. მხოლოდ პროპოზიცია ვერ გამოხატავს სრულყოფილ ინფორმაციას. იმისათვის, რომ შედგეს კომუნიკაცია, აუცილებელია პროპოზიციების გარკვეული ილოკუციური ძალით გამოხატვა. პროპოზიციის ამგვარი გამოყენების შემთხვევაში მოსაუბრე ინდივიდი ასრულებს სპეციფიკური სახის ქმედებას, როგორცაა მტკიცება, გაფრთხილება, შეთავაზება და ა.შ. ამგვარ ქმედებებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვუწოდებთ სამეტყველო ქმედებებს. მნიშვნელოვანია განვასხვაოთ, თუ რა სახის ქმედებას ასრულებს მოსაუბრე ინდივიდი სამეტყველო ქმედების შექმნის პროცესში. ნებისმიერ შემთხვევაში, გამონათქვამის წარმოქმნის მეშვეობით შესრულებული მოქმედება შედგება სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ქმედებისაგან: ლოკუციური აქტი, ილოკუციური აქტი და პერლოკუციური აქტი (Yule, 2000: 27; Cruse, 2004: 315 ). ლოკუციური ქმედება არის გამონათქვამის შექმნის აქტი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაარსიანი ლინგვისტური გამონათქვამის შექმნის პროცესი. ჯ. ოსტინის (Austin, 1962: 37) განმარტებით, ლოკუციური აქტი არის კონკრეტული ბგერებისა და კონსტრუქციებში სიტყვების გარკვეული აზრითა და რეფერენციით წარმოთქმის აქტი. შესაბამისად, თუკი მოსაუბრე ელემენტი აწყდება პრობლემას სიტყვების ან ბგერების ფორმირებისას, რაც აუცილებელია აზრის მქონე გამონათქვამის შესაქმნელად, იგი ვერ მოახერხებს ლოკუციური ქმედების შესრულებას.

ილოკუციური ქმედება ლოკუციური ქმედების სტრუქტურაშივე არის მოცემული იმ თვალსაზრისით, რომ თუკი არის შესაბამისი კონტექსტური პირობები, ლოკუციური ქმედების შესრულებას თან ახლავს ილოკუციური ქმედებაც (Cruse, 2004: 357).

პერლოკუციური ქმედება არის იმ სახის ქმედება, რომელსაც მეტყველი სუბიექტი ენის მეშვეობით ასრულებს. იგი, რა თქმა უნდა, არ ქმნის გამონათქვამს მხოლოდ იმისთვის, რომ ის წარმოთქვას ან ჰქონდეს რაიმე ფუნქცია. იგი სამეტყველო ქმედებას ასრულებს გარკვეული ეფექტის მოსახდენად ან გამოსაწვევად. აქ საქმე გვაქვს სამეტყველო ქმედების მესამე განზომილებასთან, პერლოკუციურ ქმედებას-

თან. ლოკუციური აქტის არსებობა ვერ უზრუნველყოფს პერლოკუციურ ქმედებას. მაგალითად, თუკი ვცდილობთ ვინმეს დაყოლიებას ან დარწმუნებას, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა დაველაპარაკოთ მას, ანუ ქმედება ლოკუციურია, მაგრამ საუბარი თავის-თავად ვერ უზრუნველყოფს მსმენელი სუბიექტის დარწმუნებას ან დაყოლიებას, თუნდაც შესაფერისი განზრახვის არსებობის პირობებში. მოსაუბრე ინდივიდმა შეიძლება წარმოთქვას გამონათქვამი, მიიჩნევს რა, რომ მსმენელი სწორად გაიაზრებს გამონათქვამში ჩადებულ განზრახვას. დაყოლიების ან დარწმუნების შემთხვევაში კი მსმენელმა ინდივიდმა უნდა შეასრულოს ქმედება, რომლისკენაც მას მოსაუბრე ინდივიდი უბიძგებს. ეს პროცესი ასევე ცნობილია პერლოკუციური ეფექტის სახელით (Yule, 2000:53). ამ სამი განზომილებიდან, როგორც იული განმარტავს, არც თუ იშვიათად განიხილავენ ილოკუციურ ძალას. ანალოგიურად, სამეტყველო ქმედებას მოიაზრებენ ძალიან ვიწრო გაგებით, რომლის პირობებშიც სამეტყველო ქმედება მოიცავს გამონათქვამის მხოლოდ ილოკუციურ ძალას. გამონათქვამის ილოკუციური ძალა არის მისი ფუნქცია. ერთი და იგივე სამეტყველო ქმედება შეიძლება სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი იყოს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე სამეტყველო ქმედებას შესაძლოა ჰქონდეს განსხვავებული ილოკუციური ძალა, რაც პრობლემას ქმნის მისი სათანადოდ ინტერპრეტაციის პროცესში. დაისმება კითხვა: როგორ შეიძლება მოსაუბრე დარწმუნებული იყოს, რომ მსმენელი სათანადოდ აღიქვამს განზრახულ ილოკუციურ ძალას? იულის განმარტებით, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ ორი ფაქტორი: ილოკუციური ძალის ინდიკატორი მექანიზმი და წარმატებული კომუნიკაციის პირობები.

ილოკუციური ძალის გამომვლენი ყველაზე აშკარა მექანიზმი არის იმ ტიპის ზმნა, რომელიც ექსპლიციტურად ასახელებს შესრულებულ ილოკუციურ ქმედებას. ასეთ ზმნებს ეწოდებათ პერფორმატული (შესრულებითი) ზმნები (Yule, 2000:63).

ზმნები "promise", "warn", "ask" არის პერფორმატივები, რომლებიც ღიად წარმოაჩენენ ილოკუციური ძალის ინდიკატორ მექანიზმს. მოსაუბრე ყოველთვის არ ასრულებს სამეტყველო ქმედებას ექსპლიციტურად, არამედ აღწერს მას. უმეტეს შემთხვევაში მოსაუბრე ინდივიდი არ იყენებს პერფორმატიულ ზმნას. ასეთ შემთხვევაში ილოკუციური ძალის ინდიკატორი მექანიზმი შეიძლება იყოს სიტყვათა წყობა, სიტყვაზე დასმული მახვილი, ინტონაცია და ა. შ. გარდა ამ მექანიზმებისა, ილოკუ-

ციური ძალის გამოსავლენად აუცილებელია გარკვეული კონვენციური პირობები, რომლებიც გამოავლენენ სამეტყველო ქმედებაში ჩადებულ ილოკუციურ ძალას.

არსებობს გარკვეული მოსალოდნელი ან შესაფერისი გარემოებები, რომლებსაც წარმატებული კომუნიკაციის პირობებს უწოდებენ. შესაფერისი ანუ წარმატებული კომუნიკაციის ეს პირობები აუცილებელია, რათა კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდებმა მოახდინონ შესრულებული სამეტყველო ქმედების სწორი და სათანადო ინტერპრეტაცია. ზოგიერთი ასეთი პირობათაგანი, რა თქმა უნდა, საერთოა ნებისმიერი სახის ენობრივი კომუნიკაციისათვის. მაგალითად, აუცილებელი წინაპირობაა, რომ მოსაუბრესა და მსმენელს ესმოდეთ ერთმანეთის, მაგალითად, უნდა საუბრობდნენ ერთსა და იმავე ენაზე. ასევე აუცილებელია ორივე ინდივიდს ჰქონდეს სმენის უნარი და ა. შ. ზოგიერთ შემთხვევაში სამეტყველო ქმედება იქნება წარუმატებელი, თუკი ქმედება სათანადო (შესაფერისი) პირის მიერ სათანადო პირობებში არ არის წარმოთქმული. მაგალითად:

–You are adjudged guilty! (თქვენ დამნაშავედ გცნობთ!)

თუკი ეს გამონათქვამი მოსამართლის მიერ სათანადო გარემოში არ არის წარმოთქმული, ამ შემთხვევაში სასამართლო პროცესის დროს სასამართლო დარბაზში, გამონათქვამი, რა თქმა უნდა, გადმოსცემს ინფორმაციას, მაგრამ იგი მთლიანად მოკლებულია ილოკუციურ ძალას.

სამეტყველო ქმედების თეორიის შესაბამისად კონტექსტი ხშირად განიხილება, როგორც წინასწარ მოცემული, თუმცაღა, ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება იყოს აგებული, რაც კომუნიკაციური არჩევანით შეიძლება აიხსნას. კერძოდ, წინასწარ მოცემული კონტექსტის შემთხვევაში შინაარსი არ არის დამოკიდებული იმ სამეტყველო ქმედებაზე, რომლის კონტექსტსაც თავადვე წარმოადგენს. იგი დადგენილია სამეტყველო ქმედების შესრულებამდე. როგორც სბისა (Sbisa, 2002:424) განმარტავს, ჯ. ოსტინისეული წარმატებული საკომუნიკაციო პირობები სამეტყველო ქმედებისაგან დამოუკიდებლად უნდა დააკმაყოფილონ მოსაუბრემ, ადრესატმა და გამონათქვამის სიტუაციამ ამავე სამეტყველო ქმედების შესრულებამდე.

ადამიანი ხშირად მიიჩნევს, რომ თანამოსაუბრის მიერ წარმოთქმული სიტყვები ქმნიან შესაფერის სამეტყველო ქმედებას, როგორც ამას კრუზი აღნიშნავს და მიიჩნევს, რომ მეტყველ სუბიექტს კომუნიკაციაში წამყვანი როლი აქვს. მას აქვს გარკვეული წარმოდგენა მსმენლის ცოდნისა და გონებრივი შესაძლებლობების შესახებ და

ცდილობს იმგვარად გადმოსცეს სასურველი ინფორმაცია და შეასრულოს სამეტყველო ქმედება, რომ მსმენელმა მინიმალური კოგნიტური დანახარჯებით მოახერხოს ნათქვამის სწორი ინტერპრეტაცია. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ რჩევა, რომელიც ადვოკატმა შეიძლება მისცეს კლიენტს: „თუკი გსურთ უკეთ გაერკვეთ თქვენს უფლებებში, გირჩევთ გაეცნოთ სამოქალაქო სამართლის კოდექსს“. ადრესატი, რომელიც ამ გამონათქვამს აღიქვამს, როგორც რჩევას, მიიჩნევს, რომ ადრესანტი არა მხოლოდ ზოგადად კარგად ერკვევა იურისპრუდენციაში, არამედ დარწმუნებულია, რომ მითითებული წიგნი დაეხმარება მას გაერკვეს საკუთარ უფლებებში. როგორც მოცემული მაგალითიდან ჩანს, კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდები მიიჩნევენ, რომ სამეტყველო ქმედება თავისთავად აკმაყოფილებს წარმატებული კომუნიკაციის პირობებს.

### **§3. კონტექსტი და თარგმნის პრობლემა**

წარმატებული კომუნიკაციის პირობების მსგავსად, კონტექსტი თავისთავად აკმაყოფილებს პრესუპოზიციებს. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ფენომენი, რომელსაც ლუისი (Lewis, 1979:339) უწოდებს „აკომოდაციას“ (განთავსება) – როდესაც წარმოთქმული გამონათქვამი მოითხოვს გარკვეული ტიპის პრესუპოზიციას. ამ პრესუპოზიციის სრულ გააზრებამდე ადრესატი მას ათავსებს თავის ფონურ ვარაუდებში. პირისპირ საუბარი, მედიაკომუნიკაციები, სამართლებრივი აქტები თუ სხვადასხვა ჟანრის წერილობითი კომუნიკაცია პრესუპოზიციის აკომოდაციას იყენებს, რათა ადრესატი ჩასწვდეს ფონურ ინფორმაციას ან მიიღოს ახალი ინფორმაცია დამატებითი დისკუსიის გარეშე. მაგალითად, თუკი ჩვენ შემთხვევით მოვისმენთ ორ ახალგაზრდას შორის საუბარს, რომლებიც გამოცდების მოსალოდნელ შედეგებზე მსჯელობენ, ჩვენ ადვილად გამოვიტანთ დასკვნას, რომ ისინი სტუდენტები არიან.

ამდენად, თუკი კომუნიკაციის მონაწილეებს არ სჭირდებათ წინასწარ განიხილონ, დაკმაყოფილებულია თუ არა წარმატებული კომუნიკაციის პირობები ან პრესუპოზიციები, ადრესატს შეუძლია თავად სამეტყველო ქმედებიდანვე გამოიტანოს სამეტყველო ქმედების კონტექსტის შესახებ საჭირო ინფორმაცია. კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდის როლი შედარებით პასიურია. იგი ცდილობს განიხილოს მის ხელთ არსებული კონტექსტები და გამოიყენოს მხოლოდ ის კონტექსტი, რომელიც მას საშუალებას მისცემს, მოახდინოს მეტყველი სუბიექტის მიერ შესრულებული სა-

მეტყველო ქმედების სწორი ინტერპრეტაცია (Cruse, 2004:387). მაშასადამე, მიგვაჩნია, რომ მცდარია ის პოზიცია, რომელიც კონტექსტს წინასწარ მოცემულ რეალობად განიხილავს. პირიქით, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ კონტექსტი არის ინტერაქციული მოვლენა, რომელსაც თავად კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდები ქმნიან ურთიერთობის განვითარების შესაბამისად.

კომუნიკაციის მიმართ პრაგმატიკული მოსაზრებების მიხედვით, კონტექსტი მუდმივად განივრცობა, თუმცა ემპირიულად იგი დელიმიტირებულია (აქვს საზღვრები). სტალკნერის აზრით (Stalnaker, 1999:27), მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ყოველი პრესუპოზიცია კონტექსტის, როგორც ფონური ინფორმაციის, დელიმიტირებაა. თუმცა სპერბერისა და უილსონის (Sperber, Wilson, 1986:57) აზრით, კონტექსტი დელიმიტირებულია იმ ემპირიული ფაქტით, რომ მოსაუბრის გონებაში ზოგიერთი მოსაზრება აქტიურდება სხვა დამატებითი მოსაზრებებისა და ასოციაციების გააქტიურებით. ამ პოზიციის გაზიარება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ რაც უფრო მეტი დეტალი შემოდის კონტექსტში, იზრდება სამეტყველო ქმედების უკეთ გაგებისა და გააზრების შესაძლებლობა. ეს კი გულისხმობს, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეტყველო ქმედების მთელი მსოფლიო გამოცდილების შესაბამისად გაანალიზებას, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებლად მიგვაჩნია.

აუცილებელია მოვიძიოთ სამეტყველო ქმედების დელიმიტაციის მოსახდენი უკეთესი პრინციპები. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობის კონტექსტზე დამოკიდებულებას ენის ფილოსოფოსები განიხილავენ ინდექსური, დემონსტრაციული, დესკრიპტული სიტყვებისა და მთელი პროპოზიციების ანალიზის პირობებში. კონტექსტზე დამოკიდებულებას უნდა ჰქონდეს რაიმე წყარო, რაც ნათლად ჩანს იმ ფაქტში, რომ ენის გამოყენება უმეტესად არის სიტუაციური. ფაქტობრივად, მოსაუბრე პასუხისმგებელია, ენა გამოიყენოს რომელიმე ქმედების ჩარჩოში. სამეტყველო ქმედების ამგვარი სიტუაციურობა ლიმიტირებულ კონტექსტს მოითხოვს. თუკი სამეტყველო ქმედების რომელიმე კონტექსტის შესაბამისად შესრულება და გააზრება მას სიტუაციურ მოვლენად წარმოადგენს, მიგვაჩნია, რომ ეს სამეტყველო ქმედება ამავე კონტექსტის მიხედვით უნდა შეფასდეს. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ სამეტყველო ქმედება შეფასდეს, თავად კონტექსტი უნდა იყოს დელიმიტირებული, ანუ მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ რა განეკუთვნება კონტექსტს და რა – არა. ყოვლისმომცველი კონტექსტი ვერ უზრუნველყოფს სიტუაციურობას და, რო-



გორც ჯ. ოსტინი განმარტავს, იგი სამეტყველო ქმედებას აქცევს „იდეალურ გამო-  
ნათქვამად, რომელიც შესაფერისი იქნებოდა ყოველი სიტუაციისათვის, ნებისმიერი  
მიზნისათვის“. (საიდან იმოწმებ?)

კონტექსტის ცვლილება ზოგჯერ გამოიყენება, რათა განისაზღვროს სამეტყვე-  
ლო ქმედებები და განამტკიცოს ინტუიტიური (ჯ. ოსტინისეული) მოსაზრება იმის  
შესახებ, რომ ისინი არიან ქმედებები (Sbisa, 2002:428). ქმედებები, როგორც წესი, მოი-  
ცავენ შედეგებს: ქმნიან ახალ მდგომარეობებსა და სიტუაციებს, ინარჩუნებენ ძველ  
მდგომარეობებსა და სიტუაციებს. გ.გაზდარი (Gazdar,1981: 68) სამეტყველო ქმედე-  
ბებს განმარტავს, როგორც კონტექსტიდან კონტექსტში ცვალებად ფუნქციებს: ისინი  
დაკავშირებული არიან კონტექსტთან და თავიანთი ილოკუციური ძალის შესაბამი-  
სად ახდენენ მოცემული კონტექსტის ტრანსფორმაციას. უპირველეს ყოვლისა, უნდა  
გავიაზროთ, თუ რა გავლენას ახდენს კონტექსტის ობიექტური თუ კოგნიტური ბუ-  
ნება, რათა სამეტყველო ქმედებები განვიხილოთ, როგორც კონტექსტის შესაბამისად  
ცვალებადი ქმედებები. ამ შემთხვევაში დაგვეხმარება სტალნაკერის მტკიცებულების  
სამეტყველო ქმედების ანალიზი. მას შემდეგ, რაც მტკიცებულება გამოიხატება, მისი  
შინაარსი ემატება კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდთა პრესუპოზიციებს–კოგნი-  
ტურ კონტექსტს.

მამასადამე, კონტექსტი შეიცვალა, კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდთა  
ხელთ არსებულ შესაძლო სამყაროთა რაოდენობაც შემცირდა. აღნიშნული მოსაზრება  
არის საკმაოდ მარტივი და დამაჯერებელი, მაგრამ მაინც არსებობს გარკვეული ეჭვი  
მის მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, ძნელია კონტექსტის ცვლილების ტრანსფორმაცია იმგვა-  
რად, რომ კონტექსტის ეს ცვლილება გავრცელდეს იმ სამეტყველო ქმედებაზე, რომე-  
ლიც არ არის მტკიცებულება. მაგალითად, თუკი შევასრულებთ სამეტყველო ქმე-  
დებას „Switch off the light“, რა ინფორმაცია ემატება კონტექსტს? არის თუ არა ეს  
ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ქმედება სურს მოსაუბრემ შეასრულებინოს იმ ინ-  
დივიდს, რომელსაც მიმართავს? ამგვარი მიდგომა კი ნიშნავს, რომ ბრძანება და-  
კარგავს სრულ ეფექტს და გახდება ისეთი სამეტყველო ქმედება, რომელიც გვაძლევს  
ინფორმაციას მხოლოდ მოსაუბრის სურვილის შესახებ. შეიძლება გაუგებრობა წარ-  
მოიშვას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კონტექსტის ცვლილება ეკუთვნის სა-  
მეტყველო ქმედების ილოკუციურ თუ პერლოკუციურ განზომილებას. პრესუპო-

ზიცია არის კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდის კოგნიტური მდგომარეობა, ძირითადად რწმენა, მაგრამ აქაც არის გარკვეული წინააღმდეგობა, რაც ჩადებულია სტალნაკერის (Stalnaker, 1999:88) მიერ შემოთავაზებულ თეორიაში კონტექსტის ცვლის შესახებ – რწმენის გამოხატვა არის ტიპური პერლოკუციური ქმედება.

კიდევ ერთი საკითხი, რაც შესაძლოა ჩვენთვის საინტერესო იყოს, არის კითხვა – როგორ გამოიხატება მტკიცებულებებში სტალნაკერის მიერ ასახული კონტექსტის ცვლა? ამ შემთხვევაში ვერ გამოდგება გრაისის (Grice, 1967:53). თანამშრომლობის მაქსიმები, რადგანაც ისინი ამტკიცებენ, რომ მოსაუბრემ უნდა სცადოს, თქვას სიმართლე. ამ შემთხვევაში იგი თავს არიდებს თქვას ისეთი რამ, რომელიც, მისი რწმენით, არის სიცრუე, ან არ გააჩნია მყარი არგუმენტი, რაიმე ამტკიცოს, მაგრამ ეს მაქსიმები არ ამტკიცებენ, რომ მოსაუბრე აუცილებლად მართალი უნდა იყოს (ანუ მის მიერ გამოხატული ინფორმაცია არის ჭეშმარიტება). ამდენად, იმ რწმენის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მოსაუბრე აუცილებლად იცავს თანამშრომლობის პრინციპს, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ და მხოლოდ ის დავასკვნათ, რომ მოსაუბრე შეეცადა ეთქვა სიმართლე, რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მოსაუბრის მიერ გადმოცემული ინფორმაციის ჭეშმარიტებას. ამდენად, ინფორმაციის მიმღებმა ინდივიდმა შესაძლოა მიიჩნიოს, რომ მოსაუბრე იცავს თანამშრომლობის პრინციპებს, მაგრამ მას თავისუფლად შეუძლია უნდობლობა გამოხატოს თავად მოსაუბრის მიერ გადმოცემული მტკიცებულების მიმართ.

სტალნაკერი ასევე აღიარებს მეორე სახის კონტექსტის ცვლას, რომელსაც იგი უწოდებს „ჩვეულებრივს“. მართო ის ფაქტი, რომ მტკიცებულება წარმოითქვა, ხდება კონტექსტის შეცვლის მიზეზი, რადგანაც სიტყვების მეშვეობით გამოიხატა გარკვეული ინფორმაცია, რაღაც სიახლე მოხდა სამყაროში და გამონათქვამის და სამეტყველო ქმედების მეშვეობით კომუნიკაციაში მონაწილე ყველა ინდივიდმა შეიტყო ამის შესახებ. ეს ასევე იწვევს კოგნიტური კონტექსტის ცვლილებასაც: კომუნიკაციაში მონაწილენი უკვე იზიარებენ იმ რწმენას, რომ რაღაც ითქვა. კონტექსტის ამგვარი ცვლილება არის ჩვეულებრივი და ფართოდ გავრცელებული. ეს უკანასკნელი ფაქტი სულაც არ აკნინებს მის მნიშვნელობას და მისდამი ინტერესს. ინდივიდის მიერ მოთხოვნის გამოხატვა არ არის არსებული ვითარების უბრალო გამოხატულება. მოთხოვნის გამოხატვა ცვლილებას იწვევს იმ ვალდებულებებში, რომელიც არსებობს კომუნიკაციაში ჩართულ ინდივიდებს შორის. ეს ცვლილება ხორციელდება კონვენციუ-

რობით, იმ შეთანხმების მეშვეობით, რომელიც არსებობს შესაბამის სოციალურ ინდივიდებს შორის. ცვლილებას ახორციელებს ილოკუციური ქმედების კონვენციური ეფექტი, რაც, რა თქმა უნდა მეტია, ვიდრე ინფორმაციის უბრალო მიღება ანუ პერლოკუციური შედეგი. ცვლილება ასევე ხორციელდება ობიექტურ კონტექსტში, რადგანაც ვალდებულებები, რწმენა, მისწრაფებები საბოლოო მიზნისკენ არის ინტერაქტიული სიტუაციების ობიექტური მახასიათებლები, ტელეოლოგიური თვალსაზრისით და არა კომუნიკაციის მონაწილეთა უბრალო კოგნიტური მდგომარეობა. ამდენად, თუკი ვაღიარებთ, რომ წინადადების მართო წარმოთქმაც კი გავლენას ახდენს კონტექსტზე, ჩვენ შევძლებთ დავინახოთ, რომ სამეტყველო ქმედებები არის არა მხოლოდ კომუნიკაციური ზრახვების გამოხატულება, არამედ სრულყოფილი ქმედებები, რომელთაც აუცილებლად მოსდევს შედეგი.

მაშასადამე, ჩანს, რომ კონტექსტი არის მუდმივად ცვალებადი, მაგრამ ინტერაქციის თითოეულ მომენტში შესაძლებელია შესრულებული სამეტყველო ქმედების შეფასება იმ კონტექსტის შესაბამისად, რომელიც აგებულია ინტერაქციის მიზნების მიხედვით. კონტექსტი იცვლება არა მხოლოდ იმის გამო, რომ არავერბალური ქმედებები ან მოვლენები იწვევენ რეალურად არსებული გარემო პირობების ცვლილებას, არამედ იმიტომ, რომ თავად სამეტყველო ქმედებები იწვევენ ცვლილებას კონტექსტის კონვენციურ მახასიათებლებში. შეიძლება ითქვას, რომ კონსტრუირებული, ლიმიტირებული და ობიექტური კონტექსტი გვეხმარება სამეტყველო ქმედებები განვიხილოთ, როგორც კონტექსტის შემცვლელი სოციალური ქმედებები. ენა, როგორც სისტემა, ადამიანთა შორის კომუნიკაციისა და აზრის გამოხატვის მიზანს ემსახურება. ეს პროცესი კი გულისხმობს ინფორმაციის გადაცემასა და აღქმას სიტყვების, წინადადებებისა და გამონათქვამების მეშვეობით. ტრადიციულ ენათმეცნიერებაში გამოიყო მრავალი მიმდინარეობა, რომელთა მიზანია მნიშვნელობის სრული და სისტემური შესწავლა. იმ სფეროს მრავალი ასპექტი, რომელსაც მოიცავს ტერმინები „ტელეოლოგია“ და „პრაგმატიკა“, დიდი ხნის წინ მოექცა ლინგვისტიკის კვლევის სფეროში. ტელეოლოგია ჯერ კიდევ არის ტოტელეს მოღვაწეობის პერიოდს უკავშირდება, ხოლო ბევრი რამ, რასაც პრაგმატიკას უკავშირებენ, ძველ საბერძნეთსა და რომში არსებობდა რიტორიკის სახელწოდებით. თავად ტერმინი პრაგმატიკა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩარლზ მორისმა შემოიღო, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მეცნიერი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ლინგვისტური პრაგმატიკა დამო-

უკიდებელი და ერთიანი მიმდინარეობაა. პრაგმატიკული ასპექტი არ შეიძლება იზოლირებული იყოს ლინგვისტიკისაგან. არსებობს მტკიცე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამეტყველო აქტები (ლინგვისტური პრაგმატიკის ყველაზე აშკარა კვლევის ობიექტი) ადეკვატურად შეისწავლება მხოლოდ საერთო თეორიის ფარგლებში. თავად სამეტყველო აქტების თეორია მომდინარეობს იქიდან, რომ კომუნიკაციის მთავარი ერთეული არის არა წინადადება ან რაიმე ენობრივი გამონათქვამი, არამედ გარკვეული სახის ქმედების შესრულება, როგორცაა მტკიცება, თხოვნა, ბრძანება, მადლიერების გამოხატვა, მობოდიშება, მილოცვა და ა.შ.

ლინგვისტური თეორიების სიმრავლე წარმოშობს საჭიროებას მოიძებნოს შემაკავშირებელი რგოლი ანუ ცენტრი. ასეთი ცენტრი კი შეიძლება იყოს ენის სუბიექტურობა – სუბიექტის კატეგორია, რომელიც არის თანამედროვე პრაგმატიკის ცენტრალური კატეგორია (Coward, Ellis, 1977:39) შესაბამისად, თანამედროვე ლინგვისტიკის ინტერესთა ცენტრში დადგა ადამიანი და მის მიერ შესრულებული სამეტყველო აქტები. მრავალი ენათმეცნიერის აზრით, გამონათქვამის პრაგმატიკულ ინტერპრეტაციას საფუძვლად უდევს თავად მოსაუბრის პირადი „მეს“ დაყოფა შრეებად: „მე,“ როგორც წინადადების ქვემდებარე, „მე,“ როგორც მეტყველების სუბიექტი და „მე,“ როგორც შინაგანი ეგო. ამათ პარალელურად შრეებად იყოფა თავად პრაგმატიკაც: ელემენტარული ნაწილი – „მეს“ ლოკაცია დროსა და სივრცეში; უფრო რთული ნაწილი – „მეს“ ლოკაცია საუბრის აქტის მიმართ, სადაც „მე“ მეტყველების სუბიექტია; და ბოლოს, მოსაუბრე პირის–„მეს“ მიმართება „ეგოსადმი“, რომელმაც იცის მოსაუბრის მიზნები და მისი განზრახვა, თქვას სიმართლე ან ტყუილი (Grice, 1967:79).

წინადადება, რომელსაც სუბიექტად გააჩნია „მე“, წარმოადგენს დისკურსისა და, შესაბამისად, პრაგმატიკის როგორც იმპლიციტურ, ასევე ექსპლიციტურ ფოკუსს. ამ ტიპის წინადადებები არსებითად განსხვავდება იმ წინადადებებისაგან, რომელთა სუბიექტიც არ არის „მე“. „მე“ სუბიექტი არ ამყარებს რეფერენციას გარე სამყაროსადმი. „მე“ ერთდროულად არის როგორც გარე სამყაროს საგანი, ასევე აზროვნების სუბიექტი. „მე“ სუბიექტი არ მოითხოვს ინდივიდუალურობას ან ინდივიდუალიზაციას. იგი არ საჭიროებს არსებობის პრესუპოზიციას – საუბრის აქტი უკვე თავისთავად ნიშნავს მოსაუბრის არსებობას.

ამდენად, დისკურსს აქვს ერთი მტკიცე ლოგიკური საფუძველი, ერთი მთავარი პრესუპოზიცია: მოსაუბრე სუბიექტის ეგოს არსებობა განპირობებულია თავად საუბ-

რის აქტით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაგმატიკის, როგორც სემიოლოგიური დისციპლინის, შინაარსი განსაზღვრულია. ძველი გააზრებით, ტერმინი პრაგმატიკა აღნიშნავდა სწავლებას ნიშნების (საკუთრივ სიტყვების) ენის გამომყენებლისადმი მიმართების შესახებ.

თანამედროვე პრაგმატიკის ცნება სრულიად განსხვავებულია. იგი ახლა განისაზღვრება, როგორც დისციპლინა, რომლის საგანსაც წარმოადგენს დინამიკაში მოცემული გაბმული და საკმაოდ გრძელი ტექსტი – დისკურსი, რომელიც უკავშირდება მთავარ სუბიექტს, მთელი ტექსტის „ეგოს“, ტექსტის შემოქმედ ადამიანს. ადამიანი არის მოვლენების ავტორი, იმ მოვლენებისა, რომლებიც მოცემულია მეტყველებაში.

სამეტყველო აქტსა და პროზაულ ტექსტს შორის გარკვეული პარალელიზმი არსებობს. პროზის სპეციფიკა მისი კომუნიკაციური ხასიათიდან მომდინარეობს. ყოველდრიური ადამიანური ურთიერთობების მსგავსად, ლიტერატურული კომუნიკაციისათვის დამახასიათებელია პრაგმატიკული პარამეტრები: მეტყველი სუბიექტი, ადრესატი და ადრესატთან დაკავშირებული პერლოკუციური ეფექტი (ესთეტიკური ზემოქმედება). შემთხვევითი არ არის, რომ მინიმალური, დასრულებული მხატვრული ტექსტი გადმოცემულია არა მხოლოდ თხრობითი ფორმით, არამედ შეკითხვისა და ბრძანებების (იმპერატივების) მეშვეობით, რომლებიც აშკარად არის მიმართული ადრესატისაკენ.

ჩვეულებრივ, სემანტიკური კონცეფციები აგებულია ენობრივ ერთეულებსა და იდეალიზებულ კატეგორიებს (ცნებებს, საგანთა კლასს) შორის ურთიერთობებზე. პრაგმატიკა კი თავის ყურადღებას მიმართავს სუბიექტსა და მის ენობრივ ქმედებას შორის დამოკიდებულებისაკენ. სემანტიკური ფორმულა არის A word means – სიტყვა ნიშნავს, პრაგმატიკული ფორმულა კი შეიძლება იყოს A speaker means – მოსაუბრეს სურს თქვას. ამ ფრაზას გრაისი განმარტავს, როგორც მოსაუბრის სურვილს, გავლენა მოახდინოს მსმენელზე და აცნობოს მას თავისი განზრახვის შესახებ. „მოსაუბრის მნიშვნელობა“ უმეტესად არ ემთხვევა წინადადების შინაარსს.

სუბიექტური ფაქტორის მიმართ ინტერესი, როგორც უკვე ვახსენეთ, გამოწვეულია კვლევის ერთეულის შეცვლით. ენათმეცნიერები იკვლევენ არა სიტყვისა და წინადადების მნიშვნელობას, არამედ გამონათქვამის კომუნიკაციურ შინაარსს. პრაგმატიკის წინაშე დგას ამოცანა, შეისწავლოს ის კანონზომიერებები, რომლებიც

განაპირობებენ სუბიექტური მნიშვნელობის წარმოშობას, და დაადგინოს მათი კონვენციურობის ხარისხი.

ჩვეულებრივ, სამეტყველო სიტუაციაში მეტყველი სუბიექტისა და ადრესატის პარამეტრები ერთმანეთს უნდა შეესატყვისებოდეს. მაგალითად: მასწავლებელი – მოსწავლე, მოსამართლე – ბრალდებული და ა.შ. კომუნიკაციას ასევე არეგულირებს სასაუბრო სიტუაცია და საკომუნიკაციო გარემო – მეგობრები, კოლეგები, თანატოლები და სხვა. ზოგჯერ, რა თქმა უნდა, ხდება ასიმეტრიზაცია, როდესაც არის განსხვავება გამოყენებას, ასაკსა და სოციალურ მდგომარეობას შორის. უნდა არინიშნოს, რომ თავად ტერმინი „ადრესატიც“ არ არის შემთხვევითი. იგი კარგად გამოხატავს არსს, რადგანაც მისი ფაქტორი ხაზს უსვამს, რომ სამეტყველო ქმედება გამიზნულად არის მიმართული მსმენელი სუბიექტისაკენ. ამასთან, მეტყველი სუბიექტი და მსმენელის საკომუნიკაციო ასპექტები აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი სამეტყველო ქმედება გათვლილია ადრესატის განსაზღვრულ მოდელზე. ადრესატის პრესუპოზიციის დაკმაყოფილება მეტყველების ეფექტურობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

## თავი IV. იურიდიული პარალელური ტექსტების ანოტირება, სტრუქტურირება, თეგირება და კორპუსული კვლევა

### §1. ინგლისური და ქართული იურიდიული პარალელური ტექსტების ანოტირების, სტრუქტურირებისა და თეგირების მოდელირება

ნაშრომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე, როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, არის მონაცემების ტექნოლოგიური ბაზა, რომელიც შეიქმნა კვლევის პროცესში, როგორც ადაპტირებული ღია პლატფორმა სპეციალიზებული ენობრივი კორპუსებისათვის. ის უზრუნველყოფს ქართული ენის პარალელური კორპუსის განვითარებას ზოგადად. ასევე, ის არის დაინტერესებული სპეციალისტებისათვის ერთიანი სამუშაო პლატფორმა, რომელიც აღჭურვილია კვლევის ჩვენეული მოდელით.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სპეციალიზებული საძიებო კორპუსული პროგრამა, რომლის მეშვეობით ტერმინთა მოძიება, კონტექსტების გახსნა, კონტექსტური მნიშვნელობების დადგენა, დეფინიციების შეპირისპირებითი ანალიზი დროის მოკლე მონაკვეთში ხდება შესაძლებელი.

როგორც აღვნიშნეთ, თეგირება ხანგრძლივი, შრომატევადი და, იმავდროულად, ანალიტიკური პროცესია. იგი რამდენიმე ეტაპად განვახორციელებთ.

ზემოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, თეგირების პირველ ეტაპზე შევეცადეთ სქემისა და მოდელის შერჩევას დასმული ამოცანის შესაბამისად, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის ანალიზი გვსურდა, კერძოდ, ესაა ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი თემის შემთხვევაში, თარგმნის ეკვივალენტობის პრობლემა პარალელურ ტექსტებში. თეგების ნაკრები შევადგინეთ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შეესაბამება ის როგორც ტექსტის თემას, ასევე დასახულ კვლევით სამუშაოს. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში, კორპუსში შესატანი მასალის ავტომატურ და ნახევრად ავტომატურ რეჟიმში დამუშავების დროს თეგირება განვახორციელებთ რამდენიმე ეტაპად: 1. მორფოლოგიური ანალიზი; 2. სინტაქსური ანალიზი; 3. სემანტიკური ანალიზი; 4. ტელეოლოგიური ანალიზი. ქვემოთ შემოგთავაზებთ კონკრეტულ მაგალითებს, მათს ანალიზსა და დასკვნებს.

ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და გავრცელებულ ფორმას მონაცემთა ვიზუალიზაცია წარმოადგენს. ეს

უკანასკნელი დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო და სტატისტიკურ კვლევებში, მონაცემთა მოპოვების სფეროში და სხვა, მათ შორის დიგიტალურ ჰუმანიტარიაშიც.

### **კორპუსის ტექნიკური ფორმატი**

კორპუსი დაშიფრულია XML ფორმატში, ტექსტის დაშიფვრის ძირითადი რეკომენდაციების (TEI P4) შესაბამისად. კორპუსი შედგება ორი ნაწილისგან: ტექსტებისა და განმარტებებისაგან.

ტექსტები დაჯგუფებულია ენების მიხედვით (ინგლისური და ქართული). ერთ ენაზე არსებული ტექსტები ქმნიან ერთ TEI კორპუსს, რომელიც შედგება საკუთრივ ტექსტისა და TEI სათაურისაგან (ე.წ. ჰედერი). ეს უკანასკნელი გვაწვდის ამომწურავ ინფორმაციას კორპუსის შესახებ. ყოველი ტექსტი თავის მხრივ შეიცავს TEI სათაურსა და საკუთრივ ტექსტს, რომელიც ცალკეული აბზაცისაგან შედგება.

TEI ტექსტს თითოეული ენობრივი წყვილისთვის თან ერთვის ორმაგი განმარტება, თუმცაღა ტექსტი სრულად არ არის წარმოდგენილი, არამედ ცალკეული აბზაცის ამონარიდებს შეიცავს.



**§2. ანოტირებული, სტრუქტურირებული და თეგირებული პარალელური  
იურიდიული ტექსტების კორპუსული კვლევა ავტომატურ და  
ნახევრადავტომატურ რეჟიმებში**

კვლევის პირველ ეტაპზე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების (კარი 1-4, მუხლი 1-276) ინგლისურ ტექსტში და ქართულ თარგმანში თეგებით მოვნიშნეთ კოლოკაციები, კალკირებები, უცხოური სიტყვები, ტერმინები (იურიდიული და ეკონომიკური), სინტაქსური კალკირება, ვნებითი გვარის კონსტრუქციის არასწორი ინტერპრეტაცია, ტავტოლოგია, მართლწერა, მთარგმნელობითი შეცდომა, აბრევიატურა, ლექსიკური დამატება. იხილეთ მაგალითი:

The Parties <lng\_clc>commit themselves</lng\_clc> to the <lg\_trm>rule of law</lg\_trm>, <lng\_clc>good governance</lng\_clc>, the <lng\_clc>fight against corruption</lng\_clc>, the fight against the various forms of transnational <lg\_trm>organised crime and terrorism</lg\_trm>, the promotion of sustainable development, effective multilateralism and the fight against the proliferation of <lg\_trm>weapons of mass destruction</lg\_trm> and their <lng\_trm>delivery systems</lng\_trm>. This commitment constitutes a <lng\_clc>key factor</lng\_clc> in the development of the relations and cooperation between the Parties and contributes to regional peace and stability.

მხარეები <lng\_clc>ვალდებულებას იღებენ</lng\_clc> უზრუნველყონ <lg\_trm>კანონის უზენაესობა</lg\_trm>, განახორციელონ <lng\_calq>კარგი მმართველობა</lng\_calq>, <lng\_clc>ებრძოლონ კორუფციას</lng\_clc> და სხვადასხვა ფორმის <soc\_fwd>ტრანსნაციონალურ</soc\_fwd> <lg\_trm>ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმს</lg\_trm>, ხელი შეუწყონ <lng\_calq>მდგრად განვითარებას</lng\_calq>, ეფექტიან <soc\_fwd>მულტილატერალიზმს</soc\_fwd> და <synt\_calq>ებრძოლონ <lg\_trm>მასობრივი განადგურების იარაღის</lg\_trm> და მისი <lng\_trm>მიწოდების საშუალებების</lng\_trm> გავრცელების წინააღმდეგ</synt\_calq>. ეს ვალდებულებები წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარების <lng\_calq><lng\_clc>ძირითად ფაქტორს</lng\_clc></lng\_calq> და ხელს უწყობს მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხ-

ვა ლინგვისტური კონსტრუქციისა და ტერმინის მოსანიშნად გამოვიყენეთ შემდეგი თეგები:


- <lng\_clc>...</lng\_clc> კოლოკაცია
- <lng\_calq>...</lng\_calq> კალკირება
- <soc\_fwd>...</soc\_fwd> უცხოური სიტყვები/ტრანსლიტერაცია
- <lng\_trm>...</lng\_trm> ტერმინები
- <lg\_trm>...</lg\_trm> იურიდიული ტერმინები
- <ecn\_trm>...</ecn\_trm> ეკონომიკური ტერმინი
- <synt\_calq>...</synt\_calq> სინტაქსური კალკირება
- <lng\_mpv>...</lng\_mpv> ვნებითი გვარის კონსტრუქციის არასწორი ინტერპრეტაცია
- <st\_taut>...</st\_taut> ტავტოლოგია
- <lng\_spl>...</lng\_spl> მართლწერა
- <tr\_err>...</tr\_err> მთარგმნელობითი შეცდომა
- <lng\_abr>...</lng\_abr> აბრევიატურა
- <tr\_lex.add>...</tr\_lex.add> ლექსიკური დამატება

თეგები შემუშავებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორ ხათუნა ბერიძის მიერ. თეგირების პროცესი მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილესა და ყურადღებას. ის რამდენიმე ეტაპად განვახორციელებთ: 1. ასოცირების ხელშეკრულების ინგლისური და ქართული ტექსტების პარალელურ რეჟიმში დამუშავება-შედარება, რასაც ძირითადად გაცნობითი ხასიათი ჰქონდა; 2. წყარო და სამიზნე ტექსტების მარკირება პარალელურ რეჟიმში, ერთი და იმავე თეგის გამოყენებით – მარკირების პირველი ეტაპი; 3. უკვე მარკირებული ტექსტების ხელმეორედ გადახედვა – მარკირება. უმეტესწილად აღნიშნული ეტაპის გამეორება რამდენჯერმე გვიხდებოდა, ვინაიდან მარკირებისას დაშვებული მცირედი უზუსტობაც კი პრობლემას გვიქმნიდა – პროგრამული ანალიზატორი ჩვენ მიერ მიწოდებულ მონაცემებს ვერ აღიქვამდა.


მარკირების ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესის შემდეგ ინგლისური და ქართული ტექსტები Word-ის ფორმატიდან გადავიყვანეთ XML ფორმატში. საამისოდ გამოვიყენეთ სპეციალური პროგრამა NOTEPAD++, რომლის უპირატესობა გახლავთ ის, რომ პროგრამული ანალიზატორისთვის აღქმადია, ამასთანავე, გვიადვილებს

მუშაობას იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე თეგი არასწორადაა შეყვანილი, მაგალი-  
 თად, აკლია წილადის ნიშანი ან ნორმაზე მეტია დაცილება სიმბოლოებს შორის.  
 NOTEPAD++ თავად პოულობს შეცდომას, აწითლებს მას და გასწორებისას აღარ  
 გვიწევს მთელი აბზაცის ან თავის ხელმეორედ წაკითხვა შეცდომის პოვნის მიზნით.  
 იხილეთ სურათი 1,2:

სურათი 1. ინგლისური თეგირებული ტექსტი NOTEPAD++ -ში:



სურათი 2. ქართული თეგირებული ტექსტი NOTEPAD++ - ში:



მომდევნო ეტაპზე მარკირებული ტექსტების გადასამოწმებლად გამოვიყენეთ  
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანისა და ინტერ-

დისციპლინური კვლევების ცენტრისა და ტექნოლოგიური დეპარტამენტის თანამშრომლობით შექმნილ სპეციალურ პროგრამა. იხილეთ სურ.3:

სურათი 3. კორპუსული ანალიზატორის ვიზუალი:

  
**Batumi Shota Rustaveli State University**  
**Research Projects in Translation and Corpus Linguistics**

© Khatuna Beridze, Associate Professor, Head of the Translation and Interdisciplinary Research, Batumi Shota Rustaveli State University. Email: beridze@bsu.edu.ge  
 © Zviad Beradze, Head of the IT Technologies, Batumi Shota Rustaveli State University BSU 2019

აღნიშნული პროგრამით სარგებლობისთვის თავდაპირველად საჭიროა დავრეგისტრირდეთ, როგორც მომხმარებელი. მომხმარებლის საკუთარი სახელისა და პაროლის მითითებით შევდივართ პროგრამაში. იხილეთ სურათი 4:

სურათი 4. პროგრამის ვიზუალი

მთავარი ტექსტის დამატება/რედაქტირება ფაილების ატვირთვა გასვლა

აირჩიეთ თემა	<input type="text"/>		
კოლოკაცია	<input type="checkbox"/>	კალკირება	<input type="checkbox"/>
უცხოური სიტყვები	<input type="checkbox"/>	ნასესხობა	<input type="checkbox"/>
ტერმინები	<input type="checkbox"/>	იურიდიული ტერმინები	<input type="checkbox"/>
ეკონომიკური ტერმინი	<input type="checkbox"/>	თარგმნის ცრუ შეგობრები	<input type="checkbox"/>
სინტაქსური კალკირება	<input type="checkbox"/>	ვნებ გვარის კონსტრ.არასწორი ინტერპრეტაცია	<input type="checkbox"/>
ტავტოლოგია	<input type="checkbox"/>	მართლწერა	<input type="checkbox"/>
მთარგმნელობითი შეცდომა	<input type="checkbox"/>	აბრევიატურა	<input type="checkbox"/>
ლექსიკური დამატება	<input type="checkbox"/>		

უპირველეს ყოვლისა, პროგრამაში ავტვირთავთ XML ფორმატში გადაყვანილი ინგლისურსა და ქართულ ტექსტებს. შემდეგ სპეციალურ ველში –**თეგების დამატება** შეგვყავს ჩვენ მიერ წინასწარ შემუშავებული თეგები. ავირჩევთ XML ფორმატში უკვე

შეყვანილ სასურველ ტექსტს, ველში ავირჩევთ თემას, მოვნიშნავთ სასურველ თეგებს და ვაჭერთ ღილაკს **გაგზავნა**. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ პროგრამა ავტომატურ რეჟიმში ეძებს და გვაწოდებს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი კვლევის პროცესში დამუშავებული ორენოვანი მასალის შეპირისპირებითი ანალიზისთვის. პროგრამა ინგლისურსა და ქართულ ტექსტებს პარალელურად ალაგებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიისთვის ავტომატურ რეჟიმში გვაძლევს თეგირებული ტერმინების სტატისტიკას. იხილეთ ეკრანის სურათი, რომელიც ასახავს პროგრამის მიერ პარალელურად დალაგებული ორენოვანი ტექსტის სტატისტიკური ანალიზატორიდან მოპოვებულ მონაცემებს:

### სურათი 5. სტრუქტურირებული ტექსტები

<p>ვააღრმავოს პოლიტიკური ასოციაცია (ing_cai) და გაზარდოს პოლიტიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის (ig_fm) საკითხებზე დაახლოება და ეფექტიანობა;</p> <p>(b) ხელი შეუწყოს ტერიტორიული მთლიანობის (ig_fm) საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევლობის (ig_fm) სუვერენიტეტის (sc_fm) და დამოუკიდებლობის პრინციპებს, როგორც ეს განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებებსა (ig_fm) და 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნით აქტში (ig_fm); (c) ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას (ig_fm); (d) ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას (ig_fm) მრავალმხრივი თანამშრომლობის (ig_fm) ეფექტიანად განხორციელების საფუძველზე; (e) გააძლიეროს (ing_cai) მხარეებს შორის თანამშრომლობა და დიალოგი (ing_cai) საერთაშორისო უსაფრთხოებისა და კრიზისის მართვის (ig_fm) საკითხებზე, განსაკუთრებით გლობალურ და რეგიონულ გამოწვევებსა (ing_cai) და მთავარ საფრთხეებზე (ig_fm) რეაგირების მიზნით; (f) გააძლიეროს თანამშრომლობა (ing_cai) მასობრივი განადგურების იარაღისა (ig_fm) და მათი მინოღების საშუალებების (ig_fm) გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის (ing_cai) სფეროში, მასობრივი განადგურების იარაღთან (ig_fm) დაკავშირებულ პროგრამებში აღრე დასაქმებულ მეცნიერთათვის ალტერნატიული (sc_fm) სამუშაოს შეთავაზების ზათვლით; (g) ხელი შეუწყოს მხარეებს შორის შედეგზე ორიენტირებულ და პრაქტიკულ თანამშრომლობას (ing_cai) ევროპის კონტინენტზე მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად; (h) გააძლიეროს დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა (ig_fm) და კარგი მმართველობის (ing_cai) აღდგენის უფლებებისა (ig_fm) და ძირითადი თავისუფლებების (ig_fm) მათ შორის მედიის თავისუფლებისა და მმ პირების უფლებების პატივისცემა რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს (sv_fm) ასევე წვლილი შეიტანოს შიდა პოლიტიკური რეფორმების (ig_fm) კონსოლიდაციაში; (i) განავითაროს დიალოგი (ing_cai) და გააღრმავოს</p>	<p>to deepen political association (ing_cai) and increase political and security policy (ig_fm) convergence and effectiveness; (b) to promote the principles of territorial integrity (ig_fm), inviolability of internationally recognised borders (ig_fm), sovereignty and independence, as enshrined in the Charter of the United Nations (ig_fm) and the Helsinki Final Act (ig_fm) of 1975 of the Conference on Security and Cooperation in Europe; (c) to promote peaceful conflict resolution (ig_fm); (d) to promote international stability and security (ig_fm) based on effective multilateralism (ig_fm); (e) to strengthen cooperation and dialogue between the Parties on international security and crisis management (ig_fm), in particular in order to address global and regional challenges (ing_cai) and key threats (ig_fm); (f) to strengthen the cooperation in the fight against the proliferation of weapons of mass destruction (ig_fm) WMD (ing_cai) and their delivery systems (ig_fm), including the conversion to alternative employment of scientists formerly employed in WMD (ing_cai) programmes; (g) to foster result-oriented and practical cooperation (ing_cai) between the Parties for achieving peace, security and stability on the European continent; (h) to strengthen respect for democratic principles, the rule of law (ig_fm) and good governance (ig_fm), human rights (ig_fm) and fundamental freedoms (ig_fm), including media freedom and the rights of persons belonging to minorities, and to contribute to consolidating domestic political reforms (ig_fm); (i) to develop dialogue (ing_cai) and to deepen the cooperation (ing_cai) of the Parties in the field of security and defence (ig_fm); (j) to work to further promote (ing_cai) regional cooperation (ig_fm) various formats; (k) to provide all benefits of closer political association (ing_cai) between the EU and Georgia, including increased security policy (ig_fm) convergence to all citizens of Georgia within its internationally recognised borders (ig_fm).</p>
--	--

აღსანიშნავია, ასევე ის ფაქტიც, რომ კვლევის შედეგების გადამოწმება-ვერიფიკაცია მოცემული პროგრამის საშუალებით შესაძლებელია დისტანციურად. სამისოდ საკმარისია, დანატერესებული პირი დარეგისტრირდეს, როგორც მომხმარებელი, შევიდეს პროგრამაში, მონიშნოს მისთვის სასურველი ტექსტი, მიუთითოს თეგები და ავტომატურ რეჟიმში იხილავს ანალიზატორის შედეგებს. კორპუსლინგვისტიკისა და ინფორმატიკის ერთობლივი და უდიდესი შედეგიც სწორედ ეს არის – კვლევის შედეგის მიღება უმოკლეს დროში.

ჩვენ მიერ თეგირებული ტექსტების სპეციალურ სამიებო პროგრამაში მოთავსებით მივიღეთ შემდეგი შედეგები:

### სურათი 6. ძებნის შედეგები

ძებნის შედეგები	
მოთხოვნა XML ფაილთან: /bookstore//lng_clc   //lng_calq   //soc_fwd   //lng_brw   //lng_trm   //lg_trm   //ecn_trm   //lng_tff   //synt_calq   //lng_mpv   //st_taut   //lng_spl   //tr_err   //lng_abr   //tr_lex.add	
ძებნის პარამეტრები GE: lng_clc (რაოდენობა: 1); lng_calq (რაოდენობა: 10); soc_fwd (რაოდენობა: 2); lng_brw (რაოდენობა: 0); lng_trm (რაოდენობა: 1); lg_trm (რაოდენობა: 21); ecn_trm (რაოდენობა: 0); lng_tff (რაოდენობა: 0); synt_calq (რაოდენობა: 1); lng_mpv (რაოდენობა: 0); st_taut (რაოდენობა: 0); lng_spl (რაოდენობა: 1); tr_err (რაოდენობა: 0); lng_abr (რაოდენობა: 0); tr_lex.add (რაოდენობა: 0);	
ძებნის პარამეტრები EN: lng_clc (რაოდენობა: 6); lng_calq (რაოდენობა: 0); soc_fwd (რაოდენობა: 0); lng_brw (რაოდენობა: 0); lng_trm (რაოდენობა: 0); lg_trm (რაოდენობა: 23); ecn_trm (რაოდენობა: 0); lng_tff (რაოდენობა: 0); synt_calq (რაოდენობა: 0); lng_mpv (რაოდენობა: 0); st_taut (რაოდენობა: 0); lng_spl (რაოდენობა: 0); tr_err (რაოდენობა: 0); lng_abr (რაოდენობა: 2); tr_lex.add (რაოდენობა: 0);	
ქართული ტექსტი	ინგლისური ტექსტი
პოლიტიკური ასოცირება	political association
უსაფრთხოების პოლიტიკის	security policy
ტერიტორიული მთლიანობის	territorial integrity
საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის	inviolability of internationally recognised borders
სუვერენიტეტისა	Charter of the United Nations
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა	Helsinki Final Act
შელსინკის დასკვნით აქტში	peaceful conflict resolution
კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას	international stability and security
საერთაშორისო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას	multilateralism
მრავალმხრივი თანამშრომლობის	international security and crisis management
გააძლიეროს	global and regional challenges
ღიალოგი	key threats
უსაფრთხოებისა და კრიზისის მართვის	weapons of mass destruction
გლობალურ და რეგიონულ გამონღვევებსა	WMD

წარმოგიდგენთ ანალიზატორის შედეგების დაწვრილებით ანალიზს:

მოთხოვნა XML ფაილთან: /bookstore//lng\_clc | //lng\_calq | //soc\_fwd | //lng\_brw | //lng\_trm | //lg\_trm | //ecn\_trm | //lng\_tff | //synt\_calq | //lng\_mpv | //st\_taut | //lng\_spl | //tr\_err | //lng\_abr | //tr\_lex.add

ქართული ტექსტი კარი I , მუხლი 2-ის, ზოგადი პრინციპები, პირველი პუნქტის ძებნის პარამეტრების შედეგად მივიღეთ შემდეგი მონაცემები:

### ძებნის პარამეტრები

GE: lng\_clc (რაოდენობა: 1); EN: lng\_clc (რაოდენობა: 1);

lng\_calq (რაოდენობა: 1); lng\_calq (რაოდენობა: 0);

lg\_trm (რაოდენობა: 7); lg\_trm (რაოდენობა: 8);

ტერმინების თარგმნის მაგალითებით შეიძლება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა:

1. human rights - ადამიანის უფლებათა
2. fundamental freedoms - ფუნდამენტურ თავისუფლებათა
3. the United Nations Universal Declaration of Human Rights of 1948 - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

4. the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms of 1950 - 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
5. the Helsinki Final Act of 1975 of the Conference on Security and Cooperation in Europe - 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტი
6. the Charter of Paris for a New Europe of 1990 - 1990 წლის პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის
7. domestic and external policies - შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკა
8. weapons of mass destruction - მასობრივი განადგურების იარაღი

**განვიხილოთ კალკირების მაგალითი:**

ინგლისურენოვან ტექსტში ტერმინად გამოყენებული კონსტრუქცია **fundamental freedoms** ქართულად თარგმნილია როგორც: **ფუნდამენტურ თავისუფლებათა**, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თარგმანი აშკარა კალკირებაა, მიუხედავად იმისა, რომ ის ხშირად გამოიყენება და ფაქტობრივად დამკვიდრდა კიდევ ენაში, რაც, ვფიქრობ, არასწორი თარგმანის შედეგია. მართებულად მიგვაჩნია **ძირითად თავისუფლებათა** გამოყენება, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს მისი შესატყვისი ინგლისურენოვანი ტერმინის არსს:

დემოკრატიული პრინციპების, **ადამიანის უფლებათა (lg\_trm)** და **ფუნდამენტურ თავისუფლებათა (lng\_calq)** პატივისცემა, როგორც ეს აღიარებულია **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა (lg\_trm)** და განსაზღვრულია **1950 წლის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით (lg\_trm)**, **1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტითა (lg\_trm)** და **1990 წლის პარიზის ქარტით ახალი ევროპისთვის (lg\_trm)**, წარმოადგენს მხარეთა **შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკის (lg\_trm)** საფუძველს და წინამდებარე შეთანხმების არსებით ელემენტს. **მასობრივი განადგურების იარაღის (lg\_trm)**, ასეთ იარაღთან დაკავშირებული მასალებისა და მათი მიწოდების საშუალებების **კიდევ გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა (lng\_clc)** ასევე წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების არსებით ელემენტს.

Respect for the democratic principles, human rights (lg\_trm) and fundamental freedoms (lg\_trm), as proclaimed in the United Nations Universal Declaration of Human Rights of 1948 (lg\_trm) and as defined in the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms of 1950 (lg\_trm), the Helsinki Final Act of 1975 of the Conference on Security and Cooperation in Europe (lg\_trm) and the Charter of Paris for a New Europe of 1990 (lg\_trm) shall form the basis of the domestic and external policies (lg\_trm) of the Parties and constitutes an essential element of this Agreement. Countering the proliferation (lng\_clc) of weapons of mass destruction (lg\_trm), related materials and their means of delivery also constitute essential elements of this Agreement.

რაც შეეხება დედანსა და თარგმანში გამოყენებულ კოლოკაციას: **Countering the proliferation** – (კიდევ) გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, – მიგვაჩნია, რომ ქართული თარგმანი კიდევ გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა ინგლისურენოვანი კოლოკაციის **Countering the proliferation** შინაარსობრივ განმარტებას უფრო ჰგავს, ვიდრე – შესატყვის თარგმანს. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა გვეთარგმნა, როგორც გავრცელების შეზღუდვა.

მოთხოვნა XML ფაილთან: /bookstore//lng\_clc | //lng\_calq | //soc\_fwd | //lng\_brw | //lng\_trm | //lg\_trm | //ecn\_trm | //lng\_tff | //synt\_calq | //lng\_mpv | //st\_taut | //lng\_spl | //tr\_err | //lng\_abr | //tr\_lex.add

ქართული ტექსტი კარი I, მუხლი 2, ზოგადი პრინციპები, მესამე პუნქტის მეზობლის პარამეტრების შედეგად მივიღეთ შემდეგი მონაცემები (xml1.2.2):

მეზობლის პარამეტრები

GE: lng\_clc (რაოდენობა: 1); EN: lng\_clc (რაოდენობა: 1);

lng\_calq (რაოდენობა: 1); lng\_calq (რაოდენობა: 0);

soc\_fwd (რაოდენობა: 1); soc\_fwd (რაოდენობა: 0);

ecn\_trm (რაოდენობა: 1); ecn\_trm (რაოდენობა: 1);

synt\_calq (რაოდენობა: 1);

შევადართო ერთმანეთს დედანსა და თარგმანში გამოყენებული კოლოკაციები: sustainable development - მდგრადი განვითარება

მოგეხსენებათ, დღესდღეობით კოლოკაცია მდგრადი განვითარება საკმაოდ ხშირად გვეხმის მასმედიის საშუალებებით, ის გამოიყენება ისეთი დონის სახელმწიფოთაშორის იურიდიულ დოკუმენტში, როგორცაა ასოცირების ხელშეკრულება.



მიუხედავად იმისა, რომ **მდგრადი განვითარება** დღესდღეობით ფაქტობრივად დამკვიდრდა ენაში, როგორც კოლოკაცია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ინგლისურენოვანი კოლოკაციის **sustainable development** კალკია. აღნიშნულის საფუძველს გვამღვებს კოლოკაციის ქართული თარგმანის შემადგენელი სიტყვების ურთიერთსაპირისპირო კონოტაცია: სიტყვები **მდგრადი** და **განვითარება** ურთიერთგამომრიცხავადაც კი ჟღერს, თუკი პირველი სტატიკურია, მეორე – დინამიკური კონოტაციის მატარებელია. მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა **sustainable development** გვეთარგმნა, როგორც **შეუქცევადი ან დინამიური განვითარება**.

რაც შეეხება ქართულ თარგმანში უცხოური სიტყვების გამოყენების ტენდენციას, როგორცაა აღნიშნულ მონაკვეთში **მულტილატერალიზმი**, რაც პირდაპირ გადმოტანილია წყარო ტექსტიდან **multilateralism**. ჩვენის აზრით, მიზანშეწონილია შესატყვისი ქართული სიტყვების დამკვიდრება ენაში, თუნდაც **მრავალმხრივობა**, რაც გასაგები იქნება ასოცირების ხელშეკრულებით დაინტერესებული რიგითი მკითხველისთვის და მშობლიურ ენასაც დავიცავთ შემოდინებული სიტყვებით გადატვირთვისაგან.

განსაკუთრებით საგულისხმოდ მიგვაჩნია სინტაქსური კალკირება, რაც თვალნათლივ ჩანს ქვემოთმოყვანილი წყარო და სამიზნე ტექსტების შედარებისას. ქართულ თარგმანში სიტყვათა თანმიმდევრობა ინგლისური თანწყობის იგივეობრივია, რაც მანქანური თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მხარეები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ მათ ერთგულებას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის(ecn\_trm), მდგრადი განვითარებისა(lng\_clc)(lng\_calq) და ეფექტიანი მულტილატერალიზმის(soc\_fwd) პრინციპებისადმი(synt\_calq).

The Parties reiterate their commitment to the principles of a free market economy(ecn\_trm), sustainable development(lng\_clc) and effective multilateralism.

მოთხოვნა XML ფაილთან: /bookstore//lng\_clc | //lng\_calq | //soc\_fwd | //lng\_trm | //lng\_trm | //ecn\_trm | //lng\_tff | //synt\_calq | //lng\_mpv | //st\_taut | //lng\_spl | //tr\_err | //lng\_abr | //tr\_lex.add

ქართული ტექსტი კარი I, მუხლი 2, ზოგადი პრინციპები, მესამე პუნქტის ძებნის პარამეტრების შედეგად მივიღეთ შემდეგი მონაცემები (xml1.2.3):

ძებნის პარამეტრები

GE: lng\_clc (რაოდენობა: 2);

lng\_calq (რაოდენობა: 1);

lg\_trm (რაოდენობა: 4);

EN: lng\_clc (რაოდენობა: 2);

lng\_calq (რაოდენობა: 0);

lg\_trm (რაოდენობა: 4);

ტერმინების თარგმნის მაგალითებით შეიძლება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა:

1.the most serious crimes – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები

2.impunity – დაუსჯელობა

3.the International Criminal Court – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

4.international community – საერთაშორისო თანამეგობრობა(ა)(ისტვის)

განვიხილოთ კალკირების მაგალითი:

ინგლისურ ენაზე მოდალობით გადმოცემული კონსტრუქცია **must be avoided** ქართულად თარგმნილია, როგორც **თავიდან უნდა იქნეს აცილებული**, მიგვაჩნია, რომ თარგმანში ჯობდა **თავიდან უნდა ავიცილოთ**, რაც ენისათვის მეტად ბუნებრივი ფორმა იქნებოდა.

he Parties reaffirm that **the most serious crimes** (lg\_trm) of concern to the **international community** (lg\_trm) as a whole must not **go unpunished**(lng\_clc) and that **impunity** (lg\_trm) for such crimes must be avoided.

მხარეები **კიდევ ერთხელ ადასტურებენ** (lng\_clc), რომ **საერთაშორისო თანამეგობრობისთვის** (lg\_trm) მნიშვნელოვანი **განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის** **დაუსჯელობა**(lg\_trm) **თავიდან უნდა იქნეს აცილებული**(lng\_calq)

კოლოკაციები დედანსა და თარგმანში:

1.taking measures – ზომების მიღება(ა)(ის)

2.(must not) go unpunished – (არ უნდა დარჩეს) დაუსჯელი

როგორც ვხედავთ, თუ ინგლისურ ენაში უარყოფით ნაწილაკსა და მოდალურ ზმნას ჩამოვაშორებთ, მივიღებთ კოლოკაციას **go unpunished**, რაც ქართულად ისევე გადაითარგმნება **დაუსჯელობად**, როგორც ტერმინი **impunity**. უნდა აღვნიშნოთ, ქარ-

თულიდან ინგლისურად თარგმნის დროს შეცდომებს სწორედ ამგვარი დამთხვევები გვიქმნის იურიდიულ ტერმინსა და არატერმინ, ჩვეულებრივ არსებით სახელს შორის.

მოთხოვნა XML ფაილთან: /bookstore//lng\_clc | //lng\_calq | //soc\_fwd | //lng\_brw | //lng\_trm | //lg\_trm | //ecn\_trm | //lng\_tff | //synt\_calq | //lng\_mpv | //st\_taut | //lng\_spl | //tr\_err | //lng\_abr | //tr\_lex.add

ქართული ტექსტი კარი I, მუხლი 2 ,ზოგადი პრინციპები, მეოთხე პუნქტის ძეგნის პარამეტრების შედეგად მივიღეთ შემდეგი მონაცემები (xml1.2.4):

ძეგნის პარამეტრები

GE: lng\_clc (რაოდენობა: 3); EN: lng\_clc (რაოდენობა: 4);

lng\_calq (რაოდენობა: 3); lng\_calq (რაოდენობა: 0);

soc\_fwd (რაოდენობა: 2); soc\_fwd (რაოდენობა: 0);

lng\_trm (რაოდენობა: 1); lng\_trm (რაოდენობა: 1);

lg\_trm (რაოდენობა: 3); lg\_trm (რაოდენობა: 3);

synt\_calq (რაოდენობა: 1);

ტერმინების თარგმნის მაგალითებით შეიძლება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა:

1. rule of law –კანონის უზენაესობა;
2. organised crime and terrorism – ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმი;
3. weapons of mass destruction – მასობრივი განადგურების იარაღი.

ასევე, ლინგვისტური ტერმინი **delivery systems**, რომელიც თარგმნილია, როგორც მიწოდების საშუალებები, რაც სავსებით შესატყვის თარგმანად მიგვაჩნია.

განვიხილოთ კოლოკაციისა და კალკირების მაგალითები:

1. commit themselves –ვალდებულებას იღებენ;
2. good governance – კარგი მმართველობა;
3. fight against corruption – ებრძოლონ კორუფციას;
4. key factor – ძირითადი ფაქტორი.

თუ შევადარებთ ინგლისურსა და ქართულენოვან ტექსტებს, ყურადღებას იპყრობს სინტაქსური კალკირება, რაც თვალნათლივ ჩანს ქვემოთმოყვანილი წყარო და სამიზნე ტექსტების შედარებისას. ქართულ თარგმანში სიტყვათა თანმიმდევრობა

ინგლისური თანწყობის იგივეობრივია, რაც მანქანური თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

The Parties **commit themselves**(lng\_clc) to the **rule of law**(lg\_trm), **good governance**(lng\_clc), the **fight against corruption**(lng\_clc), the fight against the various forms of transnational **organised crime and terrorism**(lg\_trm), the promotion of sustainable development, effective multilateralism and the fight against the proliferation of **weapons of mass destruction**(lg\_trm) and their **delivery systems**(lng\_trm). This commitment constitutes a **key factor**(lng\_clc) in the development of the relations and cooperation between the Parties and contributes to regional peace and stability.

მხარეები ვალდებულებას იღებენ(lng\_clc) უზრუნველყონ კანონის უზენაესობა(lg\_trm), განახორციელონ კარგი მმართველობა(lng\_calq), ებრძოლონ კორუფციას(lng\_clc) და სხვადასხვა ფორმის ტრანსნაციონალურ(soc\_fwd) ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმს(lg\_trm), ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას(lng\_calq), ეფექტიან მულტილატერალიზმს(soc\_fwd) და იბრძოლონ მასობრივი განადგურების იარაღის(lg\_trm) და მისი მიწოდების საშუალებების(lng\_trm) გავრცელების წინააღმდეგ(synt\_calq). ეს ვალდებულებები წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარების ძირითად ფაქტორს(lng\_clc)(lng\_calq) და ხელს უწყობს მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში.

პარალელური ტექსტების შედარებითი ანალიზისას ვრწმუნდებით, რომ ცალკეულ შემთხვევაში კოლოკაციების თარგმნისას შესატყვისი კონსტრუქციის გამოყენების ნაცვლად გვხვდება კალკირებები, მაგალითად: **good governance** სიტყვასიტყვით თარგმნილია, როგორც **კარგი მმართველობა**, რაც აშკარად კალკირების შთაბეჭდილებას ტოვებს.

დავუბრუნდეთ ისევ და ისევ ქართულ თარგმანში უცხოური სიტყვების გამოყენების ტენდენციას, როგორცაა აღნიშნულ მონაკვეთში **ტრანსნაციონალური**, რომელიც სიტყვასიტყვით გადმოტანილია წყარო ტექსტიდან **transnational**. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია შესატყვისი ქართული სიტყვების დამკვიდრება ენაში, მაგალითად, **ეროვნებათშორისი** რაც გასაგები იქნება ასოცირების ხელშეკრულებით დაინტერესებული რიგითი მკითხველისთვის, გაცილებით მშობლიურად ჟღერს და, რაც ყველაზე მთავარია, ქართულ ენას დავიცავთ შემოდინებული სიტყვებით გადატვირთვისაგან.

მოთხოვნა XML ფაილთან: /bookstore//lng\_clc | //lng\_calq | //soc\_fwd | //lng\_brw |  
//lng\_trm | //lg\_trm | //ecn\_trm | //lng\_tff | //synt\_calq | //lng\_mpv | //st\_taut | //lng\_spl |  
//tr\_err | //lng\_abr | //tr\_lex.add

ქართული ტექსტი კარი II, მუხლი 3, პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა;  
პირველი პუნქტის ძეზნის პარამეტრების შედეგად მივიღეთ შემდეგი მონა-  
ცემები (xml 2.1):

ძეზნის პარამეტრები

GE: lng\_calq (რაოდენობა: 1); EN: lng\_clc (რაოდენობა: 1);

soc\_fwd (რაოდენობა: 2); soc\_fwd (რაოდენობა: 0);

lg\_trm (რაოდენობა: 4); lg\_trm (რაოდენობა: 4);

synt\_calq (რაოდენობა: 2);

აღნიშნულ მუხლშიც გვხვდება ტერმინების თარგმნის მაგალითები, რომელთა  
გამოყენება შეიძლება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ტერმინოლოგიური  
ლექსიკონის შესადგენად:

1. foreign and security matters – საგარეო და უსაფრთხოების საკითხები
2. domestic reform – შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა
3. political cooperation – პოლიტიკური თანამშრომლობის
4. foreign and security matters – საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ინგლისურ ტექსტში ერთი და იგივე  
ტერმინი **foreign and security matters** ორჯერაა გამოყენებული:

Political dialogue on all areas of mutual interest, including (lg\_trm) **foreign and  
security matters**(/lg\_trm) as well as (lg\_trm) **domestic reform**(/lg\_trm), shall be further  
developed and strengthened between the Parties. This will increase the effectiveness  
of (lg\_trm) **political cooperation**(/lg\_trm) and promote convergence on (lg\_trm) **foreign and  
security matters**(/lg\_trm), (lng\_clc) **strengthening relations**(/lng\_clc) in an innovative way.

(synt\_calq) **პოლიტიკური დიალოგის**აერთო ინტერესთა ყველა სფეროში,  
(lg\_trm)**საგარეო** და **უსაფრთხოების**  
**საკითხებისა**(/lg\_trm) და (lg\_trm) **შიდასახელმწიფოებრივი** **რეფორ-**  
**მის**(/lg\_trm) ჩათვლით, მხარეებს შორის კიდევ უფრო **განვითარდება და გაღრმავ-**  
**დება**(/synt\_calq). აღნიშნული **გაზრდის** (lg\_trm) **პოლიტიკური**

თანამშრომლობის(/lg\_trm) ეფექტიანობასა და ხელს შეუწყობს (lg\_trm) საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის(/lg\_trm) საკითხებზე დაახლოებას, (lng\_calq)ურთიერთობების გაძლიერებას(/lng\_calq) (soc\_fwd) ამბიციური(/soc\_fwd) და (soc\_fwd) ინოვაციური(/soc\_fwd) გზით.

თუმცა ქართულ თარგმანში პირველი გადმოტანილია, როგორც საგარეო და უსაფრთხოების საკითხები, რაც სავსებით შეესაბამება დედანს, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოყენებულია განსხვავებული თარგმანი: საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. გამომდინარე იქიდან, რომ ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი დონის იურიდიულ დოკუმენტს, ხოლო იურიდიული ტექსტების სპეციფიკა მოითხოვს აბსოლუტურ სიზუსტეს, გვიჩნდება მოსაზრება, რომ საქმე გვაქვს მთარგმნელობით უზუსტობასთან.

განვიხილოთ კალკირების მაგალითი: ინგლისურ ტექსტში გამოყენებული კოლოკაცია **strengthening relations** ქართულ თარგმანში გადმოტანილია, როგორც ურთიერთობების გაძლიერება, რაც, ჩვენი აზრით, აშკარა კალკირებაა. სიტყვა **strengthening** თარგმნილია პირდაპირი მნიშვნელობით – გაძლიერება, მაშინ, როდესაც ქართულ ენაში მოგვეპოვება შესატყვისი კოლოკაცია ურთიერთობების გაღრმავება.

რაც შეეხება ქართულ თარგმანში უცხოური სიტყვების გამოყენების ტენდენციას, როგორცაა აღნიშნულ მონაკვეთში ამბიციური და ინოვაციური, ამათგან პირველის შესატყვისი სიტყვა საერთოდ არ ჩანს დედანში (ჩვენი აზრით, ეს მთარგმნელობითი გადაცდომაა), ხოლო მეორე პირდაპირ გადმოტანილია წყარო ტექსტიდან **innovative**. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესატყვისი ქართული სიტყვების დამკვიდრება ენაში, თუნდაც თანამედროვე, ახლებური რაც გასაგები იქნება ასოცირების ხელშეკრულებით დაინტერესებული რიგითი მკითხველისთვის და მშობლიურ ენა-საც დავიცავთ შემოდინებული სიტყვებით გადატვირთვისაგან.

მოთხოვნა XML ფაილთან: /bookstore//lng\_clc | //lng\_calq | //soc\_fwd | //lng\_brw | //lng\_trm | //lg\_trm | //ecn\_trm | //lng\_tff | //synt\_calq | //lng\_mpv | //st\_taut | //lng\_spl | //tr\_err | //lng\_abr | //tr\_lex.add

ქართული ტექსტი კარი II, მუხლი 3 , პოლიტიკური დიალოგის მიზნები, ძეგლის პარამეტრების შედეგად მივიღეთ შემდეგი მონაცემები (xml 2.3 ):

ძეზნის პარამეტრები

GE: lng\_clc (რაოდენობა: 1); EN: lng\_clc (რაოდენობა: 6);

lng\_calq (რაოდენობა: 10);

soc\_fwd (რაოდენობა: 2);

lng\_trm (რაოდენობა: 1); lng\_trm (რაოდენობა: 0);

lg\_trm (რაოდენობა: 21); lg\_trm (რაოდენობა: 23);

synt\_calq (რაოდენობა: 1); lng\_abr (რაოდენობა: 2);

lng\_spl (რაოდენობა: 1);

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ მუხლშიც საკმაოდ მრავლადაა ტერმინების თარგმნის მაგალითი, რომელთა გამოყენებით შეიძლება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა:

1. security policy – უსაფრთხოების პოლიტიკა;
2. territorial integrity – ტერიტორიული მთლიანობა;
3. inviolability of internationally recognised borders – საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობა;
4. Helsinki Final Act – ჰელსინკის დასკვნითი აქტი;
5. peaceful conflict resolution – კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება;
6. international stability and security – საერთაშორისო სტაბილურობა და უსაფრთხოება;
7. multilateralism – მრავალმხრივი თანამშრომლობა;
8. international security and crisis management – საერთაშორისო სტაბილურობა და უსაფრთხოება;
9. key threats – მთავარი საფრთხეები;
10. weapons of mass destruction – მასობრივი განადგურების იარაღი;
11. delivery systems – მიწოდების საშუალებები;
12. rule of law – კანონის უზენაესობა;
13. good governance – კარგი მმართველობა;
14. human rights – ადამიანის უფლებები;
15. fundamental freedoms – ძირითადი თავისუფლებები;
16. domestic political reforms – შიდა პოლიტიკური რეფორმები;

17. field of security and defence – უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფერო;
18. regional cooperation – რეგიონული თანამშრომლობა;
19. political association – პოლიტიკური ასოცირება;
20. security policy – უსაფრთხოების პოლიტიკა;
21. internationally recognised borders – საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები.

განვიხილოთ კოლოკაციებისა და კალკირების მაგალითები. ყურადღებას იქცევს ამ კონსტრუქციების არათანაბარი ფარდობითობა დედანსა და თარგმანში.

to deepen political association(lng\_clc) and increase political and security policy(lg\_trm) convergence and effectiveness; (b) to promote the principles of territorial integrity(lg\_trm), inviolability of internationally recognised borders(lg\_trm), sovereignty and independence, as enshrined in the Charter of the United Nations(lg\_trm) and the Helsinki Final Act(lg\_trm) of 1975 of the Conference on Security and Cooperation in Europe; (c) to promote peaceful conflict resolution(lg\_trm); (d) to promote international stability and security(lg\_trm) based on effective multilateralism(lg\_trm). (e) to strengthen cooperation and dialogue between the Parties on international security and crisis management(lg\_trm), in particular in order to address global and regional challenges(lng\_clc) and key threats(lg\_trm); (f) to strengthen the cooperation in the fight against the proliferation of weapons of mass destruction(lg\_trm) WMD(lng\_abr) and their delivery systems(lg\_trm) including the conversion to alternative employment of scientists formerly employed in WMD(lng\_abr)(lg\_trm) programmes; (g) to foster result-oriented and practical cooperation(lng\_clc) between the Parties for achieving peace, security and stability on the European continent; (h) to strengthen respect for democratic principles, the rule of law(lg\_trm) and good governance(lg\_trm), human rights(lg\_trm) and fundamental freedoms(lg\_trm), including media freedom and the rights of persons belonging to minorities , and to contribute to consolidating domestic political reforms(lg\_trm); (i) to develop dialogue(lng\_clc) and to deepen the cooperation(lng\_clc) of the Parties in the field of security and defence(lg\_trm); (j) to work to further promote(lng\_clc) regional cooperation(lg\_trm) various formats; (k) to provide all benefits of closer political association(lg\_trm) between the EU and Georgia, including increa-



sed security policy(lg\_trm) convergence to all citizens of Georgia within its internationally recognised borders(lg\_trm).

გააღრმავოს პოლიტიკური ასოცირება(lng\_calq) და გაზარდოს პოლიტიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის(lg\_trm) საკითხებზე დაახლოება და ეფექტიანობა; (b) ხელი შეუწყოს ტერიტორიული მთლიანობის(lg\_trm), საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის(lg\_trm), სუვერენიტეტისა(soc\_fwd) და დამოუკიდებლობის პრინციპებს, როგორც ეს განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა(lg\_trm) და 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნით აქტში (lg\_trm); (c) ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას (lg\_trm); (d) ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას (lg\_trm) მრავალმხრივი თანამშრომლობის (lg\_trm) ეფექტიანად განხორციელების საფუძველზე; (e) გააძლიეროს (lng\_calq) მხარეებს შორის თანამშრომლობა და დიალოგი (lng\_calq) საერთაშორისო უსაფრთხოებისა და კრიზისის მართვის (lg\_trm) საკითხებზე, განსაკუთრებით გლობალურ და რეგიონულ გამოწვევებსა (lng\_calq) და მთავარ საფრთხეებზე (lg\_trm) რეაგირების მიზნით; (f) გააძლიეროს თანამშრომლობა (lng\_calq) მასობრივი განადგურების იარაღისა (lg\_trm) და მათი მიწოდების საშუალებების (lng\_trm) გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის(lng\_spl) სფეროში, მასობრივი განადგურების იარაღთან (lg\_trm) დაკავშირებულ პროგრამებში ადრე დასაქმებულ მეცნიერთათვის ალტერნატიული (soc\_fwd) სამუშაოს შეთავაზების ჩათვლით; (g) ხელი შეუწყოს მხარეებს შორის შედეგზე ორიენტირებულ და პრაქტიკულ თანამშრომლობას> (lng\_cle) ევროპის კონტინენტზე მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად; (h) გააძლიეროს დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა (lg\_trm) და კარგი მმართველობის (lng\_calq), ადამიანის უფლებებისა (lg\_trm) და ძირითადი თავისუფლებების (lg\_trm), მათ შორის მედიის თავისუფლებისა და იმ პირების უფლებების პატივისცემა, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს(synt\_calq), ასევე წვლილი შეიტანოს შიდა პოლიტიკური რეფორმების (lg\_trm) კონსოლიდაციაში; (i) განავითაროს დიალოგი (lng\_calq) და გააღრმავოს მხარეთა თანამშრომლობა (lng\_calq) უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში (lg\_trm); (j) იმუშაოს სხვადასხვა ფორმატებში რეგიონული თანამშრომლობის (lg\_trm) შემდგომი წახალისების (lng\_calq) მიზნით; (k) უზრუნ-

ველყოს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის შორის მჭიდრო **პოლიტიკური ასოცი-**  
**რების (lg\_trm)** შედეგად მიღებული ყველა სარგებელი, გაზრდილი **უსაფრთხოების**  
**პოლიტიკის (lg\_trm)** საკითხებზე **დაახლოების (Ing\_calq)** ჩათვლით, გავრცელდეს სა-  
ქართველოს ყველა მოქალაქეზე, **საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში (lg\_trm)**.

ძებნის პარამეტრების მიხედვით ირკვევა, რომ ინგლისურ ტექსტში ჭარბობს კოლოკაციათა რაოდენობა (6), მაშინ როდესაც ქართულ თარგმანში მხოლოდ ერთი კოლოკაციაა გამოყენებული (1), სამაგიეროდ, მრავლად გვხვდება კალკირება, მათი რაოდენობა შეადგენს 10-ს. მაგალითად: დედანში გამოყენებული კოლოკაცია political association ქართულში სიტყვასიტყვითაა გადმოტანილი **პოლიტიკური ასოცირება**, რაც აშკარა კალკირებაა და საკმაოდ არაქართულად ჟღერს. **ჩვენი ექსპერიმენტული ანალიზატორის მეთოდოლოგია თავიდანვე გათვლილი იყო თარგმანის ხარისხზე, ზუსტი სტატისტიკური მონაცემებით გვემსჯელა**. ამ შემთხვევაში თარგმანის ხარისხობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს კალკირებების რაოდენობრივი მაჩვენებელი. მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს კალკირებები სამომავლოდ მიმოქცევაში შემოვა და ქართულ ენას კიდევ უფრო დაამახინჯებს.

ინგლისურენოვანი ფრაზა **to strengthen the dialogue** ასევე კალკირების მეშვეობით სრულიად გაურკვეველ, არაქართულ კონსტრუქციას გვამღევს – **გააძლიეროს დიალოგი**, ისევე როგორც **to strengthen the cooperation** თარგმნილია, როგორც **გააძლიეროს თანამშრომლობა**, რაც ასევე კალკირების აშკარა მაგალითია, ან თუნდაც ინგლისურ ტექსტში გამოყენებული კოლოკაცია **to develop dialogue**, თარგმანში გადმოტანილია როგორც **განავითაროს დიალოგი**, მიგვაჩნია, რომ მსგავსი კალკირებები შეუფერებელია ქართული ენისათვის, უმჯობესია გამოვიყენოთ კონსტრუქციები – **დიალოგის წარმართვა ან გამართვა**. კოლოკაცია **to deepen the cooperation** თარგმნილია, როგორც **გააღრმავოს (მხარეთა) თანამშრომლობა**, რაც ასევე კალკირების შთაბეჭდილებას ტოვებს. არანაკლებ საგულისხმოდ მიგვაჩნია სინტაქსური კალკირება, რაც თვალნათლივ ჩანს წინამდებარე წყარო და სამიზნე ტექსტების შედარებისას. ქართულ თარგმანში სიტყვათა თანმიმდევრობა ცალკეულ აბზაცში ინგლისური თანწყობის იგივეობრივია, რაც მანქანური თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

წინამდებარე მუხლის ქართულ თარგმანში ასევე შეინიშნება უცხოური სიტყვების გამოყენების ტენდენცია, როგორებიცაა, მაგალითად, **სუვერენიტეტი** და **ალტერ-**

ნატიული, რომლებიც პირდაპირ გადმოტანილია წყარო ტექსტიდან **sovereignty** და **alternative**. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია შესატყვისი ქართული სიტყვების დამკვიდრება ენაში, რაც გასაგები იქნება ასოცირების ხელშეკრულებით დაინტერესებული რიგითი მკითხველისთვის და მშობლიურ ენასაც დავიცავთ შემოდინებული სიტყვებით გადატვირთვისაგან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წყარო ტექსტში გამოყენებული ტერმინი **multilateralism** აღნიშნულ მუხლში თარგმნილია, როგორც **მრავალმხრივი თანამშრომლობა**, მაშინ როდესაც სხვა თავებში იგივე ტერმინი კალკირება-ტრანსლიტერაციით გადმოტანილია, როგორც **მულტილატერალიზმი**. მიგვაჩნია, რომ იურიდიულ დოკუმენტაციაში უფრო მკაცრად უნდა იყოს დაცული ტერმინების სიზუსტე და არ გვხვდებოდეს **ტერმინოლოგიური დუბლეტები**.

წყარო და სამიზნე ტექსტების შედარებისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ინგლისურ ტექსტში რამდენჯერმეა გამოყენებული აბრევიატურა **WMD**, მაგ.:

the conversion to alternative employment of scientists formerly employed in **WMD(lng\_abr)(lg\_trm)** programmes.

**მასობრივი განადგურების იარაღთან(lg\_trm)** დაკავშირებულ პროგრამებში ადრე დასაქმებულ მეცნიერთათვის **ალტერნატიული(soc\_fwd)** სამუშაოს შეთავაზების ჩათვლით;

ხოლო ქართულ თარგმანში გვხვდება მხოლოდ აღნიშნული ტერმინის სრული ფორმა **მასობრივი განადგურების იარაღი**, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ თარგმანში აბრევიატურების გამოყენების ტენდენცია ნაკლებად შეიმჩნევა, თუმცა, თარგმანს დამატებით აკადემიურ ღირებულებას შესძენდა სათანადო აბრევიატურების დამუშავება და თარგმნილი ხელშეკრულებისთვის „აბრევიატურების საძიებლის“ თანდართვა.

ასევე იმავე წინადადებაში საჭიროა მსაზღვრელ-საზღვრულის: ადრე დასაქმებულ ქართული ენის გრამატიკის შესაბამისად გადანაცვლება. საბოლოოდ, ეს წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**ადრე მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებულ პროგრამებში დასაქმებული მეცნიერებისათვის სხვა სამუშაოს შეთავაზების ჩათვლით;**

ვფიქრობთ, იურიდიულ ტექსტებში არსებითი სახელის მრავლობითის არქაული ფორმა -თათვის (მეცნიერთათვის) უნდა შეიცვალოს - ებ-ით.

თარგმანში გვხვდება ლექსიკური ტრანსფორმაციებიც, მაგ.: **conversion to alternative employment** თარგმნილია, როგორც **ალტერნატიული სამუშაოს შეთავაზება**; ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა, ტრანსლიტერაციის ნაცვლად თარგმანში ყოფილიყო ქართული ლექსიკური ერთეული **სხვა სამუშაოს შეთავაზება**.

მოთხოვნა XML ფაილთან: /bookstore//lng\_clc | //lng\_calq | //soc\_fwd | //lng\_trm | //lg\_trm | //ecn\_trm | //lng\_tff | //synt\_calq | //lng\_mpv | //st\_taut | //lng\_spl | //tr\_err | //lng\_abr | //tr\_lex.add

ქართული ტექსტი კარი II, მუხლი 5 ძეგლის პარამეტრების შედეგად მივიღეთ შემდეგი მონაცემები (xml 2.5):

ძეგლის პარამეტრები GE:

lng\_clc (რაოდენობა: 4);

lng\_calq (რაოდენობა: 3);

lg\_trm (რაოდენობა: 16);

tr\_err (რაოდენობა: 2);

tr\_lex.add (რაოდენობა: 2);

lng\_clc (რაოდენობა: 5);

lg\_trm (რაოდენობა: 16);

თარგმნის შედეგად მივიღეთ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ტერმინოლოგიური ლექსიკონი შემდეგი მონაცემებით:

მონაცემები ქართული ტექსტიდან	მონაცემები ინგლისური ტექსტიდან
1. ეტაპობრივ დაახლოებას	1.gradual convergence
2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის	2.foreign and security policy
3. ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა	3.common security and defence policy
4. კონფლიქტის პრევენცია	4.conflict prevention
5. კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება	5.peaceful conflict resolution

6. კრიზისების მართვა	6.crisis management
7. რეგიონული სტაბილურობა	7.regional stability
8. განიარაღება	8.disarmament
9. იარაღის გაუვრცელებლობა	9.non-proliferation
10. იარაღისა და ექსპორტის კონტროლი	10.arms control and export control
11.საერთო ინტერესები	11.mutual interests
12.ტერიტორიული მთლიანობა	12.territorial integrity
13.კიდევ ერთხელ ადასტურებენ	13. reaffirm their commitment
14.ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის	14.inviolability of internationally recognised borders
15.გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება	15.Charter of the United Nations
16.ჰელსინკის დასკვნითი აქტით	16.the Helsinki Final Act
17.ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებში	17.bilateral and multilateral relations
18.სრული მხარდაჭერა	18.full support
19.შეიარაღებული ძალები	19.armed forces
20.უცხოურიშეიარაღებულიძალები	20.foreign armed forces
21.მკაფიო თანხმობა	21.explicit consent
22.საერთაშორისო სამართლის	22.international law

სტრუქტურირებული და თეგირებული ტექსტების მონაცემები ანალიზატორიდან:  
ქართული თარგმანი:

1. მხარეები გააძლიერებენ დიალოგსა და თანამშრომლობას (lg\_calq) და ხელს შეუწყობენ ეტაპობრივ დაახლოებას (lg\_cle) საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (lg\_trm) სფეროში, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (lg\_trm) ჩათვლით, განსაკუთრებით შეეხებიან ისეთ საკითხებს, როგორცაა კონფლიქტის პრევენცია (lg\_trm), კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება (lg\_trm) და კრიზისე-

ბის მართვა(lg\_trm), რეგიონული სტაბილურობა(lg\_trm), განიარაღება(lg\_trm), იარაღის გაუვრცელებლობა(lg\_trm), იარაღისა და ექსპორტის(tr\_lex.add) კონტროლი(lg\_trm). თანამშრომლობა დაეფუძნება საერთო ღირებულებებსა(tr\_lex.add) და საერთო ინტერესებს(lng\_clc) და მიმართული იქნება პოლიტიკის დაახლოებისა და ეფექტიანობის გაზრდისკენ, ორმხრივი, საერთაშორისო და რეგიონული ფორმატების გამოყენებით. 2. მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ(lng\_clc) მათ ერთგულებას ტერიტორიული მთლიანობის(lg\_trm), საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის(lg\_trm), სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების მიმართ, როგორც ეს დადგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისწესდებოთა(tr\_err)(lg\_trm) და 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტით(lg\_trm), ასევე, ვალდებულებას, გაავრცელონ(tr\_err) აღნიშნული პრინციპები მათ ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებში(lng\_clc). მხარეები ასევე ხაზს უსვამენ მათსრულ მხარდაჭერას(lng\_calq) მასპინძელი სახელმწიფოს თანხმობის პრინციპის მიმართ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების(lg\_trm) მათ ტერიტორიებზე განლაგების თაობაზე. მხარეები თანხმდებიან, რომ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების(lg\_trm) მათ ტერიტორიაზე განლაგება უნდა მოხდეს მხოლოდ მასპინძელი სახელმწიფოს მკაფიო თანხმობის(lng\_calq) საფუძველზე, საერთაშორისო სამართლის(lg\_trm) შესაბამისად.

ინგლისური დედანი:

1. The Parties shall intensify their dialogue and cooperation and promote gradual convergence(lng\_clc) in the area of foreign and security policy(lg\_trm), including the common security and defence policy(lg\_trm), and shall address in particular issues of conflict prevention(lg\_trm), peaceful conflict resolution(lg\_trm) and crisis management(lg\_trm), regional stability(lg\_trm), disarmament(lg\_trm), non-proliferation(lg\_trm), arms control(lg\_trm) and mutual interests(lng\_clc), and shall aim at increasing policy convergence and effectiveness, making use of bilateral, international and regional formats. 2. The Parties reaffirm their commitment to the principles of territorial integrity(lg\_trm), inviolability of internationally recognised borders(lg\_trm), sovereignty and independence, as established in the Charter of the United Nations(lg\_trm) and the Helsinki Final Act(lg\_trm) of 1975 of the Conference on Security and Cooperation in Europe, and their commitment to promote these


principles in their **bilateral and multilateral relations**(lng\_clc). The Parties also underline their **full support**(lng\_clc) for the principle of host nation consent on stationing foreign **armed forces**(lg\_trm) on their territories. They agree that the stationing of **foreign armed forces**(lg\_trm) on their territory should take place with the **explicit consent**(lng\_clc) of the host state, in accordance with **international law**(lg\_trm).

ანალიზატორიდან მიღებული მონაცემებით, კალკირების მაგალითია სიტყვათწყობა **მკაფიო თანხმობა**. განვიხილოთ მაგალითი:

explicit consent(lng\_clc) of the host state.

მასპინძელი სახელმწიფოს მკაფიო თანხმობის(lng\_calq) საფუძველზე.

ჩვენ გადავამოწმეთ ტერმინი explicit consent IATE-ს ტერმინოლოგიურ ბანკში:



განყოფილება LAW (12) information technology and data processing (3236) [EDUCATION AND COMMUNICATIONS] იძლევა შემდეგ განმარტებას:

explicit consent:

Council

**Reference:** PrivacySense.net > Different types of consent, - <http://www.privacysense.net/different-types-consent/> [18.6.2018]

**Definition:** consent that is directly given, either 'viva voce' or in writing

**Definition reference:** Council-EN, based on Black's Law Dictionary, 6th edition, p. 305

**Language level note:** As opposed to 'implied consent' [ [IATE:68110](#) ]. This type of consent is positive, direct and unequivocal, requiring no inference or implication to supply its meaning.

Note reference: Council-EN, based on:

- Black's Law Dictionary, 6th edition, p. 305

- 'consent', The Law Dictionary, <https://thelawdictionary.org/consent/> [18.6.2018]

**Context: 'Explicit Consent:** This is written consent to carry out a specific action and is the type of consent needed when sharing any information. An individual must be asked for specific consent for a specific action for it to be considered "explicit".'

**Context reference:** Moray Council, 'Consent and Confidentiality Common Principles', <http://www.moray.gov.uk/downloads/file58317.pdf> [18.11.2016]

ამდენად, იურიდიული ტერმინი consent ევროკავშირის მიერ განმარტებულია როგორც პირდაპირ, ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი თანხმობა (directly given, either 'viva voce' or in writing); ხოლო ტერმინი 'Explicit Consent განმარტებულია, როგორც წერილობითი თანხმობა, რომელსაც პრაგმატიკული, მოქმედებითი ფუნქცია აქვს (This is written consent to carry out a specific action and is the type of consent needed when sharing any information).

ზემოთმოყვანილი განმარტებები ნათელყოფს, რომ ხელშეკრულებაში ტერმინი უნდა თარგმნილიყო როგორც წერილობითი და არა მკაფიო, რის შედეგადაც კანონის დაზუსტებულ ვერსიას მივიღებდით:

explicit consent(lng\_clc) of the host state.

მასპინძელი სახელმწიფოს წერილობით თანხმობის (lng\_calq) საფუძველზე.

კალკირების შემდეგი მაგალითია:

The Parties shall intensify their dialogue and cooperation

მხარეები გააძლიერებენ დიალოგსა და თანამშრომლობას (lng\_calq)

1. მთარგმნელობითი კალკირება, ზოგადად ენის ეკოლოგიაზე უაღრესად უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ხოლო კანონშემოქმედების შემთხვევაში და ასოცირების ქართულ ენაზე თარგმნა, მიგვაჩნია, რომ არამართო მთარგმნელობითი, არამედ კანონშემოქმედებითი პროცესია, ზმნა-არსებითის სრულიად არაბუნებრივი შეწყობა,



„დიალოგის გაძლიერება“ – კანონის არსის გაგებას, მის ტელეოლოგიურ ინტერპრეტაციას ხელს უშლის:

The Parties shall intensify their dialogue and cooperation

მხარეები გააძლიერებენ დიალოგსა და თანამშრომლობას (Ing\_calq)

ვფიქრობთ, ინგლისურ ენაზე ფორმულირებული აზრი ქართულად შემდეგი ვარიანტით უნდა იყოს გადმოცემული:

მხარეები გაახშირებენ მოლაპარაკებებს და გააღრმავებენ თანამშრომლობას.

ქართული ენის გრამატიკული ნორმების დაცვისას აღარ დაგვჭირდება არაბუნებრივი კოლოკაციით გამოწვეული აზრობრივი ბუნდოვნების ინტერპრეტაციის მიზნით ხელმეორედ, შიდაენობრივად ვთარგმნოთ იგივე წინადადება; ქართული ენის გრამატიკული ნორმა ისევე ითვალისწინებს არსებითი-ზმნის ბუნებრივი თანწყობის დაცვას, როგორც ინგლისური, ან ნებისმიერი სხვა ენა. იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში ორი არსებითი სახელი გვაქვს და ერთი ზმნის შეთანხმება ორივე მათგანთან არღვევს ბუნებრივ თანწყობას, თარგმანში საჭიროა კოლოკაციისთვის მისაღები ზმნის დამატება. ამავე დროს დამატებული ზმნის დეფინიცია და კონტაცია წინადადების ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის სახეცვლილებას არ უნდა იწვევდეს.

ონლაინლექსიკონში დავძებნეთ ინგლისურ ენაში ზმნა Intensify-ს სინონიმები. Marriam-Wesbter-ის: accentuate, amp (up), amplify, beef (up), boost, consolidate, **deepen**, enhance, heighten, magnify, **redouble**, step up, strengthen.

კონტექსტური მნიშვნელობები დავძებნეთ ასევე ფრანგულ-ინგლისურ კორპუსულ ონლაინლექსიკონებში,<sup>6</sup> რადგან IATE-ში ძიების შედეგად მიღებული უამრავი შედეგის მიუხედავად, კოლოკაცია intensify dialogue არ დაიძებნა.

1. We have had a year of intense dialogue on how to get the EU wine sector back on top.

[europa.eu](http://europa.eu)

2. [...] closely at international level and maintain an intensive political dialogue at all levels - regional, sub regional.

[ue2010.es](http://ue2010.es)

---

<sup>6</sup> <https://www.linguee.com/french-english/translation/intense+dialogue.html>

3. I also have the pleasure to inform you that an agreement has been reached, thanks to intense dialogue over the past few days, on the draft decision on the cultural heritage of the Old City of Jerusalem and the Mughrabi ascent.

ლექსიკური ერთეულის intensify სინონიმები **deepen, redouble** და ზემოთმოყვანილი მაგალითების კონტექსტური მნიშვნელობების გაანალიზება ჩვენი თარგმანის დედანთან სიზუსტეზე მიუთითებს;

2. კოლოკაცია gradual convergence (lg\_clc) თარგმნილია, როგორც ეტაპობრივი დაახლოება, რა ვფიქრობთ, ეკვივალენტური კონცეპტია.

### 3. ანალიზატორიდან მიღებული პარალელური ტერმინები:

1. foreign and security policy(lg\_trm) საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (lg\_trm)
2. common security and defence policy(lg\_trm) ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (lg\_trm)
3. conflict prevention (lg\_trm) კონფლიქტის პრევენცია (lg\_trm),
4. peaceful conflict resolution (lg\_trm) კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება (lg\_trm)
5. crisis management (lg\_trm), კრიზისების მართვა (lg\_trm),
6. regional stability (lg\_trm), რეგიონული სტაბილურობა (lg\_trm),
7. disarmament (lg\_trm), განიარაღება (lg\_trm),
8. non-proliferation(lg\_trm), იარაღის გაუვრცელებლობა (lg\_trm),

ლექსიკური დამატების შემთხვევა ინგლისურიდან ქართულ ენაზე ტერმინის თარგმნისას მთარგმნელობითი შეცდომის მაგალითია, რაც კანონის ქართულ ენაზე განმარტებისას შესაძლო იურიდიული მანიპულაციის მიზეზად შეიძლება იქცეს: arms control(lg\_trm) = **იარაღისა და ექსპორტის (tr\_lex.add) კონტროლი**(lg\_trm).

